



825
1989 / 3

სპეციალური ნომერი თბილისის სისხლიან 9 აპრილზე
NUMERO SPECIAL SUR LE 9 AVRIL SANGlant DE TBILISSI

გუგაბი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში



„კიდევაც დაიზრდებოან
აღგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი არ ჭამონ მტრისანი“

პარიზი	N° 19	PARIS
მაისი	1989	MAI



„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, შენ ხარ აღმზრდელი დვთაებამდე კაცთ ბუნებისა“. - ი ლ ი ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა, და, რომ ვიწვოდე, ვდნებოდე, არ შემიძლია მეც, განა?!“

- ა კ ა კ ი

„ხარს ვგვევარ ნაიალადარს, რქით მიწასა ვჩხვერ ვბუბუნებ, დმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვლუღუნებ.“ - ვ ა შ ა

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ ა რ ბ ა რ ო ს უ ლ ა დ და ხ ო ც ი ლ თ ა ს უ ლ ი ს სა ო ხ ა დ და სა ხ ე ლ თ ა სა დ ი დ ე ბ ლ ა დ, მ ო წ ი წ ე ბ ი თ ა და კ რ ძ ა ლ ვ ი თ მი გ ვ ი რ თ მ ე ვ ი ა ე ს კ ნ ი ი ჩ ვ ე ნ ი შ რ ო მ ა.

ნ ე ტ ა რ ნ ი ა რ ი ა ნ, ვ ი ს ა ც ძ ა ლ ლ ო მ თ, ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ხ ს ნ ი ს თ ვ ი ს, ა ნ თ ე ბ უ ლ ი ს ა ნ თ ლ ე ბ ი თ შ ე ე გ ე ბ ო ნ ს ი კ ვ დ ი ლ ს.

გ უ შ ა გ ი

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ბეკდვითი ორგანო უცხოეთში. გამოდის პარიზში 1974 წლის იანვრიდან „თავისუფლების ტრიბუნა“-ს სახელწოდებით, 1984 წლიდან - „გუშაგისა“, დევიზით: ს ა მ შ ო ბ ლ ო და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა !

ტელეფონის ახალი № 42 - 41 - 89 - 31

352



სრულიად საქართველო ძაძებშია ...

საყოველთაო უბედურებას, ეროვნულ გლოვას იუწყებიან სიონის ქაშუეთის ... ეკლესიების ზარები ...

თბილისის ეგრედ წოდებული „მთავრობის“ სახლის წინა მოედანი ქცეულია წმინდა სალოცავ ადგილად, სადაც უწყვეტ ნაკადად მოედინება დათაღხული ხალხი, სანთლებს უნთებენ, ყოველდღიურად ახალ-ახალი ყვავილების ხალიჩას აგებენ უღვთოდ დახოცილ მამულიშვილთა პატივსაცემად ...

აქ, ამ ადგილას, 8 - 9 აპრილის დამეს ათევედა მრავალათასიანი ქართული თავყრილობა, რომელშიც მონაწილეობდნენ მუშები, მოსამსახურეები, უფროსი კლასების მოწაფეები, სტუდენტები და ინტელიგენცია. ბევრი მონაწილე ახალგაზრდა უკვე ოთხი დღეა, რაც შიმშილობდა. თავყრილობა აბსოლუტურად უიარალო, მშვიდობიანი იყო. ადგილი არ ჭონებია არავითარ აგრესიულ აქტს, რაიმე მასიურ მოქმედებას, რომელიც შეიძლებოდა ხელისუფლებას მოჩვენებოდა ამბოხებად ან მის დასაწყისად. პირიქით მიტინგის ორგანიზატორები დაუღალავად მოუწოდებდნენ ხალხს, რომ ადგილი არ ჰჭონებოდა არავითარ პროვოკაციულ გამოსვლას ...

ცხრა აპრილის გამთენიას, დაახლოებით ოთხ საათზე ამ უწყინარ ხალხთა მასას, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ადამიანებზე სანადიროდ დაგეშილი ქოფაკებივით მიესიენ, ხალხთა თავისუფლების დასათრგუნავად სპეციალურად გაწვრთნილი სამხედრო ნაწილების, ჯარისკაცები, ალკოჰოლითა და ქართველი ხალხის პათოლოგიური მძლვარებით აღგზნებულნი. ჯერ კიდევ უცნობი მომწამლავი გაზების გამოყენების შემდეგ, ეს ჭეშმარიტი სალდაფონები უმოწყალოდ, სასიკვდილოდ სცემდნენ ხელკეტებს, სჩეხდნენ სანგრის სათხრელი ალესილი ნიჩბებით, არ ინდობდნენ უმწეო ბავშვებსა და ქალებს და თვით წესრიგის დამცველ მილიციელებსაც კი, რომლებიც ცდილობდნენ გაცოფებულ ჯარისკაცთა რისხვისაგან დაეფარათ, სიკვდილისაგან გადაერჩინათ შიმშილისაგან დასუსტებული, ფეხზე ძლივს მდგომი ქალიშვილები.

ამ მშვიდობიან ხალხზე „სპეცნაზ“ ჯარისკაცთა ბარბაროსული ნადირობის შედეგი შთამბეჭდავია: ქალაქის პროზექტურად მოწყობილი ათეული მოკლულია აღნუსხული, ხუთი ათეული უგზო-უკვალოდაა დაკარგული, რომლებიც მოკლულებად უნდა ჩაითვალოს. (საავადმყოფებში მყოფი დაჭრილები ადასტურებენ, რომ ხოცვა-ჟლეტის დამთავრების შემდეგ, ჯარისკაცებმა მკვდრები სამხედრო მანქანებზე დაალაგეს და ქალაქგარეთ სადღაც ხევში გადაყარეს), ექვსასამდე ნიჩბით დაჭრილ-დაჩეხილი და გაზით მოწამლულია, რომელთაგან 50 მძიმე მდგომარეობაშია. მსხვერპლთა შორის დიდი უმრავლესობა ბავშვები და ქალებია.

გორბაჩოვის საბჭოთა რეჟიმიც ერთგული დარჩა მისგანვე საჯაროდ არაერთხელ დაგმობილი ბარბაროსული მეთოდების. ქართველი ერის მიმართ ჩადენილი მასიური ბოროტმოქმედების შემდეგ, ხელისუფლებამ საალყო წესები დააწესა მთელ საქართველოში, გაუფრთხილებლად ესერიან ჯარისკაცები გამვლელებს, ქვეყანა აკრძალულია უცხო ეურნალისტებისა და მოგზაურებისათვის, ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებზე სასტიკი ცენზურა დააწესეს, ხოლო მოსკოვის ოფიციალური ტელეხედვა და პრესა უსირცხვილოდ ტყუის. მაგრამ, ამჯერად, მან დიდხან ვერ შეძლო სიმართლის დამალვა და ამის დამსახურება თვით ქართველი ხალხის სიმტკიცესა და ერთსულოვნებასაც ეკუთვნის. მსოფლიო საზოგადოებამ შეიტყო საზარელი სიმართლე თბილისში ცხრა აპრილს დატრიალებულ ტრაღედიაზე და მკაცრად დაგმო მისი ავტორები და შემსრულებლები.

ჩვენს სუსტ ხმას ვუერთებთ აქ მთელი ჩვენი ერის სამართლიან აღშფოთებასა და გულისწყრომას, სასტიკად ვგმობთ საბჭოთა იმპერიალიზმის მიერ ქართველი ერის მიმართ თბილისში ცხრა აპრილს ჩადენილ მორიგ აგრესიას, მივმართავთ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციას, დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებს, პარლამენტებს, პარტიებს, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანისა და ერის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, სოლიდარობა გამოუცხადონ აგრესიის მსხვერპლ ქართველ ხალხს და ენერგიულად დაგმონ აგრესორი საბჭოთა კავშირის ხელისუფლება, უმაღლეს ღონეზე, რადგანაც ჩვენთვის აშკარაა მისი პასუხისმგებლობა. მოეთხოვოს მას, რომ პატივი სცეს საკუთარ სახელმწიფო კონსტიტუციას, რომლის მიხედვით ქართველი ერი სუვერენია და აქვს უფლება თავისი ნებით გამოვიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლო-



ბიდან. თუ ეს უფლება ხალხის თვალის ასახვევი არ არის, მაშინ ცხადია, ქართველ ხალხს უნდა მიეცეს რეალური საშუალება, დემოკრატიული წესით, მისი უმრავლესობის ნება-სურვილით განახორციელოს ეს მისი კონსტიტუციური უფლება.

გ უ შ ა გ ი

*** *** ***

პ ი რ ვ ე ლ ი ც ნ ო ბ ა

პირველი ცნობა ცხრა აპრილის ეროვნული ტრადედიის შესახებ „გუშავმა“ მიიღო იმ დღესვე 21 საათზე, ტელეფონით, ბნ ვიქტორ რცხილაძისაგან, რომლის სტენოგრაფიულ ჩანაწერსაც აქ ვთავაზობთ:

„თბილისში რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ კიბეებზე, ოთხი დღის წინ შიმშილი დაიწყო ახალგაზრდებმა, რომელთა რიცხვი დაახლოებით ასის ფარგლებში იყო. იგი დაიწყო ირაკლი წერეთლის მეთაურობით წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ და მათ შემდეგ შეუერთდნენ სხვა არაფორმალური საზოგადოებების წევრები. თავიდან შიმშილი მიექდენა აფხაზეთის პრობლემას. დაიწყო ხალხმა მოგროვება, ლაპარაკობდნენ მიკროფონით, ჯერ აფხაზეთზე, შემდეგ კი დაიწყო სხვა სახის მოწოდებები, რახან ადგილობრივი მთავრობა აქტიურად არ ჩაერია ამ საკითხში და ორაზროვნად გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით.

პარასკევს და შაბათს (8 და 9 აპრილი) რუსთაველზე იყო ზღვა ხალხი, დაახლოებით ასი ათასი. დაიწყო არაფორმალუბმა და ჩვენ მოწოდება, რომ დაწყებულყო მასიური პროტესტები და გაფიცვები. მართლაც უმაღლესმა სასწავლებლებმა და სკოლებმა ყველამ შეწყვიტა სწავლა, ამას შეუერთდა მერე 31-ე დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა და სხვა ქარხნებიც, ეხლა ზუსტად ვერ ვიტყვი. გაფიცული მუშები ნაწილობრივ გამოვიდნენ, მაგრამ ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობის ხასიათი. მიტინგზე გამოსული ორატორები ეხებოდნენ სხვადასხვა საპირბოროტო საკითხებს და ბოლოს გამოსულთა მოთხოვნები უფრო და უფრო რადიკალური გახდნენ, მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. მთავრობის სასახლეზე გაჩნდნენ ასეთი ლოზუნგები: „ძირს რუსეთის იმპერ-

ია!“ „ძირს კომუნისტური რეჟიმი!“ ამავე დროს იყენებენ სტალინური წარწერები და ამერიკული დროშები.

ოთხი დღე-ღამე განუწყვეტლად მიმდინარეობდა საპროტესტო შიმშილი და მანიფესტაცია“. ჩვენს კითხვაზე: მანიფესტანტების მხრიდან ხომ არ ჰქონებია ადგილი პროვოკაციას—ძალის ხმარების აქციას? ვ. რცხილაძე გვიპასუხებს: „მშვიდობიანი მანიფესტაცია იყო აბსოლუტურად. ხალხიდან არავითარი გამომწვევი მოქმედება არ ყოფილა. მთავრობის სახლის კიბეებზე რომ მოშიმშილენი იყვნენ, მათ უკან იდგნენ ქართველი მილიციონერები. ხალხს არასოდეს არ უცდია სასახლის აღება და არც დამუქრება მის ასაღებლად.“

ვ. რცხილაძე აგრძელებს: „დილით ორმა ჯავშნოსანმა გაიარა რუსთაველზე, ეს იყო გუშინ დილით ხუთ საათზე. ახლა მოგახსენებთ, რაც მოხდა ამ დილით. დილის ოთხ საათისთვის, მთავრობის სახლის წინ ხალხის რაოდენობა იქნებოდა დაახლოებით ოცი ათასი, უეცრად წამოვიდნენ ტანკები. ეს იყო ორი წყება ოთხ-ოთხი ტანკი. მათ ხალხი გაარღვიეს, ცხადია, მაგრამ მათ უკან მოყვა ჯარის რაზმები, აღკურვილნი ფარებით, ხელკეტებით. ამათ უკან კი მოდიოდნენ სადესანტო ჯარები, რომელთაც ხელში ჰქონდათ ნიჩბები, ნიჩბები რაღაც დანასაგით. ეს რომ დაინახეს, ხალხი ძირს დასხდა. ამ დამსხდარ ხალხს დაუწყეს ცემა ამ ნიჩბებით თავში, ერთი წყება რომ დაარტყამდა თავში. მეორე წყება კიდევ დაარტყამდა... ახალგაზრდობამ გაუწია მათ წინააღმდეგობა: დააყარეს მათ ქვები და გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. არის მსხვერპლი, სულ ბოლო ცნობებით, ოცდაათამდე მოკლულია, ასზე მეტი დაჭრილია და საავადმყოფოში ძალიან ბევრი იმყოფება ძალიან ცუდ, უკანასკნელ დღეში. რეანიმაციის განყოფილებაში მოკლულთა გვარების სია მაქვს, და უნდა მოგახსენოთ, რომ უმრავლესობა არის მოკლული ქალები და ბავშვები. ამ სალდათებმა რომ გაიარეს, ამ დამსხდარ ქალებს დასცხეს თავში ეს ნიჩბები და თავები გაუხეთქეს. აი მათი გვარები და სახელები:

ბეჟანიშვილი ეკა, ჭიკვილიძე თამარი, მამულაშვილი თამუნა, ენუქიძე თინა, დოლიძე თამუნა, სამარგულიანი-ჭყვიძლე მარინე, სამარგულიანი ნანა, კიკვიძე ზაირა, ჯინჭარაძე მზია, ჭიპაშვილი ელისო, ლოლაძე მანანა...



დაკავებულია: მერაბ კოსტავა, ავთანდილ იმნაძე, იოსებ ჯორჯიანი, ვერთელი. დანარჩენი არ ვიცი. ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი და უამრავი ჯარისკაცები არიან ქუჩებში. ახლახანს საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა მთავარსარდალი და გააფრთხილა ხალხი, რომ დაემორჩილონ კომენდანტის რეჟიმს (როგორც სომხეთში და ბაქოში). ახლახანს ტელევიზიით გამოვიდა ჯუმბერ პატიაშვილი და თქვა, რომ ეს ყველაფერი არაფორმალურ გაერთიანებების ლიდერების ბრალიაო, რომლებმაც ხალხი გააბრყვეს და ამ მდგომარეობამდე მიიყვანესო, თუმცაო, თქვა, მე არავითარ შემთხვევაში მხარს არ ვუჭერ, რაც ჯარისკაცებმა გააკეთესო“.

ვიქტორ რცხილაძე

მ ს ხ ვ ე რ პ ლ თ ა ს ი ა

ოფიციალურად აღიარებულნი:

ადამია აზა (22 წლის), ბეჟუაშვილი ეკა (16 წლის), გიორგაძე ნატო (23 წლის), დოლიძე თამუნა (28 წლის), ენუქიძე თინა (70 წ.), თოიძე ნინო (25 წლის), კიკვიძე ზაირა (61 წლის), ლოლაძე მანანა (33 წლის), მამულაშვილი თამარ (50 წლის), ნოზაძე მამუკა (22 წლის), სამარგულიანი ნანა (30 წლის), სამარგულიანი - ქყონია მარინე (35 წლის), ჭიპაშვილი ელისო (25 წლის), ქოველიძე თამარ (16 წლის), ჯანგირაშვილი ნოდარ (40 წლის), ჯინქარაძე მზია (43 წლის);

17 აპრილამდე საავადმყოფოში გარდაიცვალა 4 დაჭრილი: ქარსელაძე გია (25 წლის) კომენდანტის საათის დაწესების შემდეგ, გაუფრთხილებლად ესროლეს და მანქანის საჭესთან მჯდომი სასიკვდილოდ დასჭრეს), მელქაძე მანანა (23 წლის), ქვასროლიაშვილი შალვა (35 წლის), ბაშელიშვილი ნათია (16 წლის).

ეროვნული ფრონტის წარმომადგენლებიდან მიღებული სარწმუნო ცნობების მიხედვით ცხრა აპრილს დარბევის დროს: დაიღუპა 38 კაცი, უგზო-უკვლოდაა დაკარგული 56 და საავადმყოფოში მოთავსებულთაგან 50 უნუგეშო მდგომარეობაშია. დაჭრილები



ადასტურებენ, რომ: ჯარისკაცებმა, ალბათ მიღებული ბრძანების თანახმად, ხოცვა-ჟლეტის დამთავრების შემდეგ, დახოცილთა გვამები სამხედრო მანქანებზე დააწყეს და სადღაც გადამალეს. მაგალითად, მესამე დღეს მოწაფეებმა მდინარე მტკვარში შენიშნეს ორი ცხედარი, გამოიტანეს ნაპირზე და მილიციას ჩააბარეს, მაგრამ, როგორც მათი მასწავლებელი მანანა წერეთელი იცტობინება, ისინი მორგში არ მიუღიათ – უგზო-უკვლოდ გაქრენ.

ჯერჯერობით დაკარგულთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია, ხოლო, ეროვნული ფრონტის მიერ 12 აპრილს მოწოდებული ცნობის მიხედვით, ზემოდ აღნიშნულ დაღუპულთა სიას უნდა დაემატოს:

არსამენაშვილი ალექო, არჩვეძე გია, ბარათელი ნინო, ბარათელი ლეილა, გიორგაძე ლია, გიორგობიანი დათო, გოგირაიშვილი გოჩა, დანელია გელა, დოლიძე მანანა, დოლიძე ნიკო, მანელავა გოგა, მარელაშვილი თეა, მენაბდიშვილი ნუკრი, მირზიანი ალიკა, მიქაძე გოჩა, ქველიძე ზურაბ, ქსოველიძე თამრიკო, ხარებავა ნანა.

ცხრა აპრილის მსხვერპლთა ეს სია ჯერჯერობით ვერც სრული და ვერც უშეცდომო ვერ იქნება, ეს ჩვენთვის ცხადია, მაგრამ დრო მას დააზუსტებს და საბოლოოდ დაადგენს. ახლავე კი შეუცდომლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ უდანაშაულოდ დახოცილთა რაოდენობა ასს გადააჭარბებს.

გუშავგი, მის თანამშრომლებთან, თანამდგომ-თანამზრახველებთან, მკითხველებთან, უცხოეთში მცხოვრებ ყველა გულმხურვალე მამულიშვილთან ერთად, უერთდება ქართველი ხალხის ეროვნულ გლოვას, მუხლმოყრილი ლოცულობს უღვთოდ დახოცილთა სულისათვის, თანაგრძნობას უცხადებს უნუგემო ჭირისუფლებს. ინუგემოთ იმით, რომ მათი დაღვრილი ქართული სისხლი უქმად არ ჩაივლის, რადგანაც იგი დაღვრილია სამშობლოს განთავისუფლებისათვის. გწამდეთ, რომ მათი სახელები დღეიდან ემატებათ იმ ჩვენს ეროვნულ გმირთა და წამებულთა ნუსხას, რომელსაც გულში სათუთად ატარებს ყველა დროის და თაობის ქემშარიტად ქართველი პატრიოტი.

საუკუნო იყოს მადლიერებით მათი მოხსენიება!

მიმართვები და განცხადებები

ყველა მამულიშვილს, განსაკუთრებით კი საღმრთო საქმისთვის, სამშობლოსათვის თავგანწირულ ახალგაზრდებს!

საყვარელო შვილნო! თქვენ მოგმართავთ, ვინც შეასრულა თავისი უზენაესი მოვალეობა ისე, როგორც ასრულებდნენ მას წმიდა მამები. თქვენ უკვე დაგადგათ უფალმა თავისი ნათელი გვირგვინი, რადგან სახარება გვასწავლის, რომ ღვთის გარეშე ერთი ღერი თმაც არ ვარდება. თქვენი წმიდა სისხლი შეერთო იმ კურთხეულ ქართველ მოწამეთა სისხლს, რომელიც უწმიდესი და უზენაესი მიზნისთვის იღვრებოდა. გჯეროდეთ, რომ სიკეთე ბოროტებაზე უფრო ძლევა მოსილია. ქართულ ეკლესიას დიდი სულიერი ძალა აქვს და მაღალი მოვალეობა აკისრია. მე, ასაკოვანი კაცი, თაყვანს ვცემ თქვენს დიდბუნებოვნობას, თქვენს გვირგვინს ვდგავარ და სიხარულით შეგწირავ თავს უფალს, ერს და მამულს. გამაგრდით შვილებო! შეგეწიოთ ზეციური ძალა, დედა ღვთისმშობელი გფარავდეთ, ცხრა და-ძმა ანგელოსთამან დაგლოცოთ, წმიდა მამები იყვნენ თქვენი თანამდგომნი, წმიდა დედებმა აღგამადლოთ ნებითა ღვთისათა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა დედის ძუძუსავეთ გაამოთ უფალმა, ამინ!

არქიმანდრიტი იოაკიმ ასათიანი

*) მამა იოაკიმ ასათიანის ეს მიმართვა, შაბათს 15 აპრილს პარიზის წმ ნინოს ეკლესიაში გადახდილი 9 აპრილის რბევის მსხვერპლთა პანაშვიდის დროს წაიკითხა ბ-ნმა ჯანარი კაშიამ, რომელსაც უღრმეს მადლობას ვწირავთ მისი ტექსტის მოწოდებისათვის. რედ.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე, საბჭოთა სახელმწი-



ფოს სპეციალურმა ჯარებმა, სამხედრო ხელისუფლების მიერ წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შემუშავებული გეგმის მიხედვით, შეუბრალებლად დაარბიეს არასანქციონირებული, მაგრამ მშვიდობიანი მიტინგი თბილისში, მთავრობის სასახლის წინ და ტელევიზიის წინ. მიტინგზე შეკრებილი იყო საქართველოს ახალგაზრდობის, მუშებისა და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: ჯარები წესრიგს კი არ იცავდნენ, არამედ გაბნეულ ბავშვებს, ქალებს, სრულიად უიარაღო ახალგაზრდებს გალესილი ბარებით უმოწყალოდ ჩეხავდნენ. ძირითადად დაიღუპნენ ქალები და ბავშვები, რომლებმაც ვერ მოასწრეს გაქცევა; არ ინდობდნენ არც ადგილობრივი მილიციის წარმომადგენლებს, რომლებიც დასუსტებულ მოშიშვლილებს იფარავდნენ. დარბევის შედეგია ათეულობით ადამიანის არა გაუთვალისწინებელი, არამედ წინასწარგანზრახული მსხვერპლი. ეს იყო საშინელი ბარბაროსული აქტი, რითაც არმიის იმ ნაწილმა დაამტკიცა, რომ იგი გარდაქმნის წინააღმდეგია, ხოლო საქართველოს მთავრობამ დადასტურა დემონსტრანტთა მიერ მთავრობის გადადგომის მოთხოვნის სამართლიანობა. ისეთი მთავრობა, რომელიც თავის ხალხს ტანკებს და ჯარებს შეუხევეს, ხელს აწერს თავის უუნარობას.

უნივერსიტეტი მოითხოვს:

1. შეიქმნას ცხრა აპრილის მშვიდობიანი მიტინგების ჟღერაში დამნაშავე თანამდებობის პირთა დანაშაულის შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია, რომელიც გამოიკვლევს და დაადგენს მკვლელობის მიზეზებს.
2. დაუყოვნებლივ მომზადდეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები.
3. 9 აპრილი გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული გლოვის დღედ და შეიქმნას დარბევის მსხვერპლთა დამკრძალავი კომისია.
4. რადგანაც ოფიციალური ცნობა პროგრამა „ვრემიას“ გადაცემებსა და გაზეთ „იზვესტიაში“ ყალბია საქართველოს ამბე-

ბის, მიტინგების დარბევისა და მსხვერპლის შესახებ, განცხადებებს ამავდროულად, პროგრამა „ერემიამ“ უარყოს ეს ცნობები და შეუდგეს მოვლენების სწორ შეფასებას. უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლები მოუწოდებენ ახალგაზრდობას სიმშვიდესა და გონიერებისაკენ, საქართველოსათვის ამ უმძიმეს სიტუაციაში და თხოვენ მათ, რომ ნუ აყვებიან შექმნილ ვითარებაში გაუმართლებელ არარეალურ მოწოდებებს.

1989 წლის 10 აპრილი.

აკაკი ბაქრაძის და პარმენ მარგველაშვილის
მიმართვა ქართველი ხალხისადმი.

მიგვაჩნია, რომ ყოველგვარ ვითარებაში მთავრობას შეუძლია წესრიგის დამყარება მშვიდობიანი გზით და დემოკრატიული გზით. ის, რაც მოხდა ამ წლის ცხრა აპრილს, არის საგანგებოდ მოფიქრებული ხოცვა-ჟლეტა ხალხისა. ეს არის დანაშაული, რომელიც ხელისუფლებამ ჩაიდინა ერის წინაშე. ჩვენ, ორი ახლად არჩეული დემუტატი საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში, აკაკი ბაქრაძე და პარმენ მარგველაშვილი ვაცხადებთ:

ა) უნდა გადადგეს საქართველოს მთავრობა მთელი შემადგენლობით, რაკი ვერ უზრუნველყო კრიზისის მშვიდობიანი მოგვარება. დაინიშნოს სასამართლო გამოძიება და დაისაჯონ მთავრობა-ხელისუფლების ის წევრები, რომლებსაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი უდანაშაულო ხალხის მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში.

ბ) მიგვაჩნია, რომ სამარცხვინოა იმ პარტიის რიგებში ყოფნა, რომელიც სიტყვიერად დემოკრატიისაკენ მიგვითითებს, საქმით კი აწყობს ხალხის მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, ამიტომ ვთვლით, რომ ყველა პატიოსანი პიროვნება უნდა გავიდეს სკკპ რიგებიდან. ჩვენ ვავლივართ.

გ) მიგვაჩნია, რომ ქართველმა ხალხმა უნდა გამოუცხადოს უნდობლობა გენერალ როდიონოვსა და ნიკოლსკის, როგორც ხოცვა-ჟლეტის მონაწილეებს. მათ არ აქვთ უფლება, წარმოადგენდნენ ქართველ ხალხს საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში.



დ) შეწყდეს ცრუ ინფორმაციის გამოქვეყნება საბჭოთა ცენტრში და ტელერადიოთი. დაიბეჭდოს სრული სიმართლე მომხდარ ტრაგიკულ ამბებზე.

ე) 1989 წლის 8 აპრილს ჩატარებული აქტივის კრება, რომელმაც მხარი დაუჭირა ხალხის მასობრივ ელექტას, არ შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ერის ნების გამომხატველად. მომხდარ ტრაგედიაში ბრალი ედება კრებას და მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულზე.

ვ) თბილისიდან დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი დამრტყმელი ჯარები და გაუქმდეს კომენდანტის საათი.

ჩვენ მოუწოდებთ ხალხს, შექმნილ ვითარებაში გამოიჩინოს გონიერება და ყველაფერი აწონ-დაწონოს, ნუ დაუჯერებს ცრუ ინფორმაციებს, ჭორებს, ნუ აყვებით ბრმა გრძნობებს, ისტერიკას.

ტრაგიკული კრიზისიდან ჩვენ გვიხსნის გონიერება და ჭკუა. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, ვიყოთ ერთად, ვიყოთ მხარდამხარ, როგორც ერთ მუჭად შეკრული ერი.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მოთხოვნილებების მიღებამდე, გამოცხადდეს ეროვნული გლოვა და გაფიცვა სახლებში, და არა ქუჩაში, რაკი გამოცხადებულია კომენდანტის საათი ქუჩებში. მოედნებზე თავშეყრებს მოჰყვება ახალი სისხლის ღვრა. ბობოქრობს სტუდენტობა, მუშა-ახალგაზრდობა, სისხლიანი მახვილი მიმართულია მათ წინააღმდეგ. ხოცვა-ჟლეტის განმეორების შემთხვევაში დაიღუპება ახალგაზრდობა, რის შედეგადაც ქართველ ხალხს მოეკვეთება მომავალი. ქართველმა ხალხმა არ უნდა ჩაიდინოს თვითმკვლელობა. მან უნდა გაიმარჯვოს.

(მიმართვა წაკითხული იქნა 11 აპრილს მწერალთა კავშირში გამართულ კრებაზე. რედ.)

*** **

დ ი ა წ ე რ ი ლ ი მ ი ხ ე ი ლ გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ს

ბატონო გენერალურო მდივანო! მოგმართავთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი პირადად თქვენ და თქვენი სახით, მთელს პოლიტბიუროს. ვეცდები დაუფარავი სიმართლე გითხრათ, რადგან ერთ ღროს შეფეებს სიმართლეს მასხარები ეუბ-

ნებოდნენ. არ გეგონოთ, რომ ამის თქმით მსურს მიღება იმუნიტეტისა, რომელიც მასხარებს გააჩნდათ. ამ იმუნიტეტის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მასხარა დაცული იყო ყოველგვარი დასჯისაგან, რაგინდ მწარე არ უნდა ყოფილიყო მის მიერ ნათქვამი სიმართლე. მე არ მაქვს ასეთი იმუნიტეტის იმედი, მაგრამ ვეცდები პირდაპირ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე გითხრათ, რასაც ვფიქრობ.

მასხარები ყველაფერ ამას აკეთებდნენ სიცილით, მაგრამ ამ წერილის არსი ვერ იტანს სიცილს. ის იმდენად ტრაგიკულია, რომ არ ვიცი შევძლებ თუ არა ყველაფერ ამის ქალაღზე ასახვას.

საქმე ეხება 9 აპრილის ტრაგედიის მასშტაბებს კი არა, არამედ მის არსს. 1989 წლის 9 აპრილს, დილის ოთხ საათზე, თბილისში, საბჭოთა სადესანტო ნაწილებმა, რომლებიც სასანგრე გაღესილი ბარებით იყვნენ შეიარაღებულნი, დაჩეხეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეები, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა ასეთი წარმოუდგენელი გასწორების არავითარი საბაბი. ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ ჯარისკაცები გახდნენ მკვლელები იმ ადამიანებისა, რომლებმაც მანამდე სამი დღით ადრე შიმშილობა გამოაცხადეს. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში. ფაქტები ასევე ადასტურებს, რომ მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებები, რაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია. მახსენდება სხვადასხვა ქვეყნებში მიტინგებისა და დემონსტრაციების გაფანტვის ფაქტები, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რომ მსგავსი რამ სადმე მომხდარიყოს, და თუ ამგვარ რამეს ადგილი ჰქონდა, ამის რეალური ან პროვოცირებული მიზეზები არსებობდა. ამ შემთხვევაში კი მშვიდობიან მანიფესტაციასთან ასეთი გასწორების არავითარი საბაბი არ არსებობდა.

არცერთი ჩვენთაგანი არ ელოდა ასეთ ტრაგიკულ დასასრულს. მიტინგებზე არაერთხელ აღინიშნა, რომ მანიფესტაციის გაფანტვის შემთხვევაში, საჭირო იქნება მახატმა განდის პრინციპის გამოყენება, ე. ი. ბოროტების წინააღმდეგობლობა. დემონსტრაციის მონაწილეებმა კარგად დაიხსომეს ეს და, მომხდარის ველურობისა და ბარბაროსობის მიუხედავად, დემონსტრანტების მხრიდან ადგილი

არ ჰქონია წინააღმდეგობის მცირეოდენ ცდასაც კი. საბჭოთა ინფორმაციის საშუალებათა მიერ მომხდარის ინტერპრეტაცია ყალბია და სინამდვილეს არ შეესაბამება. მსოფლიო საზოგადოებრიობა, ისევე როგორც ჩვენ, დიდი ხანია შეეგუა ამ სიცრუეს.

მე არ შემძლია, ქართველი ხალხისადმი ესოდენ დაუნდობელი სისასტიკის მიზეზთა ვაგება. სწორედ სისასტიკისა, რადგან მანიფესტაციის დასაშლელად არსებობს აუარებელი უსისხლო საშუალებები, თუნდაც, ავადსახსენებელი ხელკეტები. მაგრამ არა! საქმე იმაშია, რომ სისხლი და უდანაშაულო მსხვერპლი წინასწარ იყო დაგეგმილი საჩვენებელი აქციის სახით. ბარები დაუშინეს ყოველგვარი წინასწარი მიმართვისა და გაფრთხილების გარეშე.

რატომ? - ვკითხვები ჩემს თავს და პასუხს ვერ ვპოულობ. შეუძლებელია მსგავსი რამის ლოგიკური ახსნა. ეს იყო სადისტური მოქმედება ქაოსიდან გამომდინარე და თვით სატანას მიერ ნაკარნახევი! „აი შენ სტალინისათვის!“ - ყვიროდნენ ჯარისკაცები, თავში უშენდნენ რა ბარებს უდანაშაულო მსხვერპლთ. თუ ამ შემთხვევაშიც ჩვენ სტალინისათვის გესჯიან, ხომ არ ფიქრობთ თქვენ, ბატონო გენერალურო მდივანო, რომ ახდნით სტალინიზმის მოდერნიზაციას?! პირადად მე, ისევე როგორც საბჭოთა ხალხის უმრავლესობა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ თქვენ გადააბიჯებდით ამ ზღვარს.

მე გადანაშაულებთ თქვენ, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებში თუ არა თქვენი ბრძანებით, თქვენი თანხმობის გარეშე მაინც ასეთი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენი, უფრო სწორად, თქვენი სახელმწიფო აღვია: „გარდაქმნის“, „დემოკრატიზაციის“ და „საჯაროობის“ გზას. ამ სამ სიტყვას განზრახ ვსვამ ბრჭყალებში, რადგან ამ სიტყვათა გამოყენებამ ბრჭყალებს გარეშე, ტერორის პირობებში, გონიერი ადამიანები შეიძლება მხოლოდ გააცინოს.

მე სპეციალურად მოგმართავთ ღია წერილით, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე გამოვთქვა ჩემი აზრი, ცხრა აპრილს, თბილისში სისხლიანი აქციის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ სასტიკი გასწორების მიზეზი, რომელმაც მსხვერპლი გამოიწვია, შემდეგში მდგომარეობს.

1988 წლის სექტემბერში, ქართველ სამართალდამცველთა ჯგუფმა

ამერიკის შ. შ-ს კონგრესს მიმართა, რომ მან სცნოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ანექსიის ფაქტი. მიმართვაზე ხელი მოაწერა ოთხმა სამართალდამცველმა: **ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, გიორგი ჭანტუიამ და თანგიზ გულაევამ.** ამ მოწოდებაზე სრულიად შემთხვევით არაა ჩემი ხელმოწერა. ამის შედეგად, მიმდინარე წლის თებერვალში, ამერიკის კონგრესმა განსახილველად მიიღო ეს საკითხი.

გაიგო რა ეს, კრემლმა მიმართა თავის ნაცად ტრადიციულ საშუალებას: გამოიყენა რა საქართველოს წინააღმდეგ „აფხაზური კოზირი“. ამ „კოზირს“ მოსკოვი მიმართავს ათწლეულების მანძილზე, როგორც კი შესამჩნევი ხდება ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ზრდა. მაგრამ, კრემლის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, საქართველო არ წამოეგო ამ პროვოკაციას და მოითხოვა თვითგამორკვევა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლა. სწორედ ეს გახდა კრემლის განრისხების მიზეზი.

ჩვენ იმდენად გულუბრყვილონი არა ვართ, რომ არ გვესმოდეს ამ მოთხოვნის სირთულე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მოთხოვნა კონსტიტუციურია და ამდენად—კანონიერი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ კონსტიტუციაში 72-ე მუხლი ატარებს ფორმალურ, სუფთა ნომინალურ ხასიათს. ეს მტკიცდება იმითაც, რომ შეუძლებელია ვინმემ წარმოიდგინოს თუ რა მოხდება, თვითგამორკვევის უფლება რომ მოითხოვოს პატარა საქართველომ კი არა, თვით რუსეთმაც!..

მაგრამ კანონი კანონია და თუ რამე შეტანილია საბჭოთა კავშირის ძირითად კანონში, მაშინ ადრე თუ გვიან ეს რაიმე უნდა ამოქმედდეს. სწორედ ამ ჭეშმარიტებაზეა დაფუძნებული ჩვენი მოთხოვნა და მისი დაკმაყოფილება რეალურადაა შესაძლებელი.

მიუხედავად ამისა მომხდარისათვის მთელი პასუხისმგებლობა სურთ გადააბრალონ ქართველ პატრიოტებს, ამ მიტინგებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორებს. მაგრამ, რაც არ უნდა თქვან დღეს, ისტორია თავისას იტყვის და ყველას მიუჩენს თავის ადგილს.

არ ვიცი თუ როგორ აღიქვამს მსოფლიო საზოგადოებრიობა ამ აღმამფოთებელ ფაქტს. შესაძლოა, თქვენ მიგაჩნიათ, რომ „გამარჯვებულებს არ ასამართლებან“, თუ ეს ასეა, მაშინ ღმერთმა შეგ-

ინდოთ, რომ თქვენ შეიგნოთ თქვენი დანაშაულის მთელი მძიმეობა, რომელიც ღმერთი ყოვლის შემძლე და ყველაფრის მკვრეტელია.

მე არ უნდა მჭირდებოდეს თქვენთვის თქმა იმისა, რომ ხალხთა ძმობა და მეგობრობა ტანკებითა და სისხლით არ მკვიდრდება. ეს ძალიან წააგავს აბელისა და კაენის ძმობას. ასეთი ძმობა, როგორც ბიბლიიდანაა ცნობილი, განწირულია. ამის შემდეგ, ბატონო გენერალურო მდივანო, დამერწმუნეთ, რომ თქვენი მიმართვა ქართველი ხალხისადმი და განსაკუთრებით დაღუპულთა ოჯახებისადმი სამძიმარი, - ცინიზმია და სხვა არაფერი. 1905 წლის სისხლიანი კვირის შემდეგ, მეფე ნიკოლოზ მეორეს აზრადაც არ მოსვლია სამძიმრის თქმა დაღუპულთა ოჯახებისადმი. აღიარა რა საკუთარი წილი დანაშაულისა, მან, როგორც ჩემთვის ცნობილია, - სასტიკად დასაჯა იმ სისხლიანი კვირის უშუალო დამნაშავეები. რა იქნება ამ შემთხვევაში?

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ თქვენ ვალდებული ხართ გადადგათ გონივრული ნაბიჯი, თუნდაც უახლოეს მომავალში. საქართველოსთან დაკავშირებით ასეთი ნაბიჯი ერთადერთი შეიძლება იყოს: თქვენ უნდა გაიყვანოთ ჯარი და წახვიდეთ საქართველოდან. და რაც უფრო მალე მოიმოქმედებთ ამას, მით უკეთესი. ადრე თუ გვიან თქვენ მაინც მოგიწევთ საქართველოს დატოვება, ამიტომ, მოგიწოდებთ: ახლა გააკეთეთ ეს!

დავწერე ეს და ახლა გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ მაჰატმა განდიმ მსგავსი სიტყვებით მიმართა ინგლისის პრემიერ მინისტრს. ვშიშობ, არ გამოვიდეს კადნიერი, რადგან მე მაჰატმა განდი არა ვარ და თქვენ - ინგლისის პრემიერ მინისტრი, მაგრამ ვითარება იგივეა, მიუხედავად შემდეგი მოჩვენებითი განსხვავებებისა: ინდოეთის მოსახლეობა ათმაგად ჭარბობდა ინგლისის მოსახლეობას, ხოლო ისინი ერთმანეთისგან დაშორებული იყვნენ ათეული ათასობით კილომეტრით. საქართველოს მოსახლეობა ოცჯერ ნაკლებია რუსეთისაზე, ხოლო მათ შორის მანძილი საერთოდ არ არსებობს.

მიუხედავად ამისა, პრობლემა იდენტურია და მისი გადაჭრაც იდენტური უნდა იყოს. თქვენ ვალდებული ხართ, დაუბრუნოთ საქართველო.

ველოს კანონიერი და ღმერთის მიერ მონიჭებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. შესაძლოა, რომ ამ ჩემმა მოწოდებამ საქვე-
ნში მხოლოდ ღიმილი გამოიწვიოს. იმიტომაც ვლოცულობ თქვენ-
ვის, ღმერთსა ვთხოვ: გაანათოს თქვენი გონება და შეგაგნებინოთ
ჩვენი მოთხოვნის საფუძვლიანობა და სამართლიანობა. უნდა გაი-
გოთ, რომ „რომელი სასამართლოთიც ასამართლებთ, იმავეთი გასა-
მართლდებით და რომელი საწყაოთი მიუწყავთ, იმავეთი მოგაწყუ-
ბათ“. ეს სიტყვები მოყვანილია სახარებიდან (მათე, მე-7-ე თავი,
ლექსი მე-2-ე), რომლისაც თქვენ, კომუნისტ-ათეისტებს არა გჯერ-
ავთ, მაგრამ სახარებას ისეთი ძალა აქვს, რომ მის კანონებს ვე-
რავენ ვერ აიცილებს თავიდან.

ვამთავრებ რა ამ წერილს, ვიმეორებ, რომ არავითარ იმუნიტეტ-
ზე არ ვამყარებ იმედებს. უფრო მეტიც, სიამოვნებით მივიღებ
ნებისმიერ სასჯელს და ამით ვიამაყებ კიდევ, რადგან, თანახმად
ქართული ლეგენდისა, თავისუფლების ციხესიმაგრე ვერ იქნება
აგებული, თუ მის კედლებში ცოცხლად არ იქნება ჩამარხული აღ-
ამიანი. ცხრა აპრილს ასეთი ჩამარხვა უკვე მოხდა. ოფიციალუ-
რი მონაცემების თანახმად ისინი 21 კაცია, სინამდვილეში კი მს-
ხვერბლი უფრო დიდია. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა
ქალები და გოგონებია. აღსანიშნავია იმიტომ, რომ ქართველთა
ქრისტიანი განმანათლებელი იყო ქალი—წმიდა ნინო. ასე რომ,
მძლავრი ციხე მზადაა ასაგებად. მიუხედავად ამისა, მზად ვარ
შეგუფრთდე ამ მსხვერბლთ. ასე ფიქრობს სამშობლოს ყველა ნამ-
დვილი შვილი, რომელსაც აწუხებს მისი მომავალი.

მე მაინც არ ვკარგავ იმის რწმენას, რომ გამიგებთ.
ღმერთი იყოს თქვენი დამხმარე!

ავთანდილ იმნაძე,

საქ. ტელევიზიის რეჟისორი, საქ. ჰელსინკის ჯგუფის წე-
ვრი, წმ დავით აღმაშენებლის სახელობის ქართველ ქრის-
ტიანთა კავშირის გამგეობის წევრი.

14 აპრილი 1989.

რუსულიდან თარგმნა ზურაბ ნარსიამ

საქ-ს მწერალთა კავშირის წევრთა მიმართვა

მ. ს. გორბაჩოვისადმი



„თქვენთვის და მთელი მსოფიოს ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია ის ბარბაროსული აქტი, რომელიც საბჭოთა არმიის ნაწილებმა ჩაიდინეს ქ. თბილისში ამა წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე უნებართვო მიტინგის დარბევის დროს.

თქვენთვის ცნობილია ისიც, რომ მოკლულთა შორის, რომელთა საერთო რაოდენობა ოფიციალური ცნობებით ჯერჯერობით თვრამეტია, 15 ქალი გახლავთ.*) დიახ, ჯერჯერობით, რადგან იმ 150 დაჭრილს შორის, რომლებიც ამჟამად საავადმყოფოებში იმყოფებიან, ბევრი სასიკვდილოდაა განწირული.

დიახ, თქვენთვის ეს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ გვეპარება ეჭვი, რომ საქმის ნამდვილი არსი იცოდეთ, რადგან ამ სამარცხვინო აქციის ჩამდენნი პირველი წუთებიდანვე ცდილობდნენ საქმე უკუღმართად წარმოესახათ.

არანაკლები უბედურება ის გახლავთ, რომ საკავშირო საინფორმაციო პროგრამა „ერემიამ“ არა მარტო დამახინჯებულად წარმოადგინა ტრაგედიის სურათი, არა მარტო შეცდომაში შეიყვანა ფართო საზოგადოებრიობა, არა მარტო მტრულად განაწყო ისინი ქართველი ერისადმი, ცინიკური გამოხდომებით კიდევ ერთხელ და სამარადუამოდ დაჭრა ქართველი ადამიანის გული. რა ცინიკურად, ბოროტ დაცინვად გაისმა ფრაზა, რომ ასეთი შემთხვევებისათვის საგანგებოდ გაწვრთნილი ჯარისკაცები თურმე „განსაკუთრებული მზრუნველობით ცდილობდნენ არაფერი ევნოთ ბავშვებისა და ქალებისათვის“. ალბათ, ამ გადაჭარბებული „მზრუნველობის“ ბრალისა, რომ ბარბაროსულად მოკლულ ქალთა შორის ყველაზე ახალგაზრდა 16 წლისაა, ყველაზე ხნირი კი— სამოცდაათისა!

ეს სისხლიანი აქცია ლოგიკური გაგრძელება და დაგვირგვინება იყო ქართველი ხალხის იმ საყოველთაო ლანძღვა-გინებისა, ცენტრალურ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში რომ არის გაჩაღებული. სამწუხაროა ისიც, რომ სახელმწიფოებრივი სტრუქტურის პროდუქტების – სტალინისა და ბერიას დანაშაულობრივი საქმი-

კაპუც



ნობა მათი ქართველობით არის ახსნილი. ამ უსამართლომ შექმნილი მყოფელმა გამოხდომებმა უკვე შექმნა სხვა მოძმე ერთ-ერთი რეელი განწყობილებები საქართველოს მიმართ. ამ განწყობილებებს ჩვენ ვგრძნობთ ყველგან და ყველადღერში, საქართველოს გარეთაც და თვით საქართველოშიც. განსაკუთრებით იჩაგრებიან ჩვენი ახალგაზრდები არმიასში, სადაც ისინი ხშირად მსხვერპლი ხდებიან ქართველების მიმართ გაუმართლებელი სიძულვილისა.

ამ სიძულვილისა და უნდობლობის გამოხატულება იყო ისიც, რომ საქართველოს მილიციას არ ანდეს მომიტინგეთა დაშლა. ნდობას ვინ დაეძებს, ბევრი მათგანი საგანგებოდ დაჩეხეს, რათა შემდეგ ეს ფაქტიც მშვიდობიანი მომიტინგეებისათვის დაებრალებინათ.

ამ სიძულვილისა და უნდობლობის დადასტურება იყო ისიც, რომ თბილისის „ბართლომეს ღამეს“ ჯარისკაცები უმწეო მსხვერპლთ აღესილ ნიჩბებს და ხელკეტებს ურტყამდნენ შეძახილებით „სტალინისათვის!“

ეს სამარცხვინო, ბარბაროსული აქცია მოხდა მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს წინაშე თავს ვიწონებთ ჩვენში მიმდინარე რევოლუციური პროცესებით, დემოკრატიით და სახალხოობით. სამწუხაროდ, ეს აქცია დაამთხვიეს თქვენი სამშვიდობო მისიით ვიზიტის დამთავრებას. ამიტომაც საფუძველი გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ, რომ იგი ჩაიდინეს გარდაქმნისა და პირადად თქვენმა მტრებმა. თბილისის სისხლიანი აქცია ხომ არ ემორჩილება იუროსპრუდენციის არცერთ მუხლს, არცერთ პარაგრაფს, არავის გაუფრთხილება მიტინგისა და შიმშილის მონაწილენი, რომ მათ თავს ასეთი უბედურება დაატყდებოდათ. რასაკვირველია, იყო გაფრთხილებები, მაგრამ იმდენად გამოუყვეთავი და ქარაგმული, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, დემოკრატიისა და სახალხოობის პირობებში, მთავრობის სასახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე ასეთი სასაკლაო თუ მოეწყობოდა.

განა მრავლისმთქმელი არაა, რომ მომიტინგეთა დაშლისას არ გამოიყენეს ის ცნობილი მეთოდები, რომლითაც ასე მდიდარია მსოფლიოს სახელმწიფოების პრაქტიკა და ყოველგვარი სხვა ღონისძიებების ჩატარების ნაცვლად (წყლის ჭავლი და ა. შ.) პირდაპირ გადავიდნენ ხოცვა-ჟლეტაზე!

აღბათ, თქვენს წინაშე რომ თავი ემართლებინათ, საბჭოთა დე-



თბილისი 9 აპრილის სისხლიანი კვირის ერთ-ერთი მსხვერპლის
დაკრძალვა

მოკრატიის სახელი რომ „ენსნათ“, გადაწყვიტეს ტყვია არ გაესროლათ და მომიტინგეები დღემდე არანახული მეთოდით, საგანგებოდ აღესილი ნიჩბებით დაეხოსათ, რათა შემდეგ ეთქვათ, მიტინგი უიარაღო ჯარმა დაშალაო. რა გულუბრყვილონი აღმოჩნდნენ ჩვენი ახალგაზრდები, როცა მოულოდნელად შემოკრილ ჯარს დამსხდარი დახვდნენ. ფიქრობდნენ, დამსხდრებს ხელს არ გვახლებნო. მთვრალი მკვლელები კი, რომლებიც მიტინგის დასაშლელად კი არა, ხალხის დასახოცად შემოიჭრნენ, გაქტეულებსაც კი არ ინდობდნენ, ეწეოდნენ და უღმობლად უსწორდებოდნენ.

როგორც შემდეგ გამოიჩვენა, გამოიყენეს ქიმიური იარაღი, მაგრამ ექიმები ხელ-ფეხშეკრულები აღმოჩნდნენ. მათ ვერ გაუწიეს დახმარება დაზარალებულთ, რადგანაც არ იცოდნენ, თუ რა შემადგენლობისა იყო ეს ქიმიური იარაღი, სამხედროებმა კი არაფრით არ ინებეს ამ საიდუმლოს გამხელა:

რა სასაცილოდ (სატირალი რომ არ იყოს) ჩანდა მეორე დღეს

გაზეთებში გამოქვეყნებული საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის მიმართვა საქართველოს მშრომელებისა და ახალგაზრდებისადმი ეს იყო კიდევ ერთი ახალი დაცინვა დილის ოთხ საათზე ჩახოცილი და დაჭრილი ხალხისა, მთელი ქართველი ერისა.

დანაშაულობათა ჯაჭვი კი გრძელდებოდა და გრძელდება. 10 (შეცდომაა. უნდა იყოს 9. რედ.) აპრილს, 23 საათზე ტელევიზიით გამოვიდა ამიერკავკასიის ჯარების სარდალი და დედაქალაქს აუწყა: ზუსტად ამ წუთიდან, 23 საათიდან, საკომენდანტო რეჟიმია შემოღებულიო. აუწყა, რომ იმავე წუთიდან ქუჩებში გაჩაღდა ცემა-ტყეპა, მანქანების მსხვრევა, სროლა, დაიჭრა ოთხი კაცი, მათგან ორი უკვე გარდაიცვალა. რა იყო ეს?

განა არ შეიძლებოდა, ბატონი სარდალი თუნდაც ერთი საათით ადრე გამობრძანებულყო ტელევიზიითა და რადიოთი? (განა კომენდანტის საათის გამოცხადებას არა აქვს თავისი წესი და რიგი?!) რასაკვირველია, შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ ხომ ვეღარ იპოვნიდნენ ქუჩებში საკბილოს, მაშინ ხომ კიდევ ერთხელ ვეღარ გვაგრძნობინებდნენ თავიანთ ძლევაგამოსილებას!

პატივცემულო გენერალურო მდივანო! ნაცვლად იმისა, რომ სინანულის გრძნობამ მაინც გამოჟონოს ამ ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორების მხრიდან, არის მცდელობა, რომ დამაღონ დაღუპულთა სიკვდილის მიზეზები. ცდილობენ ყალბი ექსპერტიზის შედგენად მათი სიკვდილის მიზეზად გამოაცხადონ არა ალესილი ნიჩბები, არამედ ზედახორის შედგენად დაცემის დროს „მიღებული სასიკვდილო“ ტრავმები. ადამიანებს უკვე აღარ სჯერათ ოფიციალური ექსპერტიზისა. ამიტომაც გთხოვთ სასწრაფოდ მოვიწვიოთ ექსპერტები შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. და, რაც მთავარია, უკვე ოფიციალურად ავრცელებენ საკმაოდ ნაცად „ვერსიას“, რომ პირველად ახალგაზრდებმა იხმარეს ცივი იარაღი და დაჭრეს ჯარისკაცი! (გავიხსენოთ 1956 წლის ხოცვა-ჟლეტა თბილისში, როცა ანალოგიური პროვოკაცია მოუწყვეს ქართველ ახალგაზრდებს და მთელ ქართველ ხალხს. მაშინ იოლად იპოვნეს ამ ფაქტის „შემსწრე“ ადამიანები, და ალბათ, არც დღეს გაუჭირდებათ იპოვნონ სულიერად გათახსირებული კარიერისტები).

პატივცემულო გენერალურო მდივანო! ქართველი მწერლები, გა-

მოვხატავთ რა ქართველი საზოგადოებრიობის, მთელი ქართველი ერის სათქმელს, დაბეჯითებით მოვითხოვთ, გასცეთ განკარგულება, სასწრაფოდ გამოირკვიონ საქმის დანაშაულებრივი არსი, ამხილონ და სამაგალითოდ დასაჯონ ამ უპრეცედენტო ხოცვა-ჟლეტის მომწყობი ყველა დამნაშავე. დასჯასთან ერთად ისინი უნდა გამოცხადდნენ საბჭოთა დემოკრატიის, საჯაროობისა და გარდაქმნის მტრებად! კატეგორიულად მოვითხოვთ, ცენტრალურმა ტელევიზიამ სასწრაფოდ აჩვენოს მოვლენების ნამდვილი არსი, ამხილოს ისინი, ვინც შეცდომაში შეიყვანა „ერემიას“ რედაქცია და რომელთა წყალობითაც აღმამფთობელი შეურაცხყოფა მიაცენა უბედურებაში ჩავარდნილ მთელ ქართველ ერს საბჭოთა და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ამასთანავე, მოვითხოვთ, საკავშირო პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ ფართოდ და სრული სიმართლით გააშუქოს მოვლენები, მთელს საბჭოთა კავშირს გააგებინოს იმ ადამიანთა გვარები, რა თანამდებობაც არ უნდა ეჭიროთ მათ, რომლებმაც აშკარად აიგდეს და ფეხქვეშ გაათელეს არა მარტო ადამიანთა ღირსება, არამედ საბჭოთა კავშირში მიმდინარე რევოლუციური პროცესები.

აუცილებლად სათანადო შეფასება და განზოგადოება უნდა მიეცეს თბილისის სისხლიან აქციას და ითქვას პირდაპირ, რამდენად შეეფერება იგი ჩვენს დემოკრატიას, გარდაქმნას და საჯაროობას.“

მიმართვას ხელს აწერს კავშირის 272 წევრი მწერალი.

*) ეს მიმართვა დაწერილი იყო, როცა საზოგადოებამ შეიტყო 9 აპრილის ტრაგედიის კიდევ ორი ადამიანის მსხვერპლის შესახებ.

(„ლიტ. საქართველო“ №№ 16, 17 და 19; 1989 წელი)

„მ ხ ო ლ ო დ ს ი მ ა რ თ ლ ე

„ამ დღეებში ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ წერილი გაუგზავნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სკკპ ცკ გენერალურ მდივანს, ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს. წერილში ნათქვამია:



პატივცემულო მიხეილ სერგის ძვე!

9 აპრილიდან მოყოლებული, ბარბაროსთა მხეცური აქტივობები ვეული გაუყუჩებელი სულიერი ტკივილი, სამართლიანობის სულ უფრო და უფრო ნაკლები რწმენა და შეგნება იმისა, რომ აუცილებელია გარდაქმნის პოლიტიკის გადარჩენა, მაიძულებს თქვენ მოგმართოთ.

გემუდარებით, გამოიყენეთ მთელი თქვენი ძალაუფლება, რათა სსრკ თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ქართველ ექიმებს სრული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ჩემი ასობით მოწამლული თანამემამულის ეფექტურად მკურნალობისათვის!

გთხოვთ, დაარწმუნოთ თქვენი კოლეგები პრეზიდენტსა და პოლიტბიუროში, რომ 9 აპრილს თბილისში მომხდარი ფაქტების დამალვა, მიმტვევბელი დუმილი პრესის, ცენტრალური ორგანოებისა და სატელევიზიო პროგრამა „ვერემის“ სადაგელი დეზინფორმაციის საპასუხოდ, ძიების შედეგების პასიური მოლოდინი, რომელიც შეიძლება თვეების მანძილზე გაქიანურდეს მაშინ, როცა ავადმყოფებს, საპროტესტო შიმშილობა რომ გამოაცხადეს, სასწრაფოდ სჭირდებათ დახმარება – ტოლფასია დანაშაულის თანამზრახველობისა.

სიმართლე! მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა! მხოლოდ ასე შეიძლება ქართველი ხალხის სამართლიანი რისხვის განულება. თანაც სიმართლე სწორედ დღესაა საჭირო და არა ათი წლის შემდეგ.

პირადად მე, როგორც დეპუტატს სსრკ კომუნისტური პარტიისაგან, მიმაჩნია, რომ სკკპ რიგებში დარჩენას შევძლებ, თუ ყოველმხრივი გამოძიების შედეგად, პარტია სათითაოდ დაასახელებს ახლად მოვლენილ ჯალათებს, მათ მიერ გაწვერთნილ მანქურთებს და წაართმევს მათ უფლებას – ატარონ კომუნისტის სახელი.

დარწმუნებული ვარ ქართველი ხალხისადმი თქვენი გრძნობების გულწრფელობაში.

თენგიზ აბულაძე,

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი

1989 წლის 2 მაისი“

„მომავალ კვირას, საფრანგეთის ქალაქ კანში, იხსნება ტრადიციული 42-ე საერთაშორისო კინოფესტივალი, კინოფესტივალის პროგრამით 13 მაისს პირველად ტარდება ფორუმი „ადამიანის უფლებები და კინემატოგრაფი“, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს თენგიზ აბულაძე. ვთავაზობთ რეჟისორის მიმართვას ამ ფორუმის მონაწილეებისადმი:

„გულწრფელად მივესალმები კანის საერთაშორისო ფესტივალზე „ადამიანის უფლებები და კინემატოგრაფის“ დღის და არსების იდეის ავტორებს, მის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. უღრმესი მადლობის მეტი რა მეთქმის მოპატიებებისათვის ამ ყველაზე პრესტიჟულ კინოფორუმზე, მაგრამ, სამწუხაროდ, წლებულს ჩემი არც ფიზიკური და რაც მთავარია, არც სულიერი მდგომარეობა არ მაძლევს საშუალებას ვისარგებლო მოწვევით.

ჩემი ნაწარმოებებით, მთელი ჩემი არსებით, შეძლებისდაგვარად ვემსახურებოდი ადამიანის უფლებათა და ჰუმანიზმის პრინციპების აღიარებასა და დამკვიდრებას. საბედნიეროდ, ეს ტვირთი მართოდმართ არ მიზიდავს ქართულ კინომატოგრაფიაში. ამდენად ჩემთვის და ჩემი ქართველი კოლეგებისათვის სისხლხორცეულია თემა, რომლის წარმოჩენის სურვილმა შეგკრიბათ თქვენ 13 მაისს.

საფრანგეთის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის დებულებები, რომელიც ორი საუკუნის წინ ჩამოყალიბდა, ქართველი ერის ორსაუკუნოვანი ნატურის გამოხატულებაა. მათი ხმამაღალი გამოთქმის მცდელობას ჩემს მშობლიურ თბილისში, 9 აპრილს, მოჰყვა საჯაროობის პოლიტიკას მინდობილი ასობით უდანაშაულო ქალისა და ბავშვის ხოცვა-ჟლეტა, დასახიჩრება, მოწამვლა.

გვიშობ, ვაითუ ჩემი თაობა ვედარ მოესწროს ამ საშინელი ცოდვის მონაწილას. განვლილი თვე მარწმუნებს, რომ საბჭოთა კავშირში დემოკრატიზაციის პროცესს დაღმავლობის შემამარწუნებელი პერსპექტივები ემუქრება. თუ მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადამიანმა არ გააცნობიერა ეს საფრთხე, ცივილიზებული სამყარო კვლავ, ვინ იცის რამდენი ხნით, დაჰკარგავს პლანეტის ერთ მეექვსედზე გამეფებულ რეჟიმთან კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის შესაძლებლობასაც, სურვილსაც, იმედსაც.

დღეს მე, როგორც მგლოვიარე ქირისუფალი, მივმართავ ჩემს ხელისუფლებას და კოლეგას ხუთივე კონტინენტზე – არ არსებობს ხელოვანი ისეთი, რომელიც ღმერთისაგან მონიჭებული უნარის გამოსაყენებლად უფრო კეთილ-შობილური სდერო, ვიდრე ადამიანის უფლებებისათვის, მშვიდობისათვის, ერთა თვითგამორკვევისათვის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის, ბრძოლა. ამ ბრძოლაში ვხედავ მე ხელოვანის უმაღლეს დანიშნულებას. ამ ბრძოლაში აღმომხდება სული.

მიგულეთ თქვენთან ერთად.

თ ე ნ გ ი ზ ა ბ უ ლ ა ძ ე

[გადმობეჭდილია: „ლიტერატურული საქართველო“ 5 მაისი 1989.]

ე ლ დ ა რ შ ე ნ გ ე ლ ა ი ა ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სანამ ამ თავს დავამთავრებდეთ გვინდა აღვნიშნოთ, საქართველოს კინემატოგრაფიის მეორე მსოფლიოში აღიარებული კინორეჟისორის, ელდარ შენგელაიას მოქალაქეობრივი პოზიცია და მოქმედება. ისევე, როგორც აკაკი ბაქრაძე და პარმენ მარგველაშვილი, ისიც ცხრა აპრილის ეროვნულ ტრაგედიამდე კომპარტიის წევრი იყო (ვფიქრობთ, რომ ამ ორის განსხვავებით, მას უარი არ უთქვამს პარტიის წევრობაზე.) და არჩეულია სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. წელს 21 აპრილს, მოსკოვში, კინემატოგრაფისტთა საკავშირო შეკრებაზე მან შემდეგი განცხადება გააკეთა:

ა) საქართველოს არასოდეს ჰქონია ნება-სურვილი, რომ გამხდარიყო რუსეთის იმპერიის ნაწილი. ჩვენი ხალხი არასოდეს იქნება ბედნიერი იმ მდგომარეობით, რომელიც დღესაა შექმნილი საქართველოში.

ბ) ის და საქართველოში დაარსებული არაფორმალური მოძრაობები მხარს უჭერენ მოსკოვისაგან საქართველოს თანდათანობით გამოყოფის პროცესს, რომელიც უნდა დაიწყოს სუვერენიტეტით, როგორც მოკავშირე რესპუბლიკისა, და შემდგომ კი საქართველო უნდა გახდეს ცალკე, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ეყოლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

გ) საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის წინასწარ მოფიქრებული და მზაკვრული გადაწყვეტილება, გამოეყენებია ჯარი მშ-

ვიდობიანი საპროტესტო მანიფესტაციის მონაწილეთა დასჯილად, თბილისში, ცხრა აპრილს, როცა ჯარისკაცებმა გამოიყენეს შეტანის გალესილწვერიანი სასანგრე ნიჩბები და ამოუცნობი მომწამლავი გაზი, ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ კვლავაც არსებობენ ქვეყანაში ძველი სტალინური სისტემის გადმონაშთები.

ხვალ იგივე შეიძლება მოხდეს ამ ქალაქშიცო, დასძინა მან.

ამ შეკრებაზე უჩვენეს, თბილისში ცხრა აპრილს დატრიალებული ხოცვა-ჟლეტის ფარულად გადაღებული ერთსაათიანი, ვიდეოფირი.

ეს შესანიშნავი დოკუმენტი ნახეს მოსკოვში აკრედიტებულმა უცხოელმა ჟურნალისტებმა. „რეიტერის“ სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით: ვიდეოფირზე გარკვევით ჩანს, რომ ჯარი შეტევაზე გადავიდა, დემონსტრანტთა მხრიდან ყოველგვარი გამოწვევის გარეშე. როცა ვიდეოფირზე გამოჩნდა დაღუპულთა დასახიჩრებული გვამები დარბაზში მყოფნი ცრემლებს ვერ იკავებდნენ.

განყოფილების დასკვნის სახით

ასეთი მიმართვები და განცხადებები უამრავია და მოიცავს თიქმის მთელ ქართულ საზოგადოებრიობას, უმნიშვნელო პარტიული აპარატის აქტივისტების გამოკლებით. სამწუხაროდ, ჩვენი გამოცემის შეზღუდულობა, ნებას არ გვაძლევს მეტის გამოქვეყნების საშუალებას. საბედნიეროდ, სამშობლოს ოფიციალური პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მათ და ფართოდ უთმობს ადგილს.

ჩვენ არ გვგონია, რომ მათი ავტორები ისე გულუბრყვილონი არიან, რომ ელოდებიან გორბაჩოვის პოზიტიურ პასუხს, ან მათი სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ მაინც ამ საჯარო გამოსვლებს, შესრულებული ბოროტმოქმედების მიმართ აშკარად აღებულ პოზიციებს, აქვთ უზარმაზარი მნიშვნელობა ჩვენი ერის დღევანდელი მაჯისცემის, სულიერი განწყობილების გასაგებ-შესამოწმებლად.

ქართველი ხალხის დღევანდელი ბრძოლა საოცრად წააგავს ბიბლიურ დავითისა და გოლიათის შერკინებას.

თუ ჩვენი ხალხი შეძლებს ხანგრძლივად შეინარჩუნოს ის სიმტ-



კიცე და ერთსულოვნება, რომელსაც ის იჩენს ცხრა აპრილიდან მოყოლებული დღემდე, მაშინ გამორიცხული არაა, რომ განმეორდეს, პატარა დაეთმა ისე იზვიმოს გამარჯვება.

*** *** *** ***

**აპრილის მანიფესტაციების გამო-
მწვევი მიზეზი**

აფხაზეთის პრობლემა

ქართველი ხალხის სამართლიანი გულისწყრომა და საპროტესტო მანიფესტაციები, რომელიც ცხრა აპრილის ბარბაროსული აქტით დაგვირგინდა, გამოიწვია, 18 მარტს, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზეთის ე. წ. სახალხო ფრონტის მიერ მოწვეულმა კრებამ, რომელმაც გაიზიარა, სსრკ მეცხრამეტე პარტკონფერენციისადმი „58 აფხაზის მიმართვა“, მას ხელი მოაწერა კრების მთელმა შემადგენლობამ, მათ შორის, აფხაზეთის კომპარტიის ყველა აფხაზმა ხელმძღვანელმა, პირველ მდივან ადლებას ჩათვლით, და როგორც პეტიცია გაეგზავნა საბჭოთა კავშირის მთავრობას. ამ მიმართვის ტონი და შინაარსი შეურაცხყოფელია ქართველებისათვის და მასში გამოთქმული მოთხოვნები – მიუღებელია. ამ პეტიციის ტექსტი გამოქვეყნდა აფხაზეთში, მაგრამ არა ქართულ პრესაში. ამ პეტიციის სრული ტექსტი ასეთია:

„მეცხრამეტე საკავშირო პარტკონფერენციას

პატივცემულო ამხანაგებო!

XIX საკავშირო პარტკონფერენციის თეზისებში, ყველაზე აქტუალურ და დაუყოვნებლივ გადასაწყვეტ საკითხებში არის საკითხი – ეროვნებათშორის კავშირების სრულყოფისა და ურთიერთობის შესახებ, ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს თითოეული ერისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის შესახებ, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის. ლაპარაკია სტალინურიბერიასეული ეროვნული პოლიტიკის მძიმე შედეგების ლიკვიდაციის შესახებ, რამაც ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ხალხები კატასტრო-



ფის ზღვარზე დააყენა. ერთ-ერთი პირველი ერი, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკის „სიკეთე“ განიცადა, იყო აფხაზი ხალხი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი სტალინისა და ბერიასათვის თავისებურ გამოსაცდელ პოლიგონს წარმოადგენდა, სადაც მუშავდებოდა მეთოდი, რომელიც შემდეგ ვრცელდებოდა ქვეყნის სხვა რეგიონებზე. აქ იყო ყველაფერი: ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპები ყველა მუხლში და ყველა დებულებაში მახინჯდებოდა. აი მათი არასრული სია:

1) ყველაზე გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა, აგრეთვე სახალხო მეურნეობასა და კულტურაში ახლად ჩასახული ეროვნული კადრების მიმართ რეპრესიების მოწყობა და მათი ფიზიკური განადგურება. ამ გაჩანაგების შედეგები საშინელია და ისინი ძალზე მწვავედ იგრძნობა დღემდე, ნახევარი საუკუნის შემდეგ.

2) კულტურის ძეგლთა განადგურება, აფხაზური ენის ფიზიკური აკრძალვა, აფხაზური სკოლებისა და ბეჭდვითი გამომცემლობების დაკეტვა, აფხაზური ენის ამოღება საქმისწარმოების სფეროდან და ასე შემდეგ.

3) აფხაზეთის ბუნების თანმიმდევრული და გეგმაზომიერი განადგურება, მდგომარეობა, რომელიც დღეს შეიძლება დახასიათდეს როგორც, თუ კატასტროფა არა, ეკოლოგიური კრიზისი მაინც.

4) აფხაზი მოსახლეობის ძალისმიერი გაქართველება, შესაბამის გრაფებში ქართული გვარებისა და ეროვნების ჩვენებით.

5) ქართველთა მასობრივი ჩასახლება ე. წ. აფხაზეთის ცარიელ მიწებზე. თანაც ასეთი ჩასახლების პროგრამის განხორციელება გრძელდება დღესაც და გათვალისწინებულია სულ ცოტა 2000 წლ. ამის მიზანს წარმოადგენს აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების ძირეული შეცვლა.

6) აფხაზეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტოპონიმიკის განადგურება. ამჟამად აფხაზურ ძეგლთა თითქმის ნახევარზე მეტს ისტორიული სახელწოდებები ან ქართულად აქეთ შეცვლილი, ანდა დამახინჯებულია.

7) წარმოებს საქართველოს მიერ აფხაზეთის მიმართ ჩატარებული ფაქტიური გენოციდის „მეცნიერული დასაბუთებანი“, დამახინ-



ჯება ისტორიის და ჰუმანიტარულ ნაწარმოებთა სფეროში, აფხაზთა და ქართველთა მთელი თაობების მეხსიერებით კონ ის ცნება, რომ აფხაზები ერთ-ერთ ქართულ თემს არ წამოადგენენ, რომ აფხაზეთის ისტორია მხოლოდ „დიდი საქართველოს“ ისტორიის შემადგენელ დაწილს არ წარმოადგენს, რომ აფხაზურ ენას არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ ენასთან. ასეთი სახის სიყალბეებისა და მონაპოვებისაგან შეიძლება დიდი ბიბლიოთეკის შედგენა. ამავე დროს, ყველა მეცნიერული ნაშრომი, რომლებშიც გამოთქმული იყო სხვა თვალსაზრისები ამოიღებოდა ფონდებიდან, ნადგურდებოდა და თანამედროვე მწერლების ნაშრომები ამ თემატიკაზე არ იბეჭდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ აფხაზურ გამომცემლობას აკრძალული აქვს აფხაზი ისტორიკოსების შრომების გამოქვეყნება. არცერთ პარტიულ დოკუმენტში, რომელიც კი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გამოსულა საქართველოში სტალინის პიროვნების კულტისა და ბერიას თვითნებობის კრიტიკის დაწყების დღიდან, ეს დანაშაულობანი აფხაზი ხალხის მიმართ არ ყოფილა საჯაროდ დაგმობილი. სანახევრო ზომები მათი შედეგების სალიკვიდაციოდ ხშირად დეკორაციების შეცვლას წააგავდა და ფაქტიურად შეიძლება ითქვას, რომ რეპრესიები და გაქართველება გუშინდელ დღედ ჩაითვალოს, დანარჩენი კი, რაც ამოფარებულია „ერის უმაღლეს ინტერესებს“, კვლავაც ხორციელდება.

ეროვნული ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტას საქართველოსა და აფხაზეთს შორის, სხვადასხვა დადგენილებებისა და დოკუმენტების მეშვეობით, რომლებიც შესრულებული იყო კეთილი სურვილების გამოხატვით, არავითარი შედეგები არ გამოუღია და ვერც გამოიღებდა. მათი ცხოვრებაში გატარება მთლიანად დამოკიდებულია საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოებზე, რომლებიც საკითხს არა აფხაზეთისა და მისი მკვიდრი მოსახლეობის სასარგებლოდ წყვეტენ, არამედ, მათ მიერ გატარებული ცალკეული დათმობები, ღონისძიებანი მიმართულია არა პრობლემის ძირეული გამოსწორების, არამედ უკვე ჩამოყალიბებული ვითარების შენარჩუნებისაკენ. ამის დამადასტურებელ მაგალითს წარმოადგენს 1978 წლის მოვლენები, როდესაც აფხაზეთში სერიოზული მღელვარებების შემდეგ მიცემული იქნა ძალზე უხვი დაპირებები. ყველაფერი ამის



ეფექტი, როგორც ახლა ამას სამართლიანად წერენ, ნოღის უღრის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. საქართველოს საბჭო-სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია, ავტონომიური რესპუბლიკის სახით, იმაზე მოწმობს, რომ როგორც ჩანს საქართველოს ხელმძღვანელობას არ შეუძლია, აფხაზ ხალხს რეალური ავტონომია მისცეს, ისეთი ავტონომია, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთის შრომით, ეროვნულ-ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ნორმალურ განვითარებას.

აფხაზი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში ჩამოყალიბდა კრიტიკული მდგომარეობა და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ძალზე დამამცირებელი.

ასეთი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს აფხაზი ხალხის დამოუკიდებელი განვითარების გარანტიათა განუხრელი განხორციელება, მისი პრობლემების პირდაპირი გაგება და არა ის ინტერპრეტაცია, რომელიც თავს არის მოხვეული საქართველოს მხრიდან. ანუ, აქ ლაპარაკია აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის უშუალო მიერთებაზე საბჭოთა კავშირთან.

ჩვენ მივმართავთ **XIX** პარტიკონფერენციას თხოვნით, რომ გამოეყოს პარტიულ-მთავრობისეული კომისია ამ საკითხის ღრმა და სამართლიანი გადაწყვეტისათვის.

თან ვურთავთ მასალებს, რომლებიც შეიძლება საწყისად გამოდგეს კომისიის მუშაობისათვის.“

ხელს აწერს აფხაზეთის წამყვან პარტიულ მუშაკთა და ინტელიგენციის **58** წარმომადგენელი.

*

როგორც თავშივე აღინიშნა, ამ წერილს შეუერთდა აფხაზეთის ასსრ პარტიულ-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა და ათასობით აფხაზი, **18** მარტს სოფელ ლიხნში მოწვეული საჯარო კრების დადგენილებით და როგორც აფხაზეთის ასსრ-ს ნება-სურვილი იგი უშუალოდ გადაეცა კრემლის ხელისუფლებას.

აფხაზთა ერთი ნაწილის ანტიქართული გამოსვლა, თუმცა მოულოდნელი არ შეიძლება ყოფილიყო, მაინც მთელმა ქართულმა საზოგადოებამ ძლიერ უარყოფითად მიიღო და განიცადა იგი, როგორც მუხთლად ზურგიდან მახვილის ჩაცემა. დაუყოვნებლივ დაიწყო მღე-

ლვარება და საპროტესტო მანიფესტაციები, როგორც აფხაზეთში ისე მთელს საქართველოში.

*

24 - 25 მარტის დემონსტრაციები თბილისსა და აფხაზეთში.

დასავლეთის ინფორმაციის სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობები, რომ 24 და 25 მარტს თბილისსა და აფხაზეთში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები, მოსკოვის მიერ ხელოვნურად შექმნილი ე. წ. „აფხაზურ საკითხთან“ დაკავშირებით.

პარასკევს, 24 მარტს, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამართეს მრავალათასიანი მიტინგი. მათ პროტესტი გამოთქვეს აფხაზეთის მთავრობის მოქმედებათა გამო, რომელმაც, ამ ცოტა ხნის წინად მოითხოვა აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს შემადგენლობიდან და მისთვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მიანიჭება. მიტინგზე გამოვიდნენ მეცნიერები, ისტორიკოსები, საზოგადო მოღვაწენი, რომლებმაც გააკრიტიკეს აფხაზეთის ხალისუფალთა ქმედებანი, მიმართული საქართველოს ეროვნული დასუსტებისაკენ. ორატორთა შორის იყვნენ აკადემიკოსი აკაკი ბაქრაძე და პროფესორი ნოდარ ნათაძე.

შაბათს, 25 მარტს, ვაკის პარკში გაიმართა საქართველოს საზოგადოებრივობის დიდი მიტინგი, რომელშიც დაახლოებით 30.000 კაცი მონაწილეობდა. მიტინგის ორგანიზატორი იყო საქართველოს სახალხო ფრონტის საინიციატივო ჯგუფი. ამ ორგანიზაციის შექმნა ამჟამად მიმდინარეობს, რომელშიც შევლენ საქართველოს ინტელიგენციის, სტუდენტობისა და მუშების ფართო ფენების წარმომადგენლები. ვაკის პარკიდან დემონსტრაციები მთავრობის სახლისაკენ გაემართნენ. აქ დემონსტრანტებს სხვებიც შეუერთდნენ ასე, რომ დემონსტრანტთა რიცხვი 40-50 ათასს აღწევდა. მილიციას სურდა, გზა გადაეღობა დემონსტრაციისათვის, მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედნისაკენ მსვლელობისას, მაგრამ იგი ვერაფერს გახდა. აქ კიბეებზე, საქ. მთავრობის რეზიდენციის წინ, 120-მა დემონსტრანტმა საშიშროლო გაფიცვა გამოაცხადა. დემონსტრანტებს

ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები, წარწერებით: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეკლარაცია“, „არ დავუშვებთ მეორე ყარაბაღს!“, „თავისუფლება საქართველოს პოლიტატიმრებს!“

საქართველოს მთავრობამ სასწრაფო მოლაპარაკებები დაიწყო დემონსტრანტებთან, რაც გამოწვეული იყო მისი შიშით, რომ მეორე დღეს, კვირას 26-ში არჩევნები იყო და ეშინოდა არეულობა არ მომხდარიყო. საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა მიიღო წარმომადგენლები, მათ შორის ზვიად გამსახურდია, და შეპირდა, რომ ყველა მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, მათ შორის, პოლიტატიმრების: კულუმბეგაშვილის, იმნაძისა და დობორჯინიძის განთავისუფლებას. იგივე დაპირებები გაიმეორა დემონსტრანტთა წინაშე სიტყვით გამოსულმა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავ – რე ოთარ ჩერქეზიამ. ამის შემდეგ დემონსტრანტები დაიშალნენ და 120-მა აქტივისტმა შიმშილობა შესწყვიტა. მათ გააფრთხილეს მთავრობა, რომ თუ მისი დაპირებები არ იქნება შესრულებული, მაშინ მთელს საქართველოში განახლებდა აქციები.

ამავე დღეს ხალხმრავალი მანიფესტაციები ჩატარდა აფხაზეთშიც.

სწორედ იმ დღეებში მე ტელეფონით დაეუკავშირდი ზვიად გამსახურდიას და ვთხოვე მისი აზრი გამოეთქვა „აფხაზეთი კრიზისის“ შესახებ. მან მიპასუხა:

„ქართველი სამართალდამცველებისა და პატრიოტების აზრით, ეს კრიზისი მოსკოვის მოწყობილია, რომელსაც სურს მეორე ყარაბაღის პროვოცირება. მოსკოვი ამკარად აქეზებს აფხაზ სეპარატისტებს, რომელთა მოთხოვნები უგუნური და შეურაცხყოფელია საქართველოსათვის. აფხაზი სეპარატისტები ამბობენ, რომ საჭიროა აფხაზეთის სსრ შექმნა, ამ ისტორიულ ქართული მიწის საქართველოდან ჩამოშორება, იქიდან ყველა ქართველის გასახლება და ა. შ.

ამგვარი რამეები წინათაც ეწყობოდა და ქართველი სამართალდამცველები მუდამ იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ. ამჟამად, როცა ქართული ეროვნული მოძრაობა აღმავლობას განიცდის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკის სენატში წამოიჭრა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, როგორც ჩანს, გადასწყვიტეს

ჩვენთვის ზურგში დანის ჩართვმა და მკვეთრად გააქტიურეს ეს პროვოკაციები. მოსკოვს ამ გზით სურს ჩვენი მოძრაობის დაშინება, მისი მოღვაწეობისათვის დამბლის დაცემა, მთელი ყურადღების აფხაზეთზე გადატანა და ჩვენთვის შინაური პრობლემის თავზე მოხვევა. მე ვიტყვადი, რომ მოსკოვი ყოველმხრივ ცდილობს „აფხაზეთი კოზირის“ გათამაშებას ჩვენს მოძრაობასთან ბრძოლაში.“

კითხვაზე: თუ ვინ შედის საქართველოს სახალხო ფრონტის საინიციატივო ჯგუფში, ზ. გამსახურდიამ უპასუხა:

„ნოდარ ნათაძე, აკაკი ბაქრაძე, ირაკლი შენგელაია, საქ. მწერალთა კავშირის თავ. რე მუხრან მაჭავარიანი, მე და სხვები. ჩვენ სახალხო ფრონტი წარმოგვიდგენია, როგორც ლეგალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელშიც შევიდოდნენ ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო. რასაკვირველია, ეს ბევრად უფრო ზომიერი ორგანიზაციაა, ვიდრე სამართალდაცვითი და ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფები, მაგრამ პოლიტიკურად მისი შექმნა მეტად მნიშვნელოვანია. ეს ფრონტი ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა სახალხო ფრონტების მსგავსი იქნება. ამ ფრონტის დევიზია: ეროვნული გადარჩენა, და არა ეროვნული განთავისუფლება.“

ხელისუფლება ჯერ არ რთავს ჩვენი რეგისტრაციის უფლებას, მაგრამ, ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში წავა ამაზე“.

კითხვაზე, თუ როგორ ჩაიარა გასულ კვირას სახალხო დეპუტატთა არჩევნებმა, ზ. გამსახურდიამ უპასუხა:

„ჩვენ მხარს ვუჭერდით ორ კანდიდატს: აკაკი ბაქრაძეს და პარმენ მარგველაშვილს. ნოდარ ნათაძის რეგისტრაცია არ მოახდინეს იმის გამო, რომ ის არ აწყობს ხელისუფლებას. საერთოდ კი, ყველგან წარმოებდა კანდიდატებად წამოყენება ისევე იგივე ბრეჟნეველებისა და სტალინელების, უმეტეს შემთხვევაში თითო კანდიდატისა თითო საარჩევნო უბანში. ხალხი ისეთივე აპათიას იჩენს ამ არჩევნებისათვის, როგორც წინაღ., —თქვა ზვიად გამსახურდიამ.“

თენგიზ გუღავა

რუსულიდან თარგმნა ზურაბ ნარსიაძე



25 მარტის მანიფესტაციები
აფხაზეთში

თბილისიდან ტელეფონით მივიღეთ სანდო ინფორმაცია, 25 მარტს აფხაზეთში, კერძოდ სოხუმში გამართული მასიური საპროტესტო მანიფესტაცია-მიტინგის შესახებ. ამ აქციის გამომწვევი მიზეზი უკვე იცის ჩვენმა მკითხველმა, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები და პირდაპირ გადავალ სოხუმის მანიფესტაციის აღწერაზე, რომლის ინიციატივაც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას ეკუთვნოდა. ი. ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის ფილიალმა წინასწარ გაავრცელა ათასობით პროკლამაცია, რომელშიც განმარტებული იყო საპროტესტო მანიფესტაციის გამომწვევი მიზეზები და მიზნები. აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ქ. სოხუმის რუსთაველის საზოგადოებამ და ახალგაზრდულმა ასოციაციამ.

დემონსტრაციის ორგანიზატორებმა უარი განაცხადეს მთავრობის წინადადებაზე – ჩაეტარებინათ სანქციონირებული მიტინგი გალში, ან არასანქციონირებული – ქალაქის სტადიონზე. მიტინგი ჩატარდა წინასწარ დადგენილ ადგილს. გალში მიტინგის ჩატარება ნიშნავდა აფხაზეთიდან უკანდახევას სამეგრელოსაკენ და ამრიგად მიუღებელ კომპრომისს წარმოადგენდა.

25 მარტის დილიდანვე სოხუმში იგრძნობოდა ქართული საზოგადოების დიდი გამოცოცხლება. ლენინის მოედანი დილიდანვე გადაკეტილი აღმოჩნდა ავტობუსებით. ხალხმა თავი მოიყარა ცოტა მოშორებით, იმავე მოედანთან. მათ ჰქონდათ ეროვნული დროშები და ტრანსპარანტები წარწერით: „საქართველოს გათიშვის ცდებს წარმატება არ უწყერიათ!“, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუფლენეს!“ და სხვა. მიტინგი დაიწყო დღის პირველ საათზე, იგი მიჰყავდა ი. ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრს ნუგზარ მგალობლიშვილს. სიტყვებით გამოვიდნენ ვლადიმერ ვეკუა, დიმიტრი ჯაინანი, მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, ბორის კაკუბავა, თამარ ჩხეიძე, გია ქაღარია, ქართველი ებრაელების წარმომადგენელი ფიზიკი. გამომსვლელები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დღევანდელი სიტუაცია შედეგია რუსეთის იმპერიული პოლიტიკისა. აგრეთვე გაკრიტიკებული იქნა საქართველოს მთავრობის დანაშაულებრივი

შემწყნარებლობა აფხაზეთში წარმოებული ანტიქართული კამპანიისადმი. ი. ჭავჭავაძის საზოგადოება თვეების განმავლობაში აფრთხილებდა მთავრობას ასეთი შედეგების შესახებ.

მიტინგის მიმდინარეობის ერთ მომენტში გამოჩნდნენ სპეცჯარის ნაწილები, ფარებით და ხელკეტებით, რომლებმაც გაიარეს ლენინის მოედანზე, მაგრამ მალევე თვალს გაეფარნენ.

მიტინგის ბოლოს წაკითხული იქნა რეზოლუცია შემდეგი შინაარსის:

„1989 წლის 25 მარტს სოხუმში ჩატარდა დაახლოებით 30.000 კატანი მიტინგი, რომელიც უშუალოდ გამოიწვია 18 მარტის, ლიხნში სეპარატისტთა პროვოკაციული შეკრების დადგენილებამ და მიმართვამ საბჭოთა მთავრობისადმი: აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის და მოკავშირე რესპუბლიკად გადაქცევის თაობაზე.

ეს მიმართვა არის: ა) ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების ხელყოფა, ვინაიდან აფხაზეთი ისტორიულად, ტერიტორიულად და პოლიტიკურად საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ბ) ანტიკონსტიტუციური, რადგან ავტონომიურ რესპუბლიკას არ გააჩნია გამოყოფის უფლება. გ) სიყალბის შემცველი, რადგან ახდენს ისტორიული ფაქტების უტიფარ ფალსიფიკაციას.

გარდა ზემოდ თქმულისა, აღნიშნული მიმართვა აშკარად შეიცავს მთელი ქართველი ერის შეურაცხყოფელ, აბსურდულ ბრალდებებს, რომელსაც ხელს აწერს ერთ მუჟა სეპარატისტებს აყოლილი რამდენიმე ათასი აფხაზი. ყოველივე ზემოთქმული შედეგია იმპერიული პოლიტიკისა, რომელსაც ათწლეულობის მანძილზე ატარებს მოსკოვი აფხაზეთა და ქართველთა ურთიერთ წაკიდების მიზნით, რაც მას სჭირდება საქართველოში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად. აფხაზეთში შეიქმნა არანორმალური ვითარება, რაც გამოიხატება ქართველთა ყოველმხრივ დისკრიმინაციაში. ეს ერთობ რელიეფურად აისახება ტენდენციურ ანტიქართულ საკადრო პოლიტიკაში, ისტორიის ფალსიფიკაციაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შეუნიღბავ ანტიქართულ პროპაგანდაში და სხვა.

ყოველივე ამის გამო გამოეთქვამთ კატეგორიულ პროტესტს, მოვითხოვთ ქართველი მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების აღდგენას აფხაზეთში და ვაცხადებთ: აფხაზეთი იყო, არის და იქ

ნება საქართველოს განუყოფელი ორგანული ნაწილი. ყოველგვარ მცდელობა მისი მოწყვეტისა დედა-სამშობლოსაგან აუტონომიურობის გამოიწვევს მთელი ქართველი ერის უკომპრომისო წინააღმდეგობას და დღის წესრიგში დააყენებს საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის საკითხს, თუ არ შესრულდება ქართველი ერის შემდეგი კანონიერი მოთხოვნები:

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი ხალისუფლება უშუალოდ და ფაქტიურად უნდა ექვემდებარებოდეს საქართველოს სსრ მთავრობას და არ არღვევდეს კონსტიტუციას.

2. შეწყდეს რუსი შოვინისტების წამქეზებლური ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში, მათ მიერ დენაციონალიზებული პირების გამოყენება ერთა შორის შუღლის პროვოცირებისათვის.

3. საქართველოს მთავრობამ შეწყვიტოს აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული კამპანიისადმი წაყრუების პოლიტიკის გატარება. დაუყოვნებლივ გასცეს ადექვატური პასუხი ამა წლის 18 მარტის სოფელ ლიხნში შეკრებილ სეპარატისტების მიერ მიღებულ მიმართვას, რომელშიც უგულვებელყოფილია მოსახლეობის უმრავლესობის ნება.

4. რესპუბლიკის ქართულ და რუსულ პრესაში კომპეტენტური პასუხი გაეცეს ე. წ. „აფხაზურ წერილს“, რომელიც წარმოადგენს გაყალბებულად ისტორიულ სინამდვილეს და პირდაპირ შეურაცხყოფელია ქართველი ერისა.

5. შეწყდეს აფხაზეთის პრესასა და ტელევიზიაში ანტიქართული პროვოკაციული პროპაგანდა.

6. ბოლო მოეღოს აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკაში ანტიქართულ საკადრო პოლიტიკას.

7. საქართველოს სსრ მთავრობამ შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ავტონომიური წარმონაქმნების სამართლებრივ საფუძვლებს და შესაბამისად ჩატარდეს რეფერენდუმში მათი არსებობის მიზანშეწონილობის გასარკვევად.

8. შეწყდეს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიის გაყალბება და აღდგენილი იქნას ისტორიული ქართული და აფხაზური ტოპონიმები.

9. განახლდეს საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფაკულტეტი.



ლტეტზე სტუდენტთა მიღება, რასაც სამართლიანად მოითხოვს როგორც ქართველი, ასევე აფხაზი საზოგადოებრივობა.

10. სრული განუკითხაობის ატმოსფეროს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აფხაზურ სკოლებში შემოდებულია აფხაზეთის ისტორიის საგანი, რომლის სახელმძღვანელო ჯერაც არ არის დაწერილი. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ნებისმიერი პედაგოგი აღსაზრდლებს გადასცემს თავის პირად შეხედულებას ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე და არა მეცნიერულად დადგენილ ობიექტურ ისტორიას. ამიტომ მოვითხოვთ: გაუქმდეს აფხაზეთის ავტონომურ სსრ განათლების სამინისტროს **1989** წლის **18** იანვრის №**17** ბრძანება და შეწყდეს აფხაზეთის ისტორიის სწავლება სკოლებში, სახელმძღვანელოსა და პროგრამის შედგენამდე.“

რეზოლუცია მიღებულია ერთხმად. სოხუმი, **1989** წ. **25** მარტი.

რადგანაც ეს დღე იყო საქ. ეკლესიის ავტოკეფალიის დღე, მიტინგის დამთავრების შემდეგ დამსწრენი გაემართნენ სოხუმის ქართულ ეკლესიისაკენ.

სოხუმის გარდა, ამავე დღეს დაახლოებით ოცათასიანი მიტინგი მოეწყო ქალაქ გაღში.

ზაქარია ლაშქარაშვილი

„საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტში“*)

4 აპრილს გაიმართა საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტის სხდომა. იგი მიეძღვნა აფხაზეთში მომხდარ მეტად მძიმე და სამწუხარო ამბებს. კერძოდ, **1988** წლის **17** აგვისტოს აფხაზი სწავლულებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა ე. წ. „აფხაზური წერილი“. მიმდინარე წლის თებერვლისა და მარტის ნომრებში წერილი გამოაქვეყნა გულაუთის რაიონულმა გაზეთმა „ბ ზ ი ფ მ ა“.

წერილში მოთხრობილია აფხაზეთის ისტორია დასაბამიდან დღემდე (**IV** ათასწლეული ჩვ. წ. აღ.). ლაპარაკია აფხაზეთის სამეფოს შექმნაზე, რომელიც არასდროს არ არსებულა, ლაპარაკია აგრეთ-

გე ტოპონიმთა წმინდა აფხაზურ წარმოშობაზე, რაც უმთავრეს შემთხვევაში სრულიად არამეცნიერულია.

ყველაზე სავალალო და სამწუხარო ისაა, რომ ამ „მეცნიერულ“ ფალსიფიკაციას თან ემატება ყოვლად უსინდისო ცილისწამება, თითქოს ქართველი ხალხი ჩაგრავდეს აფხაზ ხალხს. წერილი ბოლოვდება თხოვნით სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომლის არსი შემდეგშია: თუ აფხაზეთის ასსრ დროზე არ იქნა გაყვანილი საქართველოს სსრ შემადგენლობიდან და თუ არ დაუმკვიდრდა მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი, რაც მას 1921 წელს ჰქონდა, აფხაზი ერი გადაშენდება და გაითქვიფება ქართველებში. წერილს ხელს აწერს 60 კაცი, ამათგან 18 საკავშირო მწერალთა კავშირის წევრია.

1989 წლის 24**) მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზეთის სახალხო ფრონტის „აიდგილარას“ ინიციატივით შედგა ხალხმრავალი კრება, რომელმაც მიმართვა გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოს და რიგ სამეცნიერო ცენტრებს. კრებას ესწრებოდნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მუშაკები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, აფხაზეთის მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლები.

ლიხნში მიღებული დადგენილებისა და მიმართვის ტექსტები გამოქვეყნდა გაზეთ „სოვეტსკაია აფხაზიაში“. საქართველოს მწერალთა სამდივნომ ყველა მასალა წინასწარ გააცნო პრეზიდიუმის წევრებს.

პრეზიდიუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა. მან მოკლედ ილაპარაკა აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე და წამოაყენა კონკრეტული წინადადებებიც. კერძოდ, „აფხაზური წერილის“ საპასუხოდ შეიქმნას „ქართული წერილი“, რომლის შედგენაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა. ამ წერილში „აფხაზური წერილის“ თითოეულ პუნქტს უნდა გაეცეს პასუხი და დასაბუთდეს მისი აშკარად მცდარი, ყალბი პათოსი, რომელიც ყოველგვარ გონიერებასაა მოკლებული. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ უნდა გამოქვეყნდეს როგორც „აფხაზური“,



ისე მისი საპასუხო „ქართული“ წერილები, ქართულ და ენგლებზე. შემდეგ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცალკე წიგნად უნდა გამოიცეს. საქართველოს ტელევიზიამ აქტიურად უნდა გააშუქოს ეს წერილები. ამ წერილების ავტორები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და გამართონ დიალოგი აღნიშნულ საკითხზე, რაც ფართოდ გაშუქდება ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით.

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ გურამ გვერდწითელი, გურამ ფანჯიკიძე, რომან მიმინოშვილი, რევაზ ჯაფარიძე, გრიგოლ აბაშიძე, ტარიელ ქანტურია, ჯანსუღ ჩარკვიანი, მურმან ლებანიძე, ნოდარ წულუეისკირი, გიორგი ციციშვილი, ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ ინანიშვილი, მედეა კახიძე, ოთარ ჭელიძე, სერგი ჭილაია, სარგის ციციშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი მერკვილაძე, არჩილ სულაკაური, ენვერ ნიყარაძე, ელგუჯა მაღრაძე, ელიზბარ ჯაგელიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, გიორგი ჯიბლაძე, ხუტა ბერულავა, ბესიკ ხარანაული.

პრეზიდენტის სხდომაზე წაიკითხეს აგრეთვე რეზოლუციის წერილი, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა.

გამომსვლელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მუხრან მაქავარიანის წინადადებებს და წამოაყენეს დამატებითი წინადადებები, თან ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წერილის ავტორთა მოთხოვნები არის პროვოკაციული და ცილისმწამებლური. არცერთ ერს ალბათ ისეთი შეურაცხყოფა არ მიუყენებია სხვა ერისათვის, როგორც წერილის ავტორებმა მიაყენეს ქართველებს. გარდა ამისა, წერილი არის აშკარა დასმენა ქართველი ერისა საკავშირო ხელმძღვანელობის წინაშე. წერილში გადმოცემული ცილისმწამებლური ამბების მომხრენი ცდილობენ ქართველებს აუმხედრონ ამიერკავკასიაში მცხოვრები სხვა ეროვნებანი, ამიტომაც სასამართლოს წესით მკაცრი პასუხი უნდა მოვთხოვოთ ამ ცილისმწამებლურ პასკვილზე ხელმომწერთ.

აღინიშნა ისიც, რომ, რაც აფხაზეთში ხდება, ლოგიკური მოვლენაა ათეული წლების მანძილზე ყოვლად დაუსაბუთებელი და გაუმაართლებელი ცალმხრივი დათმობის პოლიტიკისა, რასაც ჩვენი მთავრობა ამ მოვლენების დასაბამიდანვე ადგა. იწერებოდა აფხაზი

მეცნიერების უსაფუძვლო, კრუმეცნიერული წერილები, მეცნიერებს კი საშუალებას არ აძლევდნენ სათანადო პასუხი გაცე-
 მით მათთვის. სამწუხაროდ, ასეთი რეციდივები დღესაც გრძელდებ-
 ა.

პრეზიდუმის წევრებმა აღნიშნეს ისიც, რომ ზოგიერთი მწერ-
 ლის ნაწარმოებები, რომლებიც რატომღაც თავს აფხაზ მწე-
 რლებად მიიჩნევენ, ხელს უწყობენ აფხაზთა და ქართველთა შორის
 შუღლის ჩამოგდებას. ამ სამწუხარო მისიას ემსახურება აგრეთვე
 ზოგიერთი არააფხაზი მკვლევარის ყოვლად არამეცნიერული „ნა-
 შრომებიც“, რომელთა დემაგოგიური, აშკარად შეგნებული ფალსი-
 ფიკაციური ხასიათი სასწრაფოდ უნდა იქნას მხილებული. ისინი
 ვინც ამას შეგნებულად აკეთებენ, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გა-
 რდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის მტრები არიან და
 მათ საქციელს თავისი სახელი უნდა დაერქვას. დიახ, უნდა გამოქ-
 ვეყნდეს ქართველ მეცნიერთა წლების მანძილზე სრულიად უსამარ-
 თლოდ ტაბულადებული ნაშრომები, რომლებშიც ობიექტიურად და
 პირუთვნელადაა განხილული ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთი-
 ერთობანი, ეთნოგრაფიის, დემოგრაფიის საკითხები. უნდა გამოქვე-
 ყნდეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები,
 მათ უნდა მიეცეთ ტელევიზიით და რადიოთი გამოსვლის საშუალე-
 ბა. ამასთანავე პრეზიდუმის წევრებმა იმსჯელეს ავტონომიური
 რესპუბლიკის სტატუსის მიზანშეწონილობის შესახებ.

პრეზიდუმის წევრებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ არაფრ-
 ით არ შეიძლება აფხაზი ექსტრემისტების გაიგივება მთელ აფხაზ
 ხალხთან, და რომ აფხაზეთის საზოგადოება შეძლებს ექსტრემისტე-
 ბის იზოლაციას, ხელს შეუწყობს სეპარატისტული განწყობილების
 ლიკვიდაციას.

ნურავის დაავიწყდება, რომ არ არსებობს არავითარი კონსტიტუ-
 ციური თუ იურიდიული საფუძველი, საქართველოს გამოეყოს თავი-
 სი ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია. ამიტომაც ვერავის მიცე-
 მთ უფლებას, ერთმანეთს გადაამტეროს აფხაზი და ქართველი ხა-
 ლხები, რომლებმაც ერთად და ძმურად უნდა იცხოვრონ ქართულ
 მიწაზე.



პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება, საპასუხო წერილს ვერცხვად ველ ისტორიკოსებთან და იურისტებთან ერთად დაწერონ მთლიანად მაქავარიანმა, გრიგოლ აბაშიძემ, თენგიზ ბუაჩიძემ, რომან მიმინოშვილმა, გურამ ფანჯიკიძემ და რევაზ ჯაფარიძემ.“

*) (იხ. „ლიტერატურული საქართველო“ №14, 7. 4. 1989 წ. გვ. I)

**) ეს რიცხვი კორექტურული შეცდომა უნდა იყოს, რადგან ყველა სხვა წყაროების მიხედვით ლიხნის კრებას ადგილი ჰქონდა 18 მარტს. რედ.

*

თ ა ვ ის დ ა ს კ ვ ნ ა. ამით დავამთავრებთ ამ თავს, რომლის მიზანია, ნათლად წარმოჩინდეს ის მიზეზები თუ მიზეზები, რომელმაც დეტონატორის როლი ითამაშა აპრილის პირველი დღეების პატრიოტულ აქციაზე. ჩვენ ხალხს, ისევე როგორც სსრკ ნებისმიერ ხალხს, აქვს უამრავი მიზეზი უკმაყოფილებისა და მისი საჯაროდ გამოცხადებისა, მაგრამ, როგორც მოხმობილი ინფორმაციებიდანაც ჩანს, ხუთ აპრილს თბილისში დაწყებული საპროტესტო შიმშილობა და უწყვეტი მიტინგები გამოწვეული იყო საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორების მუქარით.

25 მარტის სობხუმის ქართული პატრიოტული მიტინგის რეზოლუციაში ნათლადაა ჩამოყალიბებული მოთხოვნილებანი, რომელთაც საერთოდ ქართველი ხალხი უყენებს მთავრობას აფხაზეთის „საქმეში“. საბჭოთა საქართველოს მთავრობა, ძალიანაც რომ სდომებოდა, ამ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებდა, რადგანაც ის საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანების ქვეშაა და არა ქართველი ხალხის, რის ილუზიასაც მას უქმნიან. ნამდვილი ძალაუფლება, კრემლის ხელისუფლება კი, თუ ჩამწყობი არა, იმათი მფარველი მაინცაა, ვინც აფხაზებს აქეზებს საქართველოდან გამოყოფაზე. პატიშვილი-ჩერქეზია-ჩხვიძე უნდა საჯაროდ გამოსულიყო და ეს რეალობა უნდა ელიარებინა. მათ ამის ვაჟკაცობა არ აღმოაჩნდათ. არჩიეს ფეხისტარევის, წაყრუების, უმოქმედობის პოლიტიკა, რაც უკვე გრძელდება 1978 წლიდან მოყოლებული, როცა მაშინდელმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბრევენვის ბრძანებით, ქართველი პატრიოტები ციმბირში გადაასახლა, ხოლო



აფხაზეთის ბედი გარუსებულ, ქართველების მოძულე აფხაზეთს და დაულოცა. რუსებმა სამსახური დაუფასეს და მოსკოვის იმპერიის საგარე საქმეთა მინისტრის პორტფელი უწყალობეს, ეს სხვათა შორის.

როგორც იქნა აფხაზეთის ასსრ კვ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აღლება გაანთავისუფლეს თანამდებობიდან, მაგრამ ეს ღონისძიება ნაგვიანები და არც საკმარისი აღმოჩნდა და ლტხი აპრილიდან პატრიოტული დაჯგუფებების მოწოდებით დაიწყო პოლიტიკური აქცია: შიმშილობა, გაფიცვები და მსვლელობა-მიტინგები. 7 და 8 აპრილის მიტინგებით, რომელშიც ასი ათასამდე ქართველი მონაწილეობდა, აშკარა გახდა, რომ ქართველი ხალხი საქართველოს მიწა-წყლის არცერთ გოჯს უსიკვდილოდ არ დათმობდა.

გუშაგი

*** *** *** ***

თ ბ ი ლ ის ის ჯ ო ჯ ო ხ ე თ უ რ ი გ ა ნ თ ი ა დ ი

I თავისუფალი რუსული პრესის მოწმობა:

ა) „თბილისი, ცხრა აპრილის დამდეგი დამე“
 (მცირე შემოკლებით)

„თბილისში ვიმყოფები ყოველ წელს, როგორც რუსულენოვან ალმანახ „კავკასიონ“-ის რედკოლეგიის წევრი, სარედაქტორო სამუშაოსათვის. ქალაქი, რომელიც მე ვნახე 5 აპრილს, არ ჰგავდა თავისთავს, ქალაქში დღესასწაული იყო. ყველა ქუჩებიდან და მოედნებიდან ხალხი მოედინებოდა რუსთაველის პროსპექტზე. მოდიოდნენ დემონსტრანტთა კოლონები, რომელთა თავებზეც ფრიალებდნენ დროშები: ღია ნარინჯისფერი, შავი ჯვრით, ალამი წმინდა დავითისა, მუქი წითელი მოკლე შავი და თეთრი ზოლებით ზემო მარჯვენა კუთხეში – დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, თეთრი ქსოვილი – ბაგრატიონთა ალამი... დემონსტრანტთა სახეები განსაცვიფრებელი იყვნენ თავის ახალგაზრდობით, ესენი იყვნენ სულ მოწადეები და სტუდენტები.

ცენტრი, სადაც ეს კოლონები თავს იყრიდნენ რუსთაველის პრო-



სპექტზე მდებარე მთავრობის სასახლე აღმოჩნდა. მის მიწის ნაკვეთი, კიბეებზე, ტროტუარებზე ყოველ დღეს იყრიდა თავს დიდძალი ხალხი. გამოსვლები ორატორების, რომლებიც მეგაფონით წამოიძახებდნენ, ეხებოდნენ სხვადასხვა საკითხებს. პერველყოვლისა დღისწესრიგში იდგა ე. წ. „აფხაზეთის საკითხი“, მიზეზი თბილისში დაწყებული მიტინგისა. საკითხი ეხება კრებას, რომელიც გუდაუთის რაიონში შედგა და რომელმაც მოითხოვა აფხაზეთის ჩამოშორება საქართველოდან და შეერთება რუსეთის სფსრ-სთან. ამასთანავე, აფხაზეთში ცხოვრობს ქართველების დიდი პროცენტი და როგორც ახლა წერენ ქართველი ისტორიკოსები, აფხაზეთი მდებარეობს მეგრულ, ძველ საქართველოს მიწაზე...

სახალხო ფრონტის ლიდერებმა (გამსახურდია, კოსტავა, წერეთელი) განაცხადეს, რომ რესპუბლიკის მთავრობას არა აქვს უნარი ხელმძღვანელობისა და უნდა გადადგეს. ამასთანავე იყო შთაბეჭდილება, რომ მთავრობა, რომლის მისამართითაც გამოითქმებოდა ასეთი სიტყვები, სრულიად არ არსებობდა. ქართულ გაზეთებში სიტყვა არ იყო თქმული დემონსტრაციებზე და მიტინგებზე, ტელევიზია ამ დღეებში არ მოქმედებდა, ეკრანზე არავინ და არაფერი ჩანდა. თუმცა პარასკევე საღამოს, შვიდ აპრილს, მოულოდნელად გამოჩნდა დიქტორი და გამოაცხადა, რომ სიტყვით გამოვა საქ. კპცკ პირველი მდივანი პატიაშვილიო. ის მართლაც გამოვიდა მოკლე სიტყვით, გახევებული ხმით წარმოთქვა, რომ თბილისში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობა მეტი სმეტად კატასტროფულიაო.

კატასტროფა მოხდა მომავალ ღამეს, შაბათიდან კვირადღეს.

11 აპრილს საქ. კპ ცენტ. კომიტეტის ორგანო „კომუნისტმა“ პირველად დაბეჭდა მომხდარი ტრაგედიის მოწმობა, კერძოდ – ქ. თბილისის შინაგანი სამმართველოს უფროსის რომან გვენცაძის ინტერვიუ: „ბევრი გამომიციდია ჩემს ცხოვრებაში, – თქვა მან, – მაგრამ ასეთი არ მინახავს და ვევედრები ღმერთს, რომ აღარასოდეს აღარ ვიხილო“ -ო. რამ შეაძრწუნა ასე შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი?

იმაზე თუ როგორ დაიწყო და იგვემებოდა ტრაგედია, მოჰყვა, რუსთაველის საზოგადოების წევრმა, მწერალმა ნაირა გელაშვილმა:



„ცხრაში ღამის ორ საათზე მთავრობის სახლში გამოვიხვეხნე იმი ქირურგები. საავადმყოფოებში გაიცა ბრძანება პალატების განთავისუფლების და მომზადების. ჩემი ნაცნობი ქირურგი ტრავმატოლოგი, სანამ რუსთაველის პროსპექტზე გაემგზავრებოდა, წავიდა სიონში, იქ მღვდელი მონახა და მას თხოვა, გამოეძახნა კათალიკოსი, რადგან მზადდება რაღაც საშინელებათ. მან მიიყვანა მთავრობის სასახლესთან ილია **II**, რომელმაც სიტყვით მიმართა შეკრებილთ და მოუწოდა მათ, რომ მას გაჰყოლოდნენ და თავი შეეფარებინათ ქაშუეთის ეკლესიაში (მთავრობის სახლის პირდაპირ მდებარე), რადგანაც თქვენ სიცოცხლეს საფრთხე ელოდებოთ. რამდენიმე გოგო და ბიჭი წამოდგა, რომ გაჰყოლოდნენ კათალიკოსს, მაგრამ ამ დროს მეგაფონი აიღო ხელში სახალხო ფრონტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა (ხმების მიხედვით, ის იყო წერეთელი), მან თქვა, რომ არ შეიძლება ყური ვუგდოთ პატრიარქს, რომელიც ისეთივე იუდაა, როგორც ყველა სხვა, რომ ჩვენ არაფერიც არ დაგვემართება, მათ შეუძლიათ მხოლოდ, რომ ტანკებით შეგვაშინონ. ამ მომენტში ტანკები მართლაც გამწკრივდნენ პროსპექტზე და ალყაში მოაქციეს მომიტინგენი. წერეთელმა (?) ბრძანება გასცა: „დასხედით, მსხდომარებს ხელს არ ახლებენ“. რამდენიმე წამი ისინი წყნარად ისხნენ კიბეებზე, მერე ძველი ხალხური სიმღერა წამოიწყეს უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენლებმა. რამდენიმე გოგონა წამოდგა და დაიწყეს ცეკვა მოედანზე, და ამ მომენტში მათ ყოველმხრიდან თავს დაესხნენ ჯარისკაცები: ტანკებიდან, სასახლის ეზოდან, გვერდითი ქუჩებიდან...

ბიჭმა დათმომ, რომელიც იმ ღამეს იქ იყო, მომითხრო: „ისინი იყვნენ ძალიან საშინელები, მათ სახეზე ჰქონდათ ბადისებრი ნიღბები თვალის ბუდეებით, შავით გარშემოვლებულნი. მათ ჰქონდათ ზედ ჩაჩქნები და თილეტები, შეიარაღებული იყვნენ ავტომატებით, ფარებით, ხელკეტებით და მესანგრის ნიჩბებით“.

კიბეების დასაწყისში ისხდნენ ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ კარატისტები და „ავღანელები“. მათ მიიღეს პირველი დარტყმა. მათ შეძლეს მოგერიება **3-4** თავდამსხმელის და მათი უკუგდება ტანკებისაკენ. მაგრამ თავდამსხმელებმა გვერდი აუ-

არეს მათ და გოგოების ცემა დაიწყეს. მათ სცემდნენ ნიჩბებით და ხელკეტებით კისერში და სახეში, შეძახილებით: „ესეც თქვენ, ღორებო, თქვენი სტალინისათვის!“ (ერთი დღით ადრე მე ვხედავდი დემონსტრანტების ლოზუნგებს: „სტალინი და ორჯონიკიძე საქართველოს სირცხვილია!“) ამ ღამეს თექვსმეტი მოკლულიდან (ოფიციალური ცნობაა) თოთხმეტი გოგოები და ქალებია...

ქართველი მილიციონერები, რომლებიც იმ ღამით განიარაღებული იყვნენ, შეეცადნენ გოგო-ბიჭების გადარჩენას, მათ დერეფანი გაკეთეს, რომ მომიტინგეებს გაქცევა შეძლებოდათ. მათ იგემეს დარტყმები ზურგში და შემდეგ როგორც იგივე რომან გვენცაძემ განაცხადა, ორმოცდაცამეტი მილიციონერი იმყოფება საავადმყოფოში. მათ, ვინც გარბოდნენ რბევის ადგილიდან, ცდილობდნენ დასწვებოდნენ და მოესპოთ.

პირველი აქცია, რაც მთავრობამ მოიმოქმედა ამ სისხლიანი დამის შემდეგ, ეს იყო ტელეფონების გამოთიშვა მთელს ქალაქში.

11 აპრილს საღამოს დაიწყეს ტელევიზიით პირდაპირ გადაცემა შევარდნაძის შეხვედრისა აკადემიკოსებთან, მას ახლდა პატიაშვილი. ისტორიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, რომელმაც თავის თვალთ ნახა თუ როგორ მოჰკლეს ერთი ქალი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის წინ, განაცხადა: „რა ამოძრავებდა ჩვენ ახალგაზრდობას? ის, რაც ჩვენ ყველამ დავიჯერეთ, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს დემოკრატიზაციის პროცესი. მე და ჩემი ახლობლები ახლა კი დავგეჰვლით, რომ ჩემი შვილები და შვილიშვილები იცხოვრებენ ნორმალურ საზოგადოებაში“. ამის შემდეგ გრიგოლ აბაშიძემ თქვა: „ვერავენ წარმოიდგენდა იმ მხეცურ ფორმებს, რომელიც გამოვლინდა“. აკადემიკოსების ამ შეკრებაზე ერთმა გამომსვლელმა მოჰყვა: „მე იმიტომ არ დავიღუპე, რომ იმ ჯარისკაცების ჯგუფს, რომლებიც ჩემს გვერდით იყვნენ, არ ჰქონდათ ნიჩბები, მაგრამ, როდესაც მე ხელი დავაფარე დაჭრილ გოგონას, მე მივიღე თხუთმეტი ხელკეტის დარტყმა ხელზე. მე მივთარევედი ორ დაჭრილ გოგონას მიწისქვეშა გასასვლელისაკენ, მაგრამ იქიდან გამოსვლისას, იქ იდგნენ ქართველი მილიციონერები, რომლებმაც გაგვაფრთხილეს: „არ ამოხვიდეთ, ისვრიან!“ პროსპექტის მეორე მხრიდან ისროდნენ ამბულებს უცნობი ჭიმიური ნივთიერებით“.



მომხდარი ამბიდან ორი დღის შემდეგ ტელევიზორში გამოვიდა საქ. ჯანდაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარაშვილი და თქვა, რომ ჯარისკაცები შეიარაღებული იყვნენ უცნობი მომწამლავი ნივთიერების შემცველი ამბულებითა და პულვერიზატორებით. ჩვენ მივმართეთ მოსკოვს, რათა შევეტყუთ ნივთიერების რაობა. მისგან უკვე სამი გარდაიცვალა და ჩვენ არ ვიცით თუ როგორ ვუმკურნალოთ ამით დაავადებულებს. მოსკოვიდან მოვიდა პასუხი: „სამხედრო საიდუმლებათ“...

გალინა კორნილოვა

18 აპრილი 1989

(გადმობეჭდილია „რეფერანდუმ“ - №31 -დან)

*** **

ბ) თ ბ ი ლ ი ს ი ტ რ ა გ ე დ ი ი ს წ ი ნ ა
დ ღ ე ბ შ ი

(განმეორებების თავიდან ასაცილებლად ყველა აქ მოხმობილი მოწმობა შემოკლებულია, მაგრამ წინადადებები და აზრები ორიგინალების ზუსტადაა დაცული. რედაქცია.)

... 3 - 8 აპრილს თბილისში ვიყავი კონფერენციაზე, რომელიც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტარდებოდა. ვცხოვრობდი სასტუმროში, რუსთაველის პროსპექტის გვერდით. ბევრს ვსაუბრობდი როგორც ჩემს ქართველ მეგობრებთან, ისე ქუჩაში შეხვედრილ მიტინგის მონაწილეებთან, დემონსტრანტებთან, თვით მილიციის წარმომადგენლებთან და ბევრად ვკითხულობდი ადგილობრივ რუსულენოვან გაზეთებს.

ოთხ აპრილს სააქტო დარბაზში გაიმართა მიტინგი. მასში სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს გამორჩენილი მოღვაწეები - მწერლები, მეცნიერები, არაფორმალურ გაერთიანებების წარმომადგენლები. ელოდნენ ჯუმბერ პატიაშვილს.

მიტინგი იყო აფხაზეთის ამბების გამოძახილი, რომლის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა მხოლოდ რვა აპრილს გაზეთ „მალაღობი გრუზიაში“ და არცერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი, რომ მიტინგმა



მთავრობის სასახლის წინ გადაინაცვლა და რომ ოთხი აპრილიდან ქალაქში დადიან ჯგუფები ოციანი წლების საქართველოს რესპუბლიკის წითელ-შავ-თეთრი ფერის დროშებით, რომლებიც მთავრობისაგან მოითხოვენ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტას; და არც ის, რომ ეს მცირერიცხოვანი ჯგუფები, გაზეთის გამოქვეყნების მომენტში, უკვე იქნენ მრავალათასიან მსვლელობებად და მიტინგებად. არც პარტიულმა და არც საბჭოთა მუსიკებმა საჭიროდ არ ჩათვალეს (შეეშინდათ?) გამოსულიყვნენ მიტინგებზე და განემარტათ მათი პოზიცია. არა!

ექვს აპრილს კი ქალაქში გამოჩნდნენ ჯავშნოსნები.

ამის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. საქ. კპცკ ორგანო „ზარია ვოსტოკა, როგორც წინად, ახლაც ვერ „ხედავდა“ რა ხდებოდა ქალაქში; ქალაქში კი დაიწყო გაფიცვები, გამოიცივალა ხალხის განწყობილება, მისი გარეგანი შეხედულებაც და ლოზუნგების შინაარსიც. ახალგაზრდებმა დაიწყეს 'მიმშილობა მთავრობის სასახლესთან, ქუჩებში გამოვიდნენ მოწაფეები. რუსთაველის პროსპექტი ტრანსპორტის მოძრაობისთვის იკეტებოდა ხან ნაწილობრივ, ხანაც მთლიანად, და თუ პირველ დღეს არასასიამოვნოდ გამაკვირა მთავრობის სახლის მახლობლად მილიციის მანქანების სიმრავლემ, შემდეგ ჩემთვის გასაგები გახდა, რომ მილიციასა და ხალხს შორის ანტაგონიზმი არ არსებობდა (ყოველ შემთხვევაში, ეს არ იგრძნობოდა ცხრა აპრილის სისხლიან ამბებამდე), მილიცია კი ცოტა ძალას არ ხარჯავდა, რომ არსებულ მდგომარეობაში მოძრაობა მოეწესრიგებია და არ დაეშვა შეტაკებები.

7 აპრილს „ვეჩერნი ტბილისი“ წერდა: მიტინგები გრძელდება, სამწუხაროდ, საფუძვლიან და გონიერ მოთხოვნებთან ერთად, ისმის სხვა მოწოდებები, რომელთაც საერთო არა აქვთ რა გარდაქმნის პოლიტიკასთან... ახალგაზრდების ჯგუფმა შიშობილობა გამოაცხადა... საქ. ყურნალისტთა კავშირში ლაპარაკობენ მასიური ინფორმაციის უფრო ფართოდ გაშუქების შესაძლებლობაზე, აფხაზეთის პრობლემის ირგვლივ და სხვა პრობლემებზეც, რომლებიც განსაკუთრებით აღელვებენ ჩვენს საზოგადოებას და გაუმართლებელ შეზღუდვებზე ყურნალისტთა განსხვავებული ინიციატივების მიმართ.“



8 აპრილს, როგორც იქნა, „ზარია ვოსტოკამ“ შეამჩნია რომ სიტუაცია ყოველ საათში უფრო ხურდება და მფეთქადი ხდება, რომელიც შეიძლება გაუთვალისწინებელ მდგომარეობამდე მივიდეს“ ... და შემდეგ ჩემის აზრით ყველაზე მთავარი: „ძალადობამ არ უნდა დაიმორჩილოს საერთო საკაცობრიო ღირებულებები. დემოკრატიისა და საჯაროობისათვის უცხოა მძლავრობის, ულტიმატუმის მეთოდები. ამჟამად რესპუბლიკას უჭირს, საზოგადოებრივი ძალების კონფრონტაციამ (დაპირისპირებამ) შეიძლება მძიმე მდგომარეობამდე მიგვიყვანოს“.

და ეს კონფრონტაცია მოხდა!

8 აპრილის შუა დღისას მე ვიმყოფებოდი მთავრობის სახლიდან ორ კვარტალზე. ხალხი შეშფოთებული იყო, მაგრამ ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობდა: ყიდულობდნენ ყვავილებს, დადიოდნენ ჩვილი ბავშვებით, დიასახლისები ეზიდებოდნენ ჩანთებს პროდუქტებით. უცბად, რუსთაველის პროსპექტიდან ყვირილით გარბოდნენ შეშინებული ადამიანები და რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდნენ ჯავშანტრანსპორტიორები. სწორედ მთავრობის სახლის წინ დავინახე გომიჯივით გაბრტყელებული მილიციის მანქანა. დავინახე აღელვებული ხალხი, ბევრ ქალებს ცრემლები ჰქონდათ თვალებზე. მიტინგი გრძელდებოდა. მოვიდნენ „იკარუსები“ და დადგნენ გზის პერპენდიკულარულად. მოწაფეთა ჯგუფები მოდიოდნენ და მიდიოდნენ მოედნიდან. უფროსები უკნიდან უყურებდნენ. ბევრი ტიროდა და ამბობდა: შვილებო, რა დაგეპარებათ? არ იყო საჭირო, ყოფილიყავი პოლიტიკოსი ან სტრატეგი იმისთვის, რომ გეწინასწარმეტყველა ის, რაც მოხდა შემდეგ...

(სტატიის ავტორი იმ დღეს გაფრინდა თბილისიდან და მხოლოდ გზაში შეიტყო თბილისში მომხდარი უბედურება.)

სტატია ასე მთავრდება: „მე ხშირად მესმოდა საქართველოში, რომ მათი საზოგადოებრივი ძალების სისუსტისა და უბედურების მიზეზია ერთიანი სახალხო მოძრაობის არ ქონება და გონიერ ხელმძღვანელთა ბირთვის არ არსებობა. ამ კვირაში უნდა შემდგარიყო სახალხო ფრონტის ყრილობა.

და უეცრად წამოიჭრება რიგი კითხვების: ხომ არ იყო ეს სის-

ხლიანი პროვოკაცია განზრახული პროგრესული ძალების გამტკიცების (კონსოლიდაციის) თავიდან ასაცილებლად? ვინ გასცა ბრძანება, რუსთაველის პროსპექტზე შესაშინებლად ჯავშანტრანსპორტიორების გავლისა? ვინ გასცა ბრძანება ხალხის გარეყვის შესახებ? ანდა, ისევე როგორც ავღანეთში, დამნაშავენი არ იქნებიან?

ა. სკოვროვა

(იხ. „ატმოდა“ – № 15; 17 აპრილი 1989)

გ) ტ რ ა გ ი კ უ ლ ი ღ ა მ ე თ ბ ი ლ ი ს შ ი

[მოსკოვის „ლიტერატურნოი გაზეტ“ -ის მიმომხილველის, რომელიც გახდა თვითმხილველი 8-9 აპრილის ღამის ამბების, რეპორტაჟი „ლ.გ“-ამ ის არ გამოაჭევეყნა და ავტორმა ის გადასცა დამოუკიდებელ გაზეთ „გლასნოსტ“-ს, რომლის №30-ში ის დაიბეჭდა. რედ.]

ძალიან მცირე დრომ გაიარა იმ ტრაგიკული ღამიდან, რომ კაცმა გაიგოს ის რთული სიტუაცია, რომელმაც ხოცვა-ჟლეტამდე მიიყვანა მოედანი სასახლის წინ.

სამშაბათს, ოთხ აპრილს დაწყებულმა თვითნებურმა მიტინგებმა მალე მოხსნეს დღის წესრიგიდან აფხაზეთის საკითხი. უკვე ოთხშაბათიდან დაიწყო შიმშილობები მოედანზე და განუწყვეტელი მიტინგი, სადაც არაფორმალური გაერთიანებების ლიდერები აყენებდნენ საქართველოს სუვერენიტეტის აუცილებლობის საკითხს.

რვა აპრილს მიმდინარე მიტინგი ცოტაოდნად თუ განსხვავდებოდა თავისი ფორმითა და შინაარსით წინა დღეებისაგან.

მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. ნაწილი იჯდა ტროტუარზე, ნაწილი კი იდგა ასფალტფენილზე და პროსპექტის მეორე მხარეს. დაახლოებით სამ საათზე და 30 წუთზე მიკროფონთან გამოჩნდა კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც თქვა, რომ ცნობისდა მიხედვით, რომელიც მას აქვს, შეიძლება ძალა იქნას გამოყენებული მოედნის დასაცლელად. მან მოუწოდ, ყველას დაეტოვებია ადგილი და წასულიყვნენ ეკლესიაში. მაგრამ დემონსტრანტებმა უარი განაცხადეს ადგილის დატოვებაზე, თუმცა ყველამ—მიტინგის



მონაწილეებმაც და ორგანიზატორებმაც – იცოდნენ, რომ უკლებლივ მოედანზე მზადყოფნაშია ჯარი და საომარი ტექნიკა.

პროსპექტის ავტოსავალ ნაწილში დარბოდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ, ტროტუარებზე ასულიყვნენ და არ გამოეჩინათ ავრესიულობა ჯარისკაცთა მიმართ, რომლებიც ბრძანებას ასრულებენო..

დილის ოთხ საათზე, გაფრთხილების გარეშე, ოთხი ჯავშანტრანსპორტიორი გამწკრივებული დაიძრა ქუჩაში, ათი კილომეტრის სიჩქარით. ამ დროისათვის მანქანების სავალი გზა პროსპექტზე განთავისუფლებული იყო ხალხისაგან. გაატარეს რა მანქანები, ხალხი ისევ შექუჩდა. ჯავშანტრანსპორტიორების უკან მოდიოდნენ ჯარისკაცები ჯავშანქვითებში მყოფნი, ფარებითა და ხელკეტებით ხელში, რომლებიც, ხალხის პირისპირ რომ აღმოჩნდნენ, შეჩერდნენ.

მე ვიმყოფებოდი პირისპირმდგომთაგან ხუთიოდე მეტრით. მესმოდა ყვირილი. ვიღაც ქალმა ფეხსაცმელი ისროლა მწყობრში. ალბათ ვინმემ თავი ვერ შეიკავა, თუმცა მიტინგზე მოუწოდებდნენ, რომ წინააღმდეგობა არ გამოეჩინათ. ამ მომენტში დრამისა ქვეები და ჯოხები არ დამინახავს.

შემდგომ, თითქოს ბრძანებით, ხელკეტებმა გაიღვეს. გვერდითი ქუჩებიდან გამოვიდნენ სხვა ჯარის ნაწილები, რომელთაც ხელკეტები არ ჰქონდათ, მაგრამ მესანგრის ნიჩბებს იყენებდნენ. ჯარისკაცებმა დაიწყეს ხალხის შევიწროება, რომელიც აქტიურად ეწინააღმდეგებოდა. ამოქმედნენ ქვეები, იქვე სახელდახელოდ მომტვრეული ჯოხები, ჯარისკაცებისაგან წართმეული ხელკეტები. ვინც გაქცევა ვერ მოასწრეს, მოექცნენ ჯარისკაცთა ჯაჭვს შიგნით და თავის გადარჩენის მიზნით ცადეს ბუჩქებში დამალულიყვნენ, აღმოჩნდნენ დაპრილები. გაქცეულ ხალხს დააყარეს ცრემლმდენი გაზის ყუმბარები. ერთი ყუმბარა ჩემს მახლობლად დაეცა. თვალების მწვავე ტკივილი და ცრემლები აღარ მაძლევდნენ საშუალებას სურათის გადაღებისას. შექმნილ პანიკაში იქით-აქეთ გარბოდა ხალხი, ისინი, ვინც ვერ უძლებდნენ თავში მიღებულ ძლიერ დარტყმებს ან ვინც ღვენას თავი ვერ დააღწია, დაეცნენ.

გონზე მოსვლა ვერ მოვასწარი დარტყმისაგან, ზურგში ხელკეტი მომხვედა და ჯორჯიაშიელის ქუჩისკენ გავიქეცი, დავმალე რა აპარატი ქუროთუკს ქვეშ.



ერთი საათის განმავლობაში მოედანი გაწმენდილი იყო დემონსტრანტებისაგან. ასფალტფენილზე დარჩა ქვები, გატეხილი კამერა, ნივთები და რამდენიმე ავტობუსი და სატვირთო ავტომანქანა, რომლებითაც დემონსტრანტებმა აჭირეს პროსპექტი და მთავარი ქუჩები, შესაძლო სატანკო შემოტევისაგან თავის დასაცავად.

ცხრაში დილით საავადმყოფოებში დახმარება აღმოუჩინეს დაზარალებულებს, რომელთაც აღმოაჩნდათ ჭრილობები „ბლაგვი და მჭრელი საგნების დარტყმებით მიყენებული“ და მოწამვლა, ექიმებისათვის უცნობი „ტოქსიკური გაზით“, რომელიც იწვევს სასუნთქი ორგანოების მწვავე გაღიზიანებასა და გაგუღვას.

საავადმყოფოს კედლებზე გაკრული იყო 150 დაზარალებულისა და დაღუპულის სია. თექვსმეტ ცხედარში თოთხმეტი ქალია, მათ შორის უფროსი სამოცდაათი წლისა იქნება, უმცროსი – 16 - 17 წლისა. დაზარალდა 90 ჯარისკაცი და მილიციონერი.

ცხრა აპრილს მანქანები შავი ზონარებით და ჩართული ხმოვანი სიგნალებით მიდი-მოდიოდნენ. №1 საავადმყოფოს მორგიდან ერთმა წყება ხალმა გამოიტანეს დახოცილთა ცხედრები, რომ ისინი ეკლესიაში გადაესვენებიათ, მოსულმა ჯარმა აღკვეთა დემონსტრაციის ეს მცდელობა. მიმავალი მანქანის „გაზ -69“ ის კაბინიდან პირდაპირი სროლით დაჭრილი იქნა რამდენიმე კაცი. ერთი მათგანი, 13 წლის ბიჭი იყო, რომელიც ყოჩაღად ეხმარებოდა საავადმყოფოში სიმშვიდის დამყარებაში. იმავე დღეს დააპატიმრეს რადიკალური არაფორმალების ხუთი ლიდერი..

22 საათსა და 55 წუთზე ადგილობრივი ტელევიზიით თბილისის კომენდანტი გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი, რომელმაც გამოაცხადა, რომ 23 საათიდან 10 აპრილის, ე. ი. 5 წუთის შემდეგ დაწყებულია კომენდანტის საათიო (სწორედ საოცარია, რომ ყველა ავტორი იმეორებს ერთსადაიგივე აბსურდს, თითქოს კომენდანტის საათი ათ აპრილს 23 საათზე შესულიყოს ძალაში და ეს გენ. როდიონოვს ხუთი წუთით ადრე გამოეცხადებინოს თბილისის ტელეხედვაში. მაშინ ხომ ცხადია, რომ გენერალი ათ აპრილს გამოსულა ტელევიზიით. მაგრამ უდავოა, რომ ის ცხრაში გამოვიდა.

ნუთუ კოლექტიურ ლაპსუსთან გვაქვს საქმე?) რედ.) ბევრი მცხოვრები, რომლებმაც ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, რჩებოდნენ ქალაქში. იმ ღამესვე დააპატიმრეს ოცდაათზე მეტი კაცი, ოთხი იქნა დაჭრილი, ერთი მათგანი კრიტიკულ მდგომარეობაშია, ჯარის ნაწილებმა და საბრძოლო მანქანებმა შეკრეს ხილები განლაგდნენ მნიშვნელოვან ობიექტების მახლობლად.

გუშინ, თუმცა ზოგიერთი საწარმო მუშაობას შეუდგა, მდგომარეობა ქალაქში საგრძნობლად დაძაბული რჩებოდა. თბილისზე დაფრინავდნენ ვერტმფრენები, მუდმივად ხდებოდა ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების გადაადგილება, ისმოდა ავტომატების გამაფრთხილებელი სროლის ხმები იმ ადგილებში, სადაც ხალხი გროვდება, პატრულები მანქანებიდან ხსნიდნენ შავ ზონრებს და შვინდისფერ ბაირალებს შავი ფერით. თბილისში, მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით ჩამოვიდნენ ე. ა. შევარდნაძე და კომპარტიის ცეკას მდივანი გ. პ. რაზუშოვსკი. 11 აპრილი გამოცხადებულია გლოვის დღედ.

ცხელ გულზე უპასუხისმგებლობაა, გააკეთო დასკვნა ესოდენ რთული სიტუაციის დროს. მხოლოდ უდავოა: ერთი მხრით, არავითარი პოლიტიკური პროგრამით არ შეიძლება გამართლება ყოველად უდანაშაულო ხალხის დაღუპვისა, და მეორეც, დაცვა სახელმწიფოს ინტერესების, ე. ი. ინტერესებისა ადამიანების იმ მეთოდებით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ამ ადამიანების სიცოცხლეს, კატეგორიულად მიუღებელია.

არანებადართული მიტინგებისა და დემონსტრაციების მსგავსი საშუალებით დაშლას, დემოკრატიზაციის გზაზე მდგარ ჩვენს ქვეყნისთვის, მოაქვს გაცილებით მეტი ზიანი, ვიდრე თვით ამ მიტინგებსა და დემონსტრაციებს, თუნდაც ისინი კვალიფიცირებული იყვნენ მრავალათასიან „თავყრილობებად“, ინსპირირებულთ „ერთი მუჟა ექსტრემისტების“ მიერ.

იურიი როსტ

10 აპრილი 1989.



დ) ტ რ ა გ ე დ ი ის კ ვ ა ლ დ ა კ ვ ა ლ

სიცრუემ მოიცვა საქართველოში მომხდარი მასიური მკვლელობა. რას წერენ გაზეთები? რატომ ცრუობს ტელევიზია? როგორი თვალებით იყურებიან ხელმძღვანელები? ვისი მოტყუება უნდათ მათ? რომელ ქყლეთაში დახოცილებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც საავადმყოფოები გადატვირთულია დაჩეხილჭრილობებიანი და მძიმედ მოწამლული ხალხით?

თავიდან უარყოფდნენ მესანგრის ნიჩბების გამოყენებას, ახლა კვითხულობთ ახსნა-განმარტებას მაღალი ჩინის პირისას, რომ: „ნიჩაბი წარმოადგენს მედესანტის ჩვეულებრივ აღჭურვილობას“. რა თქმა უნდა, წესდებისდა მიხედვით ეს ითვლება ცივ იარაღად. როგორც ყველა იარაღზე, მასზედაც არის სარეგისტრაციო ნომერი, მაგრამ, მაპატიეთ, პარაშუტიც წარმოადგენს მედესანტის ჩვეულებრივ აღჭურვილობას, პარაშუტი კი არავის არ ჰქონებია მთავრობის სასახლის წინ. იქ ის არ არის საჭირო. მაშინ რატომ ჰქონდათ ნიჩბები, სანგრების სათხრელად ასფალტზე?! და კიდევ, რატომ ჰქონდა ქამრის მარყუეები ყველა ნიჩაბს, ისევე როგორც ხელკეტებს ან კაზაკების ხმლებს? გასაგებია რატომ. იმიტომ რომ, არ გასხლტომოდათ ხელიდან ბრძოლაში, ბრძოლაში ქალებთან!

ის რომ, ყაზარმებში ნაბრძანები იყო გაელესათ ნიჩბების პირები, გამოცხადებული იყო ჯერ კიდევ დარბევამდე.

ცრუ კომისიის წარმომადგენელი საჯაროდ აცხადებს: ნაჩეხი ჭრილობები არ არის. ჩვენ გამოვიკვლიეთ ყველა ცხედარი. პირვეყოფლისა, ყველა კი არა, არამედ რომლებიც ვერ გადამალეს. უგზოუკვალოდ დაკარგულების სიაში ორმოცდაათი ადამიანია. ხოლო მესამე დღეს მდინარე მტკვარზე, რუსთავეში, მოსწავლეებმა იპოვნეს ორი ცხედარი და ნაპირზე გამოიტანეს, მილიციას ჩააბარეს, მაგრამ, როგორც იტყობინება მათი მასწავლებელი მანანა წერეთელი, ისინი მორგში არ მიუღიათ – გაჰქრნენ...

კომისიამ რატომ გამოიკვლია მხოლოდ მორგები, საავადმყოფოებში ხომ ასობით დაჭრილები იმყოფებიან?

ჩემს წინ ახალგაზრდა კაცის გიორგი ჭელიძის სახეა: მთელ ლოყაზე დიდი მოვარდისფრო დაღი აქვს. „ჩვენ ბარიკადები მოვაწყ-

ვეთ ტაძარში, - ყველა იგი, - ჯარისკაცებმა დაიწყეს ყუმბარების მტკიცე მოგდება - გაზის ყუმბარების. ჩემი მეგობარი დაიხარა უკიდურესად ნაზი, რათა ფანჯარაში გადაეგდო - ყუმბარა პირდაპირ მის სახის წინ აფეთქდა. იგი ადგილზევე მოკვდა. ეზოში ჯარისკაცები ეცნენ ქალების ჯგუფს, რომლებიც „შავლეკოს“, სიმღერას დაუმორჩილებელ კაცზე, მღეროდნენ. ჩვენ გავადეთ კარები და ცარიელი ხელებით გადავეშვით მათ საშველად. უზარმაზარმა ჯარისკაცმა დამარტყა ნიჩაბი თავში. როგორც მე ყოფილი სპორტსმენი ვარ, მოვასწარი თავის გადაწევა და ბასრმა წვეკრმა გადამისერა მხოლოდ ლყა. ასეთივე ჭრილობა მიიღო ჩემმა ძმამ დავითმა“.

ჩემს წინ თამაზ კალანდაძის ავადმყოფობის ისტორიის ამონაწერი. დიაგნოზი: **15** სანტიმეტრიანი გაჩეხილი ჭრილობა მესანჯრის ნიჩბით. იგი ყველა: ტანკმა ავტობუსი გაარღვია, რომელიც აბრკოლებდა გვერდით გასასვლელს და მედესანტეებმა ამის შემდეგ ალყა შემოარტყეს ცენტრალური ჯგუფის უფრო აქტიურ ჩვენს ამხანაგებს. ძირითადად იქ იყვნენ მოშიშშვილე მოსწავლეები, მათი დედები და ბებიები. ჯარისკაცები გამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ მათ, სცემდნენ რათა მოესპოთ. ირგვლივ ხტუნავდნენ და ბოლავდნენ „შავი ფორთოხლები“, ეს საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებაა. როდესაც ავღანეთში სახლს უტევდნენ, ასეთ „ფორთოხლებს“ უგდებდნენ შიგნით (იგი იწვის ნარჩენის გარეშე), მერე შედიოდნენ - ყველა „დუშმანი“ იწვა იქ თვალზე გახელილი, მაგრამ უმოძრაოდ: პარალიზებული. ამ ბოლის გამო ადამიანი კარგავს უნარს, ბევრი ქალები იხსდნენ გაოგნებულები, გაცეხილი უყურებდნენ ჯარისკაცებს, რომლებიც მათ ჩეხავდნენ. მე მომდეგდა ერთი მედესანტე ნიჩბით. დარტყმის დროს მას ფეხი გაუტურდა ვილაცის დაღვრილ სისხლზე და მხოლოდ ზურგი ჩამომაჰკრა, მოსახვევში ჩემი დევნისას შეეშინდა. გაზის შემდეგ ტკივილს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ვილაც უიგულის მძლოლმა ამიყვანა და საავადმყოფოში მიმიყვანა.

მთელი ჩვენი პალატა მოითხოვდა სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზას. მეექვსე დღეს ჩვენ გამოვაცხადეთ შიმშილობა, მაშინ, როგორც იყო, მოვიდნენ და ყველაფერი გააფორმეს. სასამართლოში

აღვძრავთ საქმეს. ეძებოს მთავრობამ დამნაშავენი ...“

ჩემს წინ გაზეთის მორიგი სიცრუეა: „გამოყენებული იყო მხოლოდ 27 ვაზნა „ჩერომუხა“. წინა ინფორმაციაში უკვე დავასახელებ რვა სახეობის გამოყენებული დამაზიანებელი ქიმიური ნივთიერება. ორი დღე-ღამის განმავლობაში ჯარის ნაწილები, მას შემდეგ, რაც მათ დარბევა მოაწყეს, არაეის უშვებდნენ მოედანზე და რუსთაველის პროსპექტზე, მალავდნენ ნივთმტვიცებებს, აწარმოებდნენ ხსნარების მოსხმას გაზეთის გასაუფნებელად, კრიდნენ ქიმიური ნივთიერების მიერ გამხმარ ბუჩქებს. მთელ ქალაქში ატრიალებენ ვიდეოჩანაწერებს: შეგროვილი ქალების ფეხსაცმელებისა და ჩანთების გროვებისა და ჯარისკაცთა აირწინაღებისა, — არაფერი. ეს ალბათ 27 „ჩერიომუხის“ ვაზნით იცავდნენ თავს საბჭოთა არმიელები?

აქტივისტებს ხელში ჩაუვარდათ არა მარტო აეროზოლის ბალონები, არამედ აგრეთვე მთელი ჯერ კიდევ გაუტეხავი შხამიანი ამბულეები. ისინი გადაეცემა იმ ექსპერტს, რომელიც ნლობას დაიმსახურებს.

თეატრალურ ინსტიტუტში, გაფიცების შემდეგ, კვლავ შეწყვეტილია მეცადინეობა: ტყვიები, რომლითაც ფანჯრები იყენენ ჩამტვრეული, ასევე იყო ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებით დატენილი. ორი კვირის შემდეგ აუდიტორიებში მოიწამლა ჩამდენიმე ათეული სტუდენტი. ორი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. იგივე მოხდა №1 სკოლაში, მეექვსე კლასის 46 მოსწავლე მოიწამლა ოთახში, რომლის ფანჯრები რუსთაველის პროსპექტზე გადის. 21 მკურნალობს სახლში, ოთხი მძიმე მდგომარეობაშია. სკოლა დაკეტეს.

კომენდატმა გამოგზავნა ქიმიურ გამომკვლევთა ჯგუფი. პოლკოვნიკმა კლიმოვმა უსინდისო თვალებით განაცხადა, რომ ზარინი, ზამანი და ფოსგენი არ არის აღმოჩენილი. თითქოსდა ყველაფერი რიგზეა. მოიყვანეთ ბავშვები. მაგრამ საინიციატივო ჯგუფმა, აღექსანდრე სურმაგვის—ჰიდრომეტსამმართველოს დირექტორი — აღმოაჩინა ქ ლ ო რ — ა ც ე ტ ო — ფ ე ნ ო ნ ი (საომარი მომწამვლელი ნივთიერება). შესაძლებელი გახდა გაეზომათ ამ შხამის კონცენტრაცია. აუდიტორიებში მან გადააქარბა 122 - ჯერ დასაშვებ ნორმას.

საქ. ჯანდაცვის მინისტრმა „ვრემია“-სათვის მიცემულ ინტერ-
ვიუში პატიოსნად განაცხადა, რომ გამოყენებული იქნა მხოლოდ
ლაგი ნივთიერება, რომ ხალხს ჩეხადნენ ნიჩბებით, მაგრამ სსრკ
სახტელერადიოს თავმჯდომარემ ალექსანდრე აქსენოვმა ეს სიტუ-
ციები ამოიღო ტექსტიდან.

ხომ არ არის დრო, გადადგომა ითხოვოს ალექსანდრე ნიკიფორო-
ვიჩმა? მან ხომ პოლონეთის ამბებშიც მოიმოქმედა ბევრი ამდაგვა-
რი რამ!

გაზეთ „ლენინსკოე ზნამიამ“ – ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის
ორგანომ – მოათავსა დაღუპულებზე შეურაცხმყოფელი წერილი, კა-
პიტან დრობოტას ხელმოწერით. საქართველოს კინემატოგრაფთა შე-
ხვედრაზე ის იჯდა თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს. მთელი
საქართველო უყურებდა ტელეეკრანებზე მის ცარიელ თვალებს.
ის რომ ნამდვილი ოფიცერი ყოფილიყო, წავიდოდა საპირფა-
რეშოში და თავს მოიკლავდა. და როგორი გრძნობებით კითხულო-
ბენ ახლა თბილისის ამბებს თვით მკვლელები?

არაფორმალებმა შეამჩნიეს: რვა აპრილს 3 საათსა და 45 წუთ-
ზე ჩამოიყვანეს ორი თვითმფრინავით თავზე ხელადებულები (მოსკო-
ვიდან თუ გორკიდან). 15 ავტობუსით წაიყვანეს ისინი მერვე პოლ-
კის ყაზარმებში. მათ კვალდაკვალ მიჰყებოდნენ ათი სატვირთო
ავტომობილი, დატვირთული ფარებით და ნახევარ მეტრიან მწვა-
ნე ყუთებით ორმაგი წითელი ზოლით დიაგონალებზე. შემდეგ ეს
ყუთები (რა თქმა უნდა, მომწამლავი ნივთიერებებით) ნახეს მთა-
კრობის სასახლის ეზოში.

დილის ოთხ საათზე დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. ექვს საათზე – მეგა-
ფონიდან გაცემული ბრძანებით – ისინი გამწკრივდნენ და რუსთავე-
ლის პროსპექტი დასტოვეს, ნახევარი საათის შემდეგ კი – საქარ-
თველოც ...

ესენი იყვნენ მალეები, წვევამდელებზე ხნიერები: ცხადია, სერ-
ჟანტ - ოფიცერთა შემადგენლობა.

სამშობლომ უნდა იცოდეს მისი „გმირები“!!!

ე ვ გ ე ნ ი ლ ე ლ ი. თბილისი.

რუსულიდან თარგმნა ზაქარია ლაშქარაშვილმა

[გამოქვეყნებული ბ-ნ გრიგორიანის დამოუკიდებელ ორგანო

„გლანოსტ“ - № 30 - დან.]



შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ამით ვამთავრებთ დამოუკიდებელი რუსულენოვანი პრესიდან გაღმობეჭდილ თვითმხილველთა ინფორმაციებს ტრალიკული ცხრა აპრილის შესახებ. მათმა ავტორებმა უეჭველად დაიმსახურეს ქართველი ხალხის მაღლიერება. მათ, არა მარტო პრესის საშუალებით, არამედ აგრეთვე საჯარო გამოსვლებითაც (მაგალითად გალინა კორნილოვამ), გაგვიჩვენეს ოფიციალური რუსული სიცრუისა და დუმინის სქელი ფარდა და მათ თანამემამულეთ თბილისში მომხდარ ბოროტმოქმედებაზე სიმართლე გააგებინეს (ყოველ შემთხვევაში მათ, ვისაც ამის გაგება სურდათ), ხოლო მოსკოვიდან კი მთელმა მსოფლიომ შეიტყო. უდავოა ისიც, რომ სიმართლის მოფენას დიდად შეუწყო ხელი თვით ქართველი ხალხის სიმტკიცემ.

მკითხველი შეატყობს, რომ ავტორები, მიუხედავად მათი აშკარა სიმპათიებისა ქართველების მიმართ, მაინც ექსტრემისტულად მიიჩნევენ დემონსტრანტებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას. (გამონაკლისია ბ-ნი ევგენი ლელი, რომლის ეროვნება ჩვენთვის უცნობია.) ეს ფაქტი საყურადღებოა. ალბათ არ არსებობს რუსი, რაგინდ ლიბერალი და დემოკრატი არ იყოს იგი, რომ თავისი ნებით დათანხმდეს სსრკ იმპერიის დაშლაზე. მხოლოდ მოვლენებმა უნდა აიძულონ რუსები.

გუშაგი

II. ქ ა რ თ უ ლ ი პ რ ე ს ა

„თურმე, მართლა გვიცავს მილიცია“ *)

... 9 აპრილს გამთენიისას მთავრობის სახლის წინ მოედანზე დატრილებულ ტრაგედიაში მილიციის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. დავინტერესდით, არის თუ არა დაზოცილი ან დაჭრილი სხვათა სიცოცხლის დამცველ მილიციელთა შორის. ამის გასაგებად ვეწვიეთ საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაზარეთს და ვესაუბრეთ მის უფროსს, შინაგან სამსახურის პოდპოლკოვნიკს გივი მამფორიას.

— მთავრობის სასახლის წინ მოედანზე მომხდარი უბედურების მშ-

ვიდობიანად ჩაცხრომისათვის თავგამოდებულ მილიციელთაგან მკვლელს ლაზარეთში მოხვდა 36 დაშავებული, აქედან — 7 მძიმედ. დანარჩენებს ჰქონდა დაეყვილობა, ტრავმული რადიკულიტი. საბედნიეროდ, დღეისათვის ზოგიერთი გამოჯანმრთელდა, ზოგი კი აგრძელებს მკურნალობას. 17 აპრილს გავწერეთ სამი ავადმყოფი. ამჟამად ჰოსპიტალში წევს ცხრა ავადმყოფი, მათგან ის შვიდი მძიმედ დაშავებული.

მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეები და ყოფილი მოშიმშილეები მოდიოდნენ და დღესაც მოდიან ჰოსპიტალში ქომაგ მილიციელთაღმი მადლობის გამოსახატავად — მოაქვთ საჩუქრები, სურსათი, ყვავილები. მოსულთაგან ბევრმა იცნო თავისი მხსნელი.

გავესაუბრეთ ლაზარეთში სამკურნალოდ მყოფ ზოგიერთ წესრიგის დამცველს:

თ ე ი მ უ რ ა ზ რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი — სერჟანტი:

—იმ საბედისწერო დამეს მთავრობის სახლის წინ მოედანზე ვიდექი, მოშიმშილეთა უკან. ლენინის მოედნის მხრიდან წამოვიდნენ ჯავშანტრანსპორტიორები, მათ მოჰყვებოდნენ ჯარისკაცები ფარებით, რატომღაც ორპირნალესი მესანგრის ნიჩბებით და ხელკეტებით შეიარაღებულები. ჯარისკაცები წამოვიდნენ ჩიტაძის ქუჩიდანაც. გაჩერდნენ. ხალხი არ ინძრეოდა. უეცრად დაერივნენ ხელკეტებით, შემდეგ ნიჩბები მოიშველიეს. დაუძღურებული მოშიმშილეები ვერ დგებოდნენ. რომ შევატყვეთ ჯარისკაცები დაუზოგავად უტევდნენ, ურტყამდნენ, შეგვკართ წრე, რომ მოშიმშილეებისათვის მაინც არ დაერთყათ. მოშიმშილეებმა ძალა მოიკრიბეს, წამოვაყენეთ და მივეცით გზა ჭიჭინაძის ქუჩისაკენ, ვისაც ეს არ შეეძლო, ხელით გაგვყავდა. ჯარისკაცები წაქცეულებს ბურჭებშიც კი ურტყამდნენ. ერთი ქალიშვილი, რომელსაც ფეხის კუნთი ჰქონდა გაღლეჯილი, სამშვიდობოს გამოვიყვანე. მეორე ქალიშვილი კი ყვიროდა: მიშველეთ, ჰაერი არ მყოფნის, წყალი! ხახა მიშრება წვეთი წყალი მაინც ჩამაწვეთეთ პირშიო. მიგვარდი გამოსაყვანად, დავიხარე, შევეცადე ხელში ამეყვანა, მაგრამ ვიგრძენი ხელკეტის ძლიერი დარტყმა, მეგონა, თვალები წამომცვივდა. ვერაფერს ვხედავდი. მივეყუდე ავტობუსს, მაგრამ საბურავთან მაინც დავეცი. ურტყამდნენ

წაქცეულებს, ვინც ვერ დგებოდა, იმასაც ურტყამდნენ. **ეპრონული**

ჯოჯოხეთი დაახლოებით ოც წუთს გაგრძელდა. როცა **ეპრონული** ცოტა მიწყნარდა, ჩვენმა მეთაურებმა გვიბრძანეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში წასვლა, საითკენაც სასწრაფო დახმარებამ მრავალი მოკლული და დაშავებული გაიყვანა. ჩვენი ვალი იყო საავადმყოფოში, კერძოდ, პროზექტურასთან არეულობა არ მომხდარიყო. ის შავგვრემანი ქალიშვილი უკვე პროზექტურაში დაესვენებინათ.

ცუდად გავხდი, მივატოვე იქაურობა და სახლში წავიდი. დამეწყო გულისრევა, თავის ტკივილი. თურმე ტვინის შერყევა მქონია.

ზ ა ქ ა რ ი ა კ ე კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი - სერჟანტი:

- ყოველდღე მთავრობის სახლთან მიწვევდა ყოფნა, პირველ ხაზზე ვიდექი, როცა ილია მეორემ მიკროფონით მიმართა ხალხს: დავიშალოთ, ცუდი რამ არ მოხდეს, ეკლესიაში წავიდეთ, ვილოცოთო. მაგრამ წერეთელმა განაცხადა: ნუ გემინიათ, არაფერი არ მოხდება, ადრეც ასე იყო, ვერაფერს ვერ გავგვიბედავენო.

დაიმედებულმა მომიტინგეებმა ცეკვა და სიმღერა დაიწყეს. მოგრიალდნენ ჯავშანტრანსპორტიორები, მათ უკან - ჯარი და ხალხის წინ გაჩერდა დაახლოებით 4-5 წუთი. შემდეგ კი შეუდგნენ თქვენთვის ცნობილ „მუშაობას“. დაიწყეს ხელკეტებით ცემა. ყვიროდნენ ბავშვები, წიოდნენ ქალები. ეს ამბავი რომ ვნახე, გულმა არ მომიტმინა. ჩემსკენ მოვუხმე მოშიმშილეებს, ისინიც გამოიქცნენ და ვუშვებდით ჰიკინადის ქუჩისაკენ.

მთავრობის სასახლის წინ ქანდაკებასთან ახლოს ბუჩქებში სამი ახალგაზრდა ქალი და ერთიც ხანშიშესული ეგლო და ყვიროდნენ: გვიშველეთ, გვიშველეთო! ჩამოვედი ბუჩქებთან. ხნიერ ქალს სამი ქალიშვილი გადამხობოდა. მივედი საშველად. ხანში შესული ქალი სულს ღაფავდა. ჩემს ამხანაგს დავეუძახე დასახმარებლად. ყვიროდა ფეხმოტეხილი ქალიშვილი. მივედი დავიხარე ასაყვანად, მაგრამ... ჩამარტყეს თავში ნიჩაბი, იქვე დავვარდი. მოვარდნენ ამხანაგები და სასწრაფოსთან მიმიყვანეს, სამედიცინო დახმარება გამიწიეს.

ოდნავ მოსულიერებული ჩავები დაშავებულ-დასახიჩრებულთა გაყვანის სამუშაოებში. ქაშუეთის ეკლესიაში შეაღწია ხალხმმა. ჩვენც იქ შევედით დაჭრილთა საშველად. ქალიშვილი ყვიროდა, მუცელი მტკივაო. გამოვიყვანე და სასწრაფო დახმარების მანქანაში



ჩავსვი. ხალხს ეუბრჩიე ქვევით, ძნელადის ქუჩისაკენ ნენ, იქ ჯარი არ არის-მეთქი.

მზე რომ ამოვიდა, უკვე მეტროპოლიტენის სადგურ „რუსთაველ-თან“ ვიყავი. დამეწყო თავის ტკივილი და გულის რევა...

ს უ ლ ი კ ო ზ ე დ გ ე ნ ი ძ ე-სერუანტი:

... როცა დავრწმუნდით, რომ მიტინგის ლიდერებს გეგმაში არ ჰქონდათ მთავრობის სასახლის დარბევა, მეთაურებმა დააწესეს მორიგეობა. სამი ქვეგანაყოფი ვიყავით, ორი ისვენებდა და ერთი მორიგეობდა, როცა ილია მეორემ ხალხს დაშლა მოუწოდა, მე მთავრობის სახლის კიბეებზე ვიდექი.

არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებმა ხალხს მოუწოდეს, არ დაშლილიყვნენ და ტანკებისთვის გზა მიეცათ. ნუ გემინიათ, არაფერს დაგიშავებენო. ხალხიც ასე მოიქცა – ტანკები კი გაატარეს, მაგრამ შემდეგ მათმა მომყოლმა ჯარისკაცებმა დასცხეს მომიტინგე-მოშიმშილეთ. მთავრობის სახლის წინ მარჯვენა მხარეს ნაძვის ხე რომ არის, იქ მოჰკლეს ქალი. ამას რომ შეგხედეთ, მოშიმშილეებს შევეყირეთ: თავს უშველეთო და გზა მივეცით. ჯარისკაცები წაეწოდნენ ხოლმე და ხელკეტებით სცემდნენ გაქცეულებსაც. შემდეგ კი გაღესილი ნიჩბებიანი ჯარისკაცები დაერივნენ უდანაშაულო ადამიანებს.

ერთმა ჯარისკაცმა ქალიშვილს ხელკეტი გადაჰკრა, ქალიშვილი წაიქცა, წამოსაყენებლად რომ მივევარდი, ჯარისკაცმა თავში ჩამცხო ხელკეტი. გაზონებში გადავვარდი. რომ წამოვდექი, მიცვალუბულები და დაშავებულები არეულნი იყვნენ ლეიბებში, პალტოებში, ათასგვარ ტანსაცმელში. ჯარისკაცები გაქცეულებს ცემა-ტყუპით მისდევდნენ. მაშინ ნიჩბებიანმა ჯარისკაცებმა რალაც რაკეტისნაირი ესროლეს მათ.

პირველად რომ ქალი მოჰკლეს, არ ვიცი ვინ წაიყვანა. მე ვნახე ახალგაზრდა მკვდარი ვაჟკაცი. იგი მოვთავსეთ სასწრაფო დახმარების მანქანაში. მძლოლი ეჭიმს შეეკითხა: სად წავიყვანოთო.

– რა თქმა უნდა, პროზექტურაში, უპასუხა მან.

გათენდა. ვიფიქრე: თავი რომ მტკივა, ალბათ ამ საშინელების ნახვის გამოა-მეთქი, მაგრამ მიზეზი სხვა რამეც აღმოჩნდა – დამეწყო თავბრუსხვევა, პირისღებინება, ფეხზე ვერ ვდგებოდი, წამო-



მიყვანეს პოსპიტალში და ვარ აქ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ა ბ ა დ ი შ ვ ი ლ ი—ზემდეგი:

— ნეტავი უფრო მეტად დავეყეუთ, ოღონდ უდანაშაულონი არ დახოცილიყვნენ. მთავრობის სახლთან ღამის ორ საათზე მივედით სხვა მილიციელების შესაცვლელად. ჯერ გვითხრეს, ჩვენი ძალებით ვაგვეფანტა მიტინგის მონაწილეები. შემდეგ რატომღაც შეიცვალა ბრძანება.

მოვიდა კათალიკოსი ილია მეორე ორი მღვდლისა და ერთი მოქალაქის თანხლებით. არ გავიმეორებ, რაც კათალიკოსმა თქვა... გამოჩნდნენ ტანკები, შემდეგ ჯარი სამ რიგად. ოფიცრები და მაღალი ჩინოსანნი უკანა რიგებში იყვნენ. ზოგიერთებს პულვერიზატორები ეპირათ და ხალხს ასხურებდნენ. აღარ მახსოვს, რამდენი ქალი და ბავშვი გამოვგლიჯე სიკვდილს ხელიდან. კინო „რუსთაველთან“ სამი ჯარისკაცი ერთ ქალს სცემდა, ხელიდან გამოვგლიჯე.

ერთმა ჯარისკაცმა, მისი სახე კარგად მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება, ხერხემალში ავტომატის დუგა დამარტყა. ჩემი ბედი, რომ არ წავიქეცი. ერთი ქალი შევიყვანე მხატვრის სახლში. მხატვრის სახლთან მოვიდა გენერალი და ჯარისკაცებს ჰკითხა: მილიცია თუ გეხმარებათო. მათ უთხრეს: არა, პირიქით, ხელს გვიშლიანო. თუ ასეა, მაშინ ურტყით მაგ ძალიშვილებსო.

გენერალმა დაიყვირა: ავღანელებს ვასწავლეთ ჭკუა, ესენი ვინლა არიანო.

სამართებელივით ალესილი ბასრი ნიჩბები ეპირათ. ერთ ქალიშვილს ჩემს შორიანლო გამოსჭრა ყელი ნიჩბით კაპიტანმა. ვაი რომ ვერ ვუშველე! ამ დროს თავს დაესხნენ მღვდელს, მე მას გადავედარე და შევეძახე: — ნუ ურტყამთ! და მღვდელი ქაშვეთის ეკლესიის ეზოში შევაგდე, ეზოს კარები დავხურე. ამ დროს რუსი მილიციელი მომეხმარა, რომ კარები არ შემომეტვრიათ.

როცა ცემა-ტყევა დამთავრდა, ქაშვეთის ეკლესიის გაღავანი სავსე იყო ფეხსაცმელებით. აგკრიფე ფეხსაცმელები და მომქონდა, ამ დროს დამარტყეს ხელკეტი.

გ ე ლ ა ა რ ა ბ უ ლ ი—სერჟანტი:

— როდესაც ლენინის მოედნიდან ჯავშანტრანსპორტიორები შემოვიდნენ, მთავრობის სახლის მარჯვენა კიბეზე ვიდექი. ჯარისკაცები



მოდოდნენ ფარებით, ნიჩბებით, ხელკეტებით. ხალხი და, არაგინ არადერს აშავებდა, არაგინ დგებოდა, ხმა არაგინის-ვის გაუციათ. დაახლოებით ხუთი წუთი იდგნენ ჯარისკაცები. უცბად დაიწყეს ხალხის ცემა. მალე ჩიტადის ქუჩიდან ჩამოემგვ-ლნენ სხვა ჯარისკაცები. მოშიშვლებები ისე იყვნენ დასუსტებულ-ნი, ვეღარ დგებოდნენ. ერთი ქალიშვილი დაეცა, ავიყვანე, ამ დრ-ოს ერთმა დამიძახა: - ნიჩგო სებე, სვოლოჩ! დამარტყა, ზურგით შეგებრუნდი, ბუშლატის ქვეშ მეცვა ჯავშან-ქილეტი. კვლავ მომა-ძახა იგივე სიტყვები და მკითხა: - ა, უ ტებია ბრონეჟილტ?!

და ნიჩაბი ჩამცხო, დავეცი, ისევ ავდექი და ისევ ჩავეჭიდე იმ ქალიშვილს და გამყავდა. ქალიშვილი მეხვეწებოდა, წყალი დამალე-ვინეო. სად მქონდა. მოვახერხე სასწრაფო დახმარების მანქანამდე მიმეყვანა. არ ვიცი მისი ბედი, გვარიც არ მიკითხავს...

გარდა ხელკეტებისა და ნიჩბებისა, მათ კიდევ რაღაცნაირი გრ-ძელი კეტები ჰქონდათ, რომლებშიც ალბათ არმატურა იყო ჩატანე-ბული. ტირილი აუფარდა არაბულს და თქვა: ჯარისკაცები კი არა, ბანდიტები იყვნენ ...

ინტერვიუსათვის მივედი გელა არაბულის პალატაში მწოლიარე ქ-თბილისის საბჭოთა და პარტიული ორგანოების შენობათა დაცვის ობიექტების მილიციის განყოფილების უმცროს სერჟანტ მერაბ გო-გოლიძესთან, მაგრამ გოგოლიძე ისევ ცუდად იყო და მასთან საუ-ბარი ვერ მოხერხდა.

ბაკურ ბანტურიძე

*) გადმობეჭდილია „ლიტერატურული საქართველოდან“, №17
28 აპრილი 1989 წლით დათარიღებული.

*** *** *** ***

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო -
ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო კ ო მ ი ს ი ა "

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმ-ნა საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა და დაზვე-ბულთა ექსპერტიზის მიმდინარეობის მეთვალყურეობისათვის. კომი-

სია მუშაობას შეუდგა 11 აპრილის დამით. კომისიის შემადგენლობაში შედიან მეცნიერი მედიკოსები, საზოგადოებრიობის, მათ შორის არაფორმალური გაერთიანებების წარმომადგენლები. 14 აპრილიდან კომისიის მუშაობაში ჩაერთვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები.

კომისიის ცნობა №1

ცხრა აპრილს დღით სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა თბილისის საავადმყოფოებში მიიყვანა 200-ზე მეტი დაშავებული. დღეისათვის *) თბილისის საავადმყოფოებში რეგისტრირებულია მიტინგის მონაწილეთა დაღუპვის 18 შემთხვევა. მათ შორის 16 დაღუპულია შემთხვევის ადგილზე, ერთი – 11 აპრილს, მეორე – 13 აპრილს. გარდა ამისა 11 აპრილს დაიღუპა კიდევ ერთი კაცი, რომელიც კომენდანტის საათის შემოღების შემდეგ ტყვიით თავში სასიკვდილოდ დასჭრეს. საავადმყოფოებში მოთავსებულ პირთაგან ზოგიერთს სხეულის სხვადასხვა ნაწილში, უმეტესად კი თავის არეში, მიყენებული აქვთ ჭრილობები და დაზიანებანი როგორც ბასრი, ისე ბლაგვი საგნებით. ბევრი მოწამლულია, რამდენიმე კაცი მძიმე მდგომარეობაშია. როგორც თბილისელმა, მოსკოველმა და ლენინგრადელმა კომპეტენტურმა სპეციალისტებმა ტოქსიკოლოგებმა დაასკვნეს, დაშავებულნი მოწამლული არიან უცნობი ქიმიური ნივთიერებით. სამკურნალო დაწესებულებებს დღემდე მომართავენ ავადმყოფები ინტოქსიკაციის გამო ჩივილით, მათი ნაწილი მოთავსებულია სტაციონარში.

დაღუპულთაგან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა თექვსმეტს (ორის ჰირისუფალმა ექსპერტიზაზე უარი თქვეს).

კომპლექსური ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარებას და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის მიღებას ორი კვირე მაინც დასჭირდება. შედეგები გამოქვეყნდება პრესაში.

მაგრამ ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ გარდაცვლილთაგან: ერთი დაღუპულია ნეკნების მრავლობითი მოტეხილობისა და ფილტვების დაშავების გამო. მეორის დაღუპვის უშუალო მიზეზი ასფიქსიაა (მოგუდვა), განვითარებული ტრამვის მიღების ან მოწამვლის



შედევად; მესამე გარდაიცვალა საავადმყოფოში ქალა-ტყევის მე-2 კვარტალში. მე ღია ნაპობი ქრილობის შედეგად; ორი გარდაიცვალა ტრავმულ-კომპრესიული ასფიქსიით; დანარჩენ შემთხვევებში სიკვდილის მი-ზეზი ასევე ასფიქსიაა, ამასთან არ არის გამორიცხული, რომ ამ-ჯერად ასფიქსია განვითარდა ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის ფონზე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიცვალებულებიდან ზო-გს აღენიშნება ფიზიკური ტრავმაც.

მიცვალებულთა სხეულის ყოველი გარეგანი დაშავება ფოტოგრა-ფირებულია.

დღეისათვის სამხედრო სამედიცინო დაწესებულებებში მოთავსე-ბულია 25 სამხედრო პირი, მათ შორის 4 მძიმე მდგომარეობაშია;**)

ჰოსპიტალში წევს მილიციის 12 თანამშრომელი, მათ შორის 4 მძიმე მდგომარეობაშია;***)

სასოგადოებრივ-საექსპერტო კომისიის მუშაობა გრძელდება.

კომისიის ცნობა №2

... (გამოტოვებულია მხოლოდ წინა ცნობის განმეორება)

16 არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, 9 აპრილიდან დღემდე სამედიცინო დაწესებულებების სტაციონარებში მოთავსებუ-ლია 257 კაცი. გარდაიცვალა სამი. 133 კაცი საავადმყოფოებიდან გაეწერა, რადგან მკურნალობის შედეგად მათი ჯანმრთელობის მდ-გომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ზოგიერთმა დაშავებულმა პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების შემდეგ თავისი სურ-ვილით დატოვა სტაციონარი. ასეთ პირებს კომისია დაჟინებით თხ-ვოს, ნუ გამოიჩენენ დაუდევრობას საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ.

16 აპრილის დღის ცხრა საათისათვის საავადმყოფოში იყო 121 ავადმყოფი, მათ შორის 51 ქალი და 10 ყმაწვილი ...

სამხედრო პირთა შორის მსხვერპლი არ არის...

რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საავადმყოფოებში რეგის-ტრირებულია მოწამვლის ნიშნებით 66 კაცი. ბასრი და ბლაგვი სა-გნებით მიყენებული სხვადასხვა ქრილობებით – 24, თავის ტრავმე-ბით – 67, მოტეხილობებით – 11, ტყვიით დაჭრილები – 3 კაცი.

დაშავებულთა დიდ ნაწილს აღენიშნება ერთდროულად სხვადასხვა

სახის დაზიანებები, რის გამოც აღნუსხულ დაზიანებათა რიცხვი არ ემთხვევა სტაციონარში მოთავსებულთა რიცხვს.

რამდენიმე პაციენტის მდგომარეობა მძიმეა: სამედიცინო ეთიკა არ გვაძლევს უფლებას დავასახელოთ მათი ვინაობა და გამოვაქვეყნოთ ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

(გაზეთი „თბილისი“, 19 აპრილი, 1989 წელი.)

*) კერძოდ თუ რომელი დღე იყო ეს, მითითებული არ არის. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ამ კომისიის ცნობებს ხელს არავინ აწერს და არც დათარიღებული არიან. ცხადია: ის ხელისუფლების მიერაა შეკოწიწებული. მაგრამ მკითხველი აქედანაც გამოიტანს მიახლოებით წარმოდგენას რეპრესიის მოცულობაზე და სიმკაცრეზე.

**) როგორც ჩვენს მიერ ზემოდ მოტანილ „ლიტერატურული საქართველოს“ პუბლიკაცია „თურმე, მართლა გვიცავს მილიცია“-დან ჩანს, თბილისის ლაზარეთის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა გივი მამფორიამ ჟურნალისტს განუცხადა: „...ლაზარეთში მოხვდა 36 დაშავებული მილიციელი, –აქედან – 7 მძიმედ“-ო.

***) ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერება. იგი გამიზნულია, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი, რომ ვითომ „ჯარისკაცები დაზარალდენ ქართველ ნაციონალისტ ბრბოთა თავდასმების შედეგად და ეს მაშინ, როცა ისინი ამ ბრბოთაგან იცავდნენ ქალებსა და ბავშვებს“. ასეთი დეზინფორმაცია უხვად გამოიყენა რუსულმა ოფიციალურმა პროპაგანდამ, რამაც კიდევ უფრო აღაშფოთა ქართული საზოგადოება. რედ.

კომისიის ცნობა №3

... საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია განაგრძნობს დაშავებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას.

არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემების მიხედვით, 9 აპრილიდან 20 აპრილის 11 საათამდე, სამედიცინო დაწესებულებების სტაციონარებში მოთავსებული იყო 275 დაშავებული. მათგან, როგორც წინა ცნობებში ითქვა, 11 და 13 აპრილს გარდაიცვალა სამი, ხოლო 17 აპრილს – კიდევ ერთი ავადმყოფი, 16 წლის გოგონა, რომელიც ცხრა აპრილს, დილით, უგონოდ მიიყვანეს ქალა-



ქის პირველ საავადმყოფოში. მას შემოსვლისთანავე დაეწყო ავანი-
 მაციული ღონისძიებანი. კლინიკური დიაგნოზის დადგენასა და მკურ-
 რნალობის წარმართვაში რესპუბლიკის სპეციალისტებთან ერთად
 მონაწილეობდნენ სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს ლენინგრადის ჰი-
 გიენისა და პროფპათოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის
 კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეც. დოქტორი
 პროფესორი ი. მუსეიჩუკი და მოსკოვის მწვავე მოწამვლათა მკურ-
 რნალობის სპეცვირო ცენტრის უმფროსი მეცნიერი მუშაკი, მედი-
 ცინის მეც. კანდიდატი მ. ფოცხვერია. ავადმყოფს დაუდგინდა:
 „გამლიზიანებელი ნივთიერებებითა და კომპონენტებით გამოწვეული
 მძიმე ხარისხის მწვავე მოწამვლა, სხეულის მრავლობითი დაჟეი-
 ლობა; ტოქსიკური და ტრავმული შოკი, ფილტვების შეშუპება;
 პროგრესირებადი მოიკარდიოდისტროფია; მიკროჰემატურია“. მკურ-
 ნალობის მიუხედავად ავადმყოფის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გარდაცვლილის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მიმდინარე-
 ობს და მისი შედეგები გამოქვეყნდება.

ამავე პერიოდში სამკურნალო დაწესებულებებში ამბულატორიული
 დახმარება გაეწია 574 პირს.

მოწამვლის ნიშნებითა და ინტოქსიკაციის ნარჩენი მოვლენებით
 ამბულატორიული დახმარება აღმოუჩინეს 480 პირს, სტაციონარებში
 მოთავსდა 89 ავადმყოფი. ამჟამად სტაციონალურ მკურნალობას
 განაგრძობს 44 ავადმყოფი.

უნდა ითქვას, რომ ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის დინამი-
 კამ გამოავლინა ისეთი კლინიკური ნიშნები, რომლებიც ვერ ეტე-
 ვა მხოლოდ გამალიზიანებელი (ცრემლსადენი) მომწამვლელი ნივთი-
 ერების მოქმედების ფარგლებში. იმ პირთა ჩივილები და კლინიკუ-
 რი ნიშნები, რომლებიც მოთავსებული არიან სტაციონარებში და
 მათიც, რომელნიც ბოლო დღეებში მიმართავენ ტოქსიკოლოგიურ
 ცენტრს, მოწმობს, რომ ზემოაღნიშნულის გარდა ხმარებულა ის-
 ეთი მომწამვლელი ნივთიერებაც, რომელსაც ახასიათებს ქოლინო-
 ლიზური – ატროპინის მაგვარი მოქმედება შედარებით ხანგრძლივი
 პერიოდით და ვლინდება ნერვული სისტემის, მხედველობის, სასუნ-
 თქი გზების და შინაგანი ორგანოების მხრივ ცვლილებებით.

ამჟამად ავადმყოფთა სიცოცხლეს უშუალო საფრთხე არ ემუქრე-



კიდეც ერთ მსხვერპლს ასაფლავებენ თბილისში

ბა, მაგრამ შესაძლო გადრთხილებების თავიდან აცილებისათვის სასურველია ექიმის მეთვალყურეობა. ამასთან დაკავშირებით, კომისიის მოთხოვნით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიური ცენტრი სათანადო სპეციალისტებით გაძლიერდა. გაფართოვდა კლინიკურ-ლაბორატორიულ კვლევათა სექტორი.

(გაზეთი „თ ბ ი ს ი“, 22 აპრილი, 1989 წელი)

იუწყება საქ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

16 აპრილის დღის 10 საათის მონაცემებით, თბილისის საავადმყოფოებში იმყოფება ტრაგიკული ამბების შედეგად დაშავებული 121 კაცი. მათ შორის 51 ქალია და 10 არასრულწლოვანი. ექვსი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ სერიოზულია, დანარჩენებს არსებითი გაუმჯობესება დაეცოთ.

როგორც ცნობილია, მიმდინარეობს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ინტენსიური ძიება. 16 აპრილისათვის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში 14 კაცის ნათესავებისა და ახლობლების შესაბამისი განცხადებაა. ეს ძირითადად ახალგაზრდობაა, რომელთა



შორის არიან როგორც თბილისელები, ისე საქართველოს სსრ-ის სხვა რაიონიდან ჩამოსულებიც.

კვლავ მოდიან ავადმყოფები, რომლებსაც ინტოქსიკაციის ნიშნები აქვთ. ყოველი ახალი შემთხვევა ექსპერტ ექიმთა ყურადღების ობიექტი ხდება. ეწყობა შესაბამისი ლაბორატორიული გამოკვლევები, მუშავდება წინათ მიღებული მონაცემებიც, რაც ხელს შეუწყობს ცხრა აპრილის ღამით მომხდარი რეალური სურათის გამოვლენასა და გაანალიზებას.

(გაზეთი „თბილისი“, 17 აპრილი, 1989 წ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია

როგორც ცნობილია, ცხრა აპრილის ბარბაროსული დარბევის შემდეგ შეიქმნა საქართველოს სსრ სამთავრობო კომისია დანაშაულის პასუხისმგებლობის გამოსაძიებლად, მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. მაგრამ ამ კომისიას დიდხანს არ უარსებია, რადგანაც თბილისს მოველინენ ბნ გორბაჩოვის ემისრები ე. შევარდნაძე და გ. რაზუმოვსკი, რომლებმაც მთელი პასუხისმგებლობა ჯარების გამოყენების შესახებ სწორედ საქართველოს მთავრობას: პატიაშვილ-ჩხეიძე-ჩერქეზიას დააკისრეს. ეს უკანასკნელები თანამდებობიდან გადადგენ და, რასაკვირველია, მათ მიერ შექმნილმა კომისიამაც ჩაილულის წყალი დალია.

ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ საბჭ. კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა უდნანაშაულოდ გამოაცხადა გორბაჩოვი და მისი მთავრობა, რა თქმა უნდა, მაგრამ აგრეთვე ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალი გენერალი როდიონოვი (ის ვითომ წინააღმდეგი იყო ჯარის გამოყენების, მაგრამ პატიაშვილმა და მისმა ხელისუფლებმა აიძულეს) და გორბაჩოვის პროკონსული ნიკოლსკიც მამა-აბრამის კრავივით უმანკოდ. ხოლო ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რესპუბლიკის კ. პ. პირველ მდივნად დააწინაურა.

შეფთოთებულმა ქართულმა საზოგადოებამ თვით დაიწყო თავის წიაღში მიუდგომელი კომისიის შექმნაზე ზრუნვა, მისი წევ-



ლი იტალიის სოციალისტური პარტიის კონგრესზე, რომელიც წელიწადში აპრილში ქალაქ მილანში ჩატარდა. 14 აპრილს ყრილობის წინაშე სიტყვით გამოსულმა მსოფლიოში ცნობილმა რუსმა სამართალდამცველმა თბილისში მომხდარ ტრაგედიაზე შემდეგი განაცხადა:

„მე მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა იმ სხვადასხვა შინაპოლიტიკურ ღონისძიებებზე, რომლებიც მიღებული იყვენ გასული წლის განმავლობაში და რომლებიც მე მიმჩნია მეტად სერიოზულად. მე მხედველობაში მაქვს უკაზები, რომლებიც მიღებული იყვენ გასული წლის ზაფხულზე, მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების უფლებამოსილებათა შესახებ. ამ ბრძანებულებებმა სინამდვილეში ქვეყანაში შექმნეს მუდმივი საგანგებო მდგომარეობა, და სწორედ ამ უკაზებმა გამოიწვიეს ის სავალალო ამბები, რომელთაგან უკანასკნელი გათამაშდა საქართველოში.

საქართველოში მოხდა ნებადაურთველი დემონსტრაციის არა დაშლის ცდა – არამედ სრულიად ნამდვილი სადამსჯელო აქცია ხალხის წინააღმდეგ, რადგანაც დემონსტრაციაზე წამოყენებული ყველა ლოზუნგი ატარებდა სრულიად კანონიერ, კონსტიტუციურ ხასიათს. მე პირადად შემიძლია არ დავეთანხმო ამა თუ იმ ლოზუნგს, მაგრამ ეს სრულიად მეორე ხარისხოვანია:– მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა ისინი იყვენ კონსტიტუციასთან თანხმობაში.

ყველამ იცის, თუ რაც იყო შედეგი. ოცი მოკლული, ასობით დაჭრილები, დაპატიმრებები, ორი მოკლული დემონსტრაციის გარეკვის შემდეგ, კომენდანტის საათის არ დაცვის გამო.

როცა ამ ცოტა ხნის წინად თბილისში ვიყავი, გავიგე რომ 2067-მა კაცმა მიმართა საავადმყოფოებს, ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის შედეგად, სამედიცინო დახმარებას. ჩვენ თვითონ ვნახეთ ორასზე მეტი კაცი ამ მდგომარეობაში, საავადმყოფოებში მყოფნი. განკვეთის შედეგად ბევრ გარდაცვლილთ აღმოაჩნდათ სასუნთქი ორგანოების მძიმე დაზიანებები. ორი უბრალოდ მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა.

ა. წ. 8 აპრილს ახალი უკაზები იქმნენ ხელმოწერილნი, რომლებმაც ცვლილებები შეიტანეს ძველ კანონებში, მათში, რომლებიც ნებას იძლეოდენ 70 - 80-ან წლებში დისიდენტების დევნისას.



კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

„ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ვიწყებთ მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1989 წლის 14 აპრილამდე ჩვენ არ შევწყვეტთ შიმშილობასა და გაფიცვებს, ხოლო 14 აპრილის შემდეგ მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.“

ა) ადგილობრივი საგაფიცვო კომიტეტი ის ორგანოა, რომელიც თავის უმაღლეს სასწავლებელში აწყობს და ხელმძღვანელობს ისეთი პოლიტიკური აქციების ჩატარებას როგორებიცაა გაფიცვა, შიმშილობა, მიტინგები, ქუჩებში სვლები და ა. შ.

ბ) ადგილობრივ საგაფიცვო კომიტეტებში გაერთიანებულნი არიან ის პირები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში მუშაობენ.

გ) წევრობა საგაფიცვო კომიტეტში შეიძლება მხოლოდ არჩევნების შემდეგ. არჩევნებს ატარებს ის ორგანიზაცია, რომელშიც ყალიბდება საგაფიცვო კომიტეტი.

დ) თითოეული საგაფიცვო კომიტეტი თავისი რიგებიდან ირჩევს ერთ ნდობით აღჭურვილ დელეგატს, რომელიც შედის ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტში.

ე) ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი ამ კონკრეტულ ვითარებაში არის ორგანო, რომელიც ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა ეროვნული საბჭოს შექმნამდე, რაც გათვალისწინებულია მაისისათვის.

ვ) ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტში გაერთიანებულია შემდეგი არაოფიციალური გაერთიანებები: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, წმიდა ილია მართლის საზოგადოება, ჰელსინკის ქართული ჯგუფი, ეროვნული სამართლიანობის კავშირი და აგრეთვე წარმომადგენლები თითოეული ადგილობრივი საგაფიცვო კომიტეტებიდან.

თ) ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებები შესრულებული უნდა იქნენ მასში შემავალი ყველა კომიტეტისა და არაფორმალური გაერთიანების მიერ. “



ფ ა ქ ტ ე ბ ი

მოსკოვში აკრედიტებულ უცხოელ კორესპონდენტებს მხოლოდ 23 აპრულს დარუეს ნება თბილსში ჩასვლისა. „ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტი იტყობინება:

– ჯანდაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს № 2 საავადმყოფოში, სადაც ქიმიური გაზით მოწამლულ პაციენტებს მკურნალობენ, პროფ. ვახტანგ ბოჭორიშვილმა დანაშაული უწოდა სამხედროების მოქცევას, რომლებიც დღემდე უშალავენ ქართველ ექიმებს მომწამლავი გაზის შემადგენლობას, რის გამოც შეუძლებელი ხდება ავადმყოფების მკურნალობა. ჯარისა და შინაგანა საქმეთა სამინისტროს ნაწილები, რომლებმაც დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილენი, მოქმედებდნენ როგორც ნაცისტები, ეს-ესელები.

– აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა, რომელიც ცხრა აპრილის ტრაგედიის გამოძიების დამოუკიდებელი კომისიის წევრია, განაცხადა, რომ „სულ ცოტა შვიდასი კაცი იქნა დაჭრილი.“ იმავე კომისიის მეორე წევრმა, პოეტმა იზა ორჯონიკიძემ კი დააზუსტა: „დაჭრილთაგან, ექვსასი მოწამლულია ქიმიური გაზით“. მისივე თქმით: „კვლავაც ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა ნახევარი ბავშვებია, რომლებიც ცხრა აპრილის მომხდარი ტრაგედიის შემდეგ დღეებში დაავადდნენ მთავრობის სახლის მიმდებარე სკოლაში. სკოლის შენობა, როგორც ჩანს, მოწამლული აღმოჩნდა ჯარის მიერ გამოყენებული გაზით.“

– ცნობილმა ქართ. მეცნიერმა მოლეკულარული ბიოლოგიის დარგში, მალხაზ ზაალიშვილმა (იგივე კომისიის წევრი) განაცხადა, რომ „ქიმიური გაზი, რომელიც ჯარმა გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ იწვევს ნერვული სისტემის დადამბლავებას. ჩვენ არ ვიცით მისი შემადგენლობა, სამხედროები კი – არ გვეუბნებიან ამასო“.

– ფარმაცოლოგი შოთა გამყრელიძე, თავის მხრივ, აღნიშნავს: „მას სურს დაეხმაროს პაციენტებს, მაგრამ ხელები აქვს შეკრული. არ შემიძლია ავადმყოფებს გამოვუწერო რომელიმე ფსიქოთროფული წამალი, ვინაიდან არ ვიცი მომწამლავი გაზის ქიმიური შე-

მადგენლობა და თუ რა შედეგი მოჰყვება ამ წამალს. გამოყენებული ქიმიური გაზის შედეგად არ დაშავებულა არცერთი ჯარისკაცი, და როგორც ქართველ ექიმებს მიაჩნიათ, ჯარისკაცებმა, ამ ბარბაროსული ოპერაციის წინ მიიღეს შხამსაწინააღმდეგო საშუალება. ხოლო დღეს საავადმყოფოში მყოფ პაციენტებს, რომელთა შორის არიან ბავშვებიც, ექიმები ვერ მკურნალობენ, ვინაიდან სამხედროები უმაღლეს მათ გამოყენებული მომწამლავი გაზის ქიმიურ შემადგენლობას.“

„რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, ლატვიის რუსულენოვანმა გაზეთმა „სოვეტსკაია მოლოდიომა“ ვრცელი სტატია მიუძღვნა თბილისის ცხრა აპრილის ტრაგედიას, სადაც მოყვანილია თინა ხურციძის ნაამბობი იმის შესახებ თუ როგორ მოჰკლეს ჯარისკაცებმა სკოლის მოსწავლე თამარიკო ჩოველიძე. გოგონამ დასაწყისში სცადა მიმალულიყო ბუჩქებში, მაგრამ ჯარისკაცებმა ხელკეტების ცემით გამოიყვანეს იქიდან. გოგონა შეეარდა რუსთაველის თეატრის ფოიეში, მაგრამ ჯარისკაცი იქაც შეჰყვა მას. მუხლებზე დაჩოქილი გოგონა ემუდარებოდა ჯარისკაცს, არ მოეკლა იგი ... მისი გგამის როგორც ოფიციალურის, ისე კერძო განკვეთის შედეგად დადგინდა, რომ გოგონას გატეხილი ჰქონდა თავის ქალა, ხეივანი გადატეხილი და დახრობის შედეგად გარდაიცვალა.

რობერტ სტურუას მოწმობა

მაისის დამდეგს ჰელსინკში საგასტროლოდ იმყოფებოდა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრი. ფინურ გაზეთ „ჰელსინგინ სამონატი“-მა (08.05.89) გამოაქვეყნა მის კორესპონდენტის კორსიკა მორინგის სტატია: „თბილისის ტრაგედია ჯერ არ დამთავრებულა“, სადაც, სხვათა შორის, მოთხრობილია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ბ-ნ რ. სტურუას ნათქვამი ცხრა აპრილის ტრაგედიის შესახებ: „როდესაც ვითარება არეული შეიქნა, თეატრის კარები გააღეს და ამრიგად თეატრში თავშესაფარი ჰპოვა დაახლოებით რვაასამაკაცმა. თეატრის შენობაში, სადაც დაჭრილები სასწრაფო დახმარების მანქანებს ელოდებოდნენ, ჯარისკაცებმა მომწამლავი ყუმბარები შემოყარეს. გაზით დაზარალებულთა რიცხვი ამჟამად აღწე-

გს 2600 კაცს. დაზარალებულთა მდგომარეობა მძიმეა. სულ რამდენიმე დღის წინ გავიგეთ ის, თუ რა გაზი ყოფილა გამოყენებული, მაგრამ სამკურნალო საშუალებანი ჯერაც არ არის. საქართველოში დღეს არავინ იცის, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. მდგომარეობა დეპრესიულია. ქართველებს ვერ ესმით ის, თუ რა საჭირო იყო მშვიდობიანი დემონსტრაციის ტანკებით დარბევა. დემონსტრანტებს არავითარ შემთხვევაში არ დაურღვევათ კონსტიტუციის არცერთი მუხლი. მიტინგი კი არ დაშალეს, არამედ მას ალყა შემოარტყეს, ხალხს კი სდიეს დიდ მანძილზე მასთან ანგარიშის გასასწორებლად. ჯარისკაცები სცემდნენ მილიციელებს, ვინაიდან ისინი მშვიდობიან მანიფესტანტებს იცავდნენ. მილიცია რომ არა, მოკლულთა რიცხვი ბევრად დიდი იქნებოდა.“

„საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი ილია მეორე, — აგრძელებს რ. სტურუა, — შეეცადა დემონსტრანტების გადაყვანას ტაძარში, ვინაიდან იცოდა, რომ ტანკები მზადყოფნაში იყვნენ და მხოლოდ ბრძანებასლა ელოდნენ. დემონსტრანტებმა დაიწყეს ღუმილით ფიქრი, რომელიც ათ წუთამდე გაგრძელდა. სიჩუმე თითქოსდა ამქვეყნიური არ იყო. სკოლის ბაღში შაშვმა ისტერიული გალობა დაიწყო, თანაც ისე ხმამაღლა, როგორც არასდროს. ხალხი მუხლმოყრილი უსმენდა პატრიარქის ლოცვას, როცა მას ტანკები შეესია...“

ჩვენი ტანჯვა მძიმეა და მას ვერ შეამსუბუქებს მმართველი ორგანოების დაპირებები, რომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს შავ-თეთრ-შვინდისფერი დროშა უკვე ოფიციალურად იქნება მიღებული საქართველოს სიმბოლოდ“. შემდეგ ბ-ნმა სტურუამ ჟურნალისტს გაუზიარა თეატრის მომავალი გეგმები.

ნოდარ ერისთავი

თბილისის პროკურატურა იტყობინება

„ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქალაქში ცხრა აპრილს, საქართველოს პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დღეისათვის აღძრულ საქმეზე დაპატი-



მრეხული არიან: კოსტავა, გამსახურდია, ქანტურია, ხუნუნაიშვილი. ცნობა, რომელიც რადიოსა და ტელეხედვით გადაიცი და აგრეთვე გამოქვეყნდა რესპუბლიკის პრესაში, დაბატომრებულია შორის შეცდომით მოხსენებულია წერეთლის გვარი. ის იმყოფება ძებნაში.

(„ვეჩერნი ტბილისი“, 12 აპრილი, 1989 წ.)

*) სწორედ 12 აპრილს ირაკლი წერეთელი თავისი ნებით გამოცხადდა და აყვანილიქნა პატიმრობაში, მძიმე ავადმყოფი მალე ის მოათავსეს საპატიმროს საავადმყოფოში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ: ირინე სარიშვილი და ვანო ხუნუნაიშვილი თხუთმეტი დღის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს, ხოლო დანარჩენი ოთხი ლიდერი: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ქანტურია და ირაკლი წერეთელი, ცხრა აპრილის მსხვერპლთა ორმოცზე გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ ისინი პროკურატურის განკარგულებაში იქნებიან, მათი საქმე გრძელდება და შესაძლებელია, გასამართლება მოუწყონ. ჩანს, რომ ხელისუფალთ ჯერ არ აქვთ მიღებული გადაწყვეტილება მათი ბედის შესახებ. რედ.

ა თ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე ქ ი მ ი ს ტ ე ლ ე გ რ ა მ ა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას,
ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციას,
საერთაშორისო წითელ ჯვარსა და წითელ ნახევარ. მთვარეს,

1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი მანიფესტაციისა და მიტინგის დასაშლელად გამოყენებული ტოქსიკური ნივთიერებით დაავადებულთა მკურნალობამ შეუძლებელია ნაყოფი გამოიღოს მანამდე, სანამ ცნობილი არ იქნება მომწამვლელი ნივთიერების ბუნება.

მივითხოვთ, რომ:

- ა) სსრკ მთავრობამ და არმიამ დაუყოვნებლივ გამოარკვიოს ქიმიური შემადგენლობა ნივთიერების, რომელმაც მოწამვლა გამოიწვია,
- ბ) საქართველოში გამოგვიგზავნონ სპეციალისტები, რომელთაც



„1989 წლის 9 აპრილს დღის 4 საათზე საბჭოთა რეჟიმმა ევროტხელ გამოავლინა თავისი ნამდვილი სახე — საქართველოს დედაქალაქ თბილისში მთავრობის სახლის წინ მოაწყო მშვიდობიან მანიფესტანტთა წინასწარგანზრახული ხოცვა—ჟლეტა, რისთვისაც გამოიყენა არამართო სპეცჯარები, ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები, არამედ ორღესული ფოლადის ნიჩბებით შეიარაღებული პროფესიონალი მკვლელები და სულ ცოტა სამი სახის ქიმიური იარაღი, რის შედეგადაც დაიღუპა მინიმუმ 21 და უკვალოდ გაქრა 13 კაცი /მოწმეთა ჩვენებით სავარაუდოა, რომ ესაა განსაკუთრებული სისასტიკით დაჩეხილი ადამიანები/. ბევრია დაჭრილი და მოწამლული, რომელთაგან რვაასამდე პირი მოხვდა საავადმყოფოებში.

დახოცილთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ ქალები, ბავშვები და მოხუცები. საბჭოთა ჯარების აღვირახსნილ საქციელს წინაღუდგა თბილისის მილიცია, რის შედეგადაც დაზიანდა ასობით მილიციელი /მათგან 56 ჰოსპიტალიზირებულა/. დამსჯელმა ჯარებმა ამასთანავე დაარბიეს მძინარე მოქალაქეები, რომელთაც უფარდებოდნენ ბინებში, სცემდნენ და წამლავდნენ ქიმიური იარაღით. საოკუპაციო ჯარების თარეში გაგრძელდა თბილისში შემდგომ დღეებშიც — მოკლულია 1 და დაჭრილია ათობით მოქალაქე, მათ შორის 11 წლის ბიჭი.

საგანგაშოა, რომ ავღანეთში დამუშავებული მეთოდები საბჭოთა ჯარებმა გამოიყენეს თბილისში ქართველთა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის ჩასახშობად. ამ ტრაგედიის შემდეგ ჰუმანიტარდ ცინიკურად უღერს საბჭოეთის მოწოდებები ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ.

1989 წლის 18 აპრილიდან თბილისში დატრიალებული ტრაგედიის „გამოძიება“ დაიწყო სამხედრო პროკურატურამ, რომელმაც არსებითად შეზღუდა საზოგადოებრივი სამედიცინო კომისიის მუშაობა. ეს კი იმის გარანტიაა, რომ გამორიცხულია აღნიშნული ბოროტმოქმედების ობიექტური შესწავლა.

მიუხედავად მრავალგზისი მიმართვისა, ექიმებმა სამკურნალოდ მოწამლულთა დღემდე ვერ მიიღეს ანტიდოტები, რაც იწვევს მსხვერპლის ზრდას.

უმორჩილესად გთხოვთ არ დარჩეთ გულგრილი ანექსიონტორის ბედის მიმართ — შექმნათ საერთაშორისო კომისია და გამოგზავნოთ ექსპერტები ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი ამაზრზენი ბოროტმოქმედების შესასწავლად. ამასთან გთხოვთ, მოწამლულთა გადასარჩენად გამოგზავნოთ ექიმი—ტოქსიკოლოგები.

ღრმა პატივისცემით: ილია ქავჭავაძის საზოგადოება.“

ი რ ი ნ ა ს ა რ ი შ ვ ი ლ ი ს ი ნ ტ ე რ ვ ი უ *)

ამერიკის ყოველკვირეულ „ნიუსვიკის“ კოესპონდენტმა ბ—ნ ქეროლ ზოგერტმა, ცხრა აპრილის სისხლიან ამბებთან დაკავშირებით, ინტერვიუ ჩამოართვა საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ერთერთ ლიდერს, პარტიის გაზეთ „ქართული ქრონიკას“ მთავარ რედაქტორს, ქ—ნ ირინა სარიშვილს. ინტერვიუ უკვე გამოაქვეყნა ჟურნალმა. მოგვეყვას იქიდან მნიშვნელოვანი ადგილები:

ქეროლ ზოგერტ: რა მოხდა თბილისში ცხრა აპრილს?

— **სარიშვილი:** —განსაკუთრებით ხაზგასასმელია სამი გარემოება: პირველი ის, რომ ჯარისკაცებმა ხალხი პატარა ბარებით დახოცეს, მეორე ის, რომ მათ სამსხვერპლოდ უმთავრესად ქალები აიარჩიეს. არცერთი აქტივისტი ქალი არ დარჩენილა ხელუხლებელი. მესამე ის, რომ მათ მომწამლავი გაზი გამოიყენეს საკუთარ ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ეს იარაღი მტრის წინააღმდეგ კი არა, არამედ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართეს.

— **ქ. ბ.:** რა შეგემთხვათ პირადად თქვენ?

— **პასუხი:** მე დემონსტრაციაზე არ ვიმყოფებოდი. მილიციელები სისხლისღვრის შემდეგ, დღის რვა საათზე მოვიდნენ ჩემს ბინაზე და მითხრეს, რომ მხოლოდ ათი წუთით წამიყვანდნენ, მაგრამ რამდენიმე დღე მამყოფეს კარცერში. ეს მომცრო ოთახი სავსე იყო თაგვებითა და ვირთხებით. იქ პირსაბანიც კი არ იყო. ზეწრის მოცემაზე უარი მითხრეს, დღეში ერთხელ მაჭმევდნენ. არ მქონდა ვარჯიშის საშუალება. მე და ჩემმა მეუღლემ ციხის დირექტორის კაბინეტში დავიწერეთ ჯვარი. ჩვენ სამი მაისისთვის გვქონდა



დანიშნული ქორწილი და ხელის მოწერის ცერემონიალი ვედეთ. ხელმოწერას მოწმებებად ორი გამომძიებელი ესწრება.

– **კითხვა:** რა მიზნებს ისახავს საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია?

– **პასუხი:** ჩვენ გვსურს თეოდემოკრატიული სახელმწიფოს დაარსება. ეს როდი ნიშნავს, რომ ეკლესია იქნება პოლიტიკის გამგებელი. ეკლესიამ მხოლოდ კონტროლი უნდა გაუწიოს საზოგადოებრივი ცხოვრების მორალურ მხარეს, ხალხი უნდა ატაროს ზნეობრიობის გზით. ქართველი ხალხი, ტრადიციულად, მეტად რელიგიურია. ჩვენთვის ცნობილია, რომ რწმენა საბჭოეთის პირობებში დავკარგეთ და რომ მოსკოვი ანტიქრისტიანული პოლიტიკის გამტარებელია. ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ კავებეს თავისი ხალხი ჰყავს ეკლესიაში შემოგზავნილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკლესია სუფთაა, სუსტი, მაგრამ ამავე დროს, სუფთა.

– **კითხვა:** როგორია თქვენი პოზიცია აფხაზთა მოთხოვნისადმი, რომ აფხაზეთი გამოეყოს საქართველოს?

– **პასუხი:** აფხაზეთი პრობლემას არ წარმოადგენს. მოსკოვს სურს ქართული პოლიტიკური მოძრაობის ყურადღების გადატანა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან და ამიტომ წამოაყენეს აფხაზეთი ალტერნატივა. ხელისუფლებს სურდათ სამხედრო მდგომარეობის გამართლება. ეს ჩვენ კარგად ვიცით. ჩვენი უმთავრესი მოთხოვნაა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლა. ჩვენ კონსტიტუციის ძალით ვაგვანჩნია დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლება. ასე რომ, არავითარი კანონი არ დაგვირღვევია.

– **კითხვა:** სურს თუ არა საქართველოს მეტი დაწოლის მოხდენა მოსკოვზე, რომ მან მიანიჭოს საქართველოს მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობა?

– **სარიშვილი:** ეკონომიკური დამოუკიდებლობა ზღაპარია, პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე და ის სუფთა წყლის დემაგოგიას წარმოადგენს. მე არ ვეთანხმები ბალტიისპირელთა აზრს, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღება. რახან საქართველო რუსეთის ხელშია, თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს ეკონომიკაც რუსეთს უნდა ექვემდებარებოდეს.



– ქეროლ ბოგერტ: ოპტიმისტურად ხართ თუ არა განწყობილი გორბაჩოვისეული მმართველობისადმი?

– სარი შვილი:– გორბაჩოვისეული მმართველობის პერიოდი წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების განვითარების შემადგენელ ნაწილს. გარდაქმნის პოლიტიკის მიზანია ამყამად დასუსტებული საბჭოთა ძალაუფლების განმტკიცება. იდეა იმისა, რომ ჩვენ გვმართებს გარდაქმნისადმი ხელის შეწყობა, მთლიანად მცდარია. ჩვენ ამაში კი არ უნდა დავეხმაროთ საბჭოებს, არამედ საკუთარი მიზნისათვის გამოვიყენოთ გარდაქმნა. უნდა გვახსოვდეს, რომ ოციან წლების ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რის პირობებშიაც გარკვეული თავისუფლებანი არსებობდნენ, 1937 წლის სტალინური სისხლიანი წმენდებით შეტრიალდა. ახალი 1937 წელი კვლავ დადგება. იქნებ ეს დღე უკვე დადგა ცხრა აპრილს?!

ზურაბ ნარსია

(რადიო „თავისუფლება“ 16. 05. 1989)

*) იბეჭდება შემოკლებით.

ს ა უ კ უ ნ ი ს დ ა ნ ა შ ა უ ლ ი *)

1989 წლის 28 აპრილს ცენტრალურმა ტელევიზიამ პროგრამა „ერემიაში“ კვლავ შეუტრაცყო ქართველი ერი, აბუჩად აიგდო ჩვენი ეროვნული ტრაგედია, გამოიყვანა მკვლელები, სწორედ ის მუხანათები, რომლებმაც „ლაფათების“ თავში ცემით დაგვიხოცეს საუკეთესო შვილები, ავღანეთში გამოცდილი ჭიმიური იარაღით მოგვიწამლეს ათასი ადამიანი, მრავალი ბავშვი. აი, ამ მკვლელებმა მილიონობით საბჭოთა ტელემყურებლებს უთხრეს ამაზრზენი სიტყუე, რომ თითქოს ისინი კი არ შეიჭრნენ აქ სხვის ქვეყანაში, მათ დაესხნენ თავს დემონსტრანტები და სისხლი აღინეს. როგორც ცნობილია, ოკუპანტებმა ძირითადად დახოცეს ჩვენი ქალები, მათ შორის ერთი 70 წლის მოხუცია, ერთიც ფეხმძიმე ქალი. თურმე ისინი დაესხნენ თავს კბილებამდე შეიარაღებულ საბჭოთა ძალებს. გაუგონარი ცინიზმია! მეტიც: 1924, 1937, 1956, 1989 წლების მკვლელობანი ქართველი ერის ფიზიკური გენოციდია,



ცენტრალური გაზეთების და პროგრამა „ვრემიას“ პუბლიკაციებში
 კი – ქართველი ერის სულიერი გენოციდი, სულიერი გენოციდი, რომელიც მთელი ერის სულიერ მოკვლას ისახავს მიზნად და, ამდენად, უფრო ტრაგიკულია და საზარელი. „ვრემიას“ წუხანდელი უწყებანი სულიერი გენოციდის ახალი მცდელობაა.

ცხრა აპრილის ტრაგედიაში, როგორც ჩანს, რომელიმე ერთი ან ორი გენერალი როდი მონაწილეობს, არამედ მოქმედებს ოკუპანტებისა და მკვლელების მთელი არმია, რომელთაც პრესა და „ვრემია“ უმაგრებთ ზურგს. „ვრემიამ“ კიდევ ბრალი დასდო გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ირაკლი წერეთელს და გია ჭანტურიას, რომლებმაც ჯერ არ ვიცით რა დააშავეს, ხოლო, ვინც მართლა დააშავა, ისინი თავისუფლად დაპარპაშობენ და მათ „ვრემიამ“ არ დასდო ბრალი.

ერთი ადამიანის წინასწარ განზრახული მკვლელისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილი გვაქვს კანონში. წინასწარ განზრახვით ოცი ადამიანის გაჟლეტისათვის ნუთუ არავის არაფერი მოეკითხება?! ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ირაკლი წერეთელს, გია ჭანტურიას კონსტიტუციურად ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ოკუპანტებს კი არ ჰქონდათ კონსტიტუციური უფლება, უდანაშაულო ადამიანები დაეხოცათ რესპუბლიკის დედაქალაქში, მთავრობის სახლის წინ.

რა მოხდა ასეთი, რა დავაშავეთ, რისთვის შემოიპკრა ალა მახმად ხანი თბილისში? ან თემურ ლენგი, ან მურვან ყრუ? სხვათა შორის, ისინი დღისით მოდიოდნენ; ღამით, ბანდიტურად, ტერორისტული ზრახვებით – დღევანდელი თემურ ლენგები და მურვან ყრუნი მოქმედებენ. ეს მათი ხელწერაა – ტანკებით ახალგაზრდებისა და ბავშვების გაჟლეტა. მათ რომ ნდომოდათ დემონსტრაციის მხოლოდ გარეგვა, ნუთუ დღისით, მზის სინათლეზე ეს არ შეიძლებოდა? მკვლელობა დაგეგმილი იყო, ამიტომ ჩაატარეს ღამის ოთხ საათზე ქურდულად, ვერაგულად, მუხანათურად.

ქართველ ერს ასეთი ტრაგედია ამ საუკუნეში არ განუცდია.

1956 წლის ცხრა მარტი ვერ შეედრება ცხრა აპრილს. მაშინ ტყვიით მიანიც დაგვხვრიტეს, დღეს კი ბარების თავში ცემით



გვანთხვეინეს სისხლი, არც ტყვია დაგვაკლეს. ძირითადად გოგონებში დაიხოცნენ. ისინი გადაუდგნენ წინ მტარვალებს სახითლით ხელში, იფიქრეს რომ არ მოგვეკლავნო, საქართველოში ხომ ქალს ძაღლიც არ შეუყვფეს, სწორედ ისინი მოჰკლეს ყველანი!!!

მე არ გამოვსულვარ არცერთ მიტინგზე. არასოდეს სხვისთვის არ მომიწოდებია: ასე მოიქეცი და ისე მოიქეციო. იმიტომ კი არა, რომ არ მინდოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, არ ვიცი მე ეს საქმეები, ჩემზე უკედ სხვებმა იცოდნენ და ამიტომაც ისინი ლაპარაკობდნენ. დღესაც არ ვიცი, ახლა როგორ მოვიქცე. ჩადენილია საუკუნის დანაშაული. მიწაში ჩამარხულია დემოკრატია, გარდაქმნა, საჯაროობა და მისთანა მოწოდებანი, გაფანტულია ყველა ილუზია! რაღა უნდა ვუთხრა ხალხს, რა დამრჩა სათქმელი?

ქართველმა ერმა პატივი უნდა მიუგოს სამშობლოსათვის დაცემულ წმინდანებს: მზია ადამიას, ეკა ბეჟანიშვილს, ნატო გიორგაძეს, თამუნა დოლიძეს, თინა ენუქიძეს, ნინო ჭყოიძეს, ზაირა კიკვაძეს, მანანა ლოლაძეს, თამარ მამულაშვილს, მამუკა ნოზაძეს, ნანა სამარგულიანს, მარინე სამარგულიან-ჭყოიძეს, ელისო ჭიპაშვილს, ნოდარ ჯანგირაშვილს, მზია ჯინჟარაძეს, მანანა მელქაძეს, გაია ქარსელაძეს... და სხვებს.

ელდარ შენგელიას წინადადებას მხარს დაუჭერს მთელი საზოგადოება და სიტყვას საქმედ ვაჭკევთ. იქ, სადაც დაიღუპნენ მთავრობის სახლის წინ, ძეგლი უნდა აეგოს ყველას სათითაოდ. ისინი მამოჩვენოს ლოცვის დროს მოკლეს, შეეწირნენ დიადს, რისთვისაც შეირაცხნენ წმინდანებად თავის დროზე ქართველი მოწამენი.

ემოციებს ნუ აყვებითო, ჭადაგებენ პრესიდან. როგორ, განა შეიძლება ამ სიტყვების დაწერა უემოციოდ? პირუტყვი უნდა იყო, უემოციოდ რომ დადიოდე თბილისის ქუჩებში.

ერთადერთი გზა, ერთადერთი საშუალება სწორედ გრძნობა და ემოციაა. გული რასაც გვიკარნახებს სწორედ ის უნდა გავაკეთოთ, მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი; გულმა უკარნახა ქართველ ახალგაზრდობას აი ასეთი ლამაზი გლოვა და იგლოვა კიდევ არაჩვეულებრივად, არჩახულად, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გლოვა ეკადრე-



ორმოცი



ორმოცის სამელოვიარო კადრები, მურმან ჩაჩუას ფოტოები
(„ლიტერატურული საქართველო“ 26 მაისი 1989 წელი)

ცხრა აპრილის მსხვერპლთა ორმოცზე მრავალრიცხოვანი საზოგადო-
ება შეიკრიბა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის წინ. სიტყვების

შემდეგ, ზღვა ხალხის პროცესია გაემართა იმ გზით, რომელიც გაიარეს აპრილის დასაწყისში მშვიდობიანმა მანიფესტაციებმა. რუსთაველის პროსპექტზე მთელმა ხალხმა დაიჩოქა, დროშები დახარეს და დუმილით პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას. პროცესია დასრულდა სიონის ტაძართან, სადაც სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ილია მეორემ აღასრულა დაღუპულთა პანაშვიდი.

ბათ გმირებს. ქართველ ახალგაზრდობას, მთლიანად მთელს ერს ისე უნდა ეჭიროს თავი, როგორც შეეფერება, როგორც ეკადრება. ამოდ არ დადვრილა უმანკო სისხლი, გაიღვიძა რუსთაველის საქართველომ, დიდი ტრაგედიის შემდეგ იწყება დიდი განწმენდის ეამი.

ვინ დაგვიჩება შვილები, დები და ძმები? ვინ გასცა სისხლისღვრის განკარგულება? სახელები და გვარები გამოვაცხადოთ იმათი, ვინც მშვიდობიანი დემონსტრაცია გარეკა მთავრობის სახლის წინ. სიცრუით, არამზადდელი ზრახვებით, ისევ ქართველებს დასჯით ვერ დაამოშმინებთ აბოზოქრებულ გულებს.

ციხიდან გამოუშვან უსამართლოდ შეპყრობილნი, თორემ, კვლავაც იქნება სისხლის ღვრა, კვლავაც დაუწვევებთან მუხლუხიან ტანკებს, რეპრესია არ არის გამოსავალი, ისტორიული გამოცდილებით ვიცით, რომ რეპრესიებით არაფერი არ მიიღწევა.

პატრიოტიზმი არ არის ის გრძნობა, რასაც რეპრესიებით მოკლავთ, პატრიოტიზმი ქართველი ახალგაზრდობის სულსა და გულში საბოლოოდ დაილუქა. არ არის დღეს უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე პატრიოტიზმია. არაფერი არ მოქმედებს ახალგაზრდებზე ისე, როგორც პატრიოტიზმი. ეს გრძნობა აერთიანებს და რაზმავს მათ. განა ამისაკენ არ ისწრაფვოდა ქართული სული დასაბამიდან დღემდე?!

სიმშვიდისაკენ, გონიერებისაკენ, უბრალოდ პატიოსანი მართალი ცხოვრებისაკენ უნდა მოუწოდოთ სწორედ დამსჯელ ორგანოებს, ხელისუფლებას, და არა სამშობლოს სიყვარულით დახოცილ, დასახიჩრებულ, ნაწამებ ახალგაზრდობას.

ნოდარ წულეისკირი

*) გამოქვეყნდა 29 აპრილის გაზ. „ქართული ფილმი“-ში. რედ.

ზღვა მასალებია დაგროვილი ცხრა აპრილს თბილისში ჩადენილი ამაზრზენი ბოროტმოქმედების შესახებ. ყველას ერთად გამოქვეყნებას სქელ-სქელი ტომები დასჭირდება, გარნა ისიც, რასაც აქ, ამ ჩვენს მცირე მოცულობის კრებულში ვთავაზობთ მკითხველს, — სრულიად საკმარისია ბოროტმოქმედთა სამხილებლად და საბრალმდებლოდ, მაგრამ, კეთილო მკითხველო, ვის შეუძლია, ვის შესწევს ძალა, რომ ეს საერთაშორისო შარაგზების მკვლევები და მათი გამკარგულბელნი პირუთენელ სამსჯავროს წარუდგინოს და დამსახურებული სასჯელი მიუზღოს ამას მხოლოდ ქართველი ხალხის ისტორია გააყეთებს და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ქართველი ერი გამარჯვებული გამოვიდა ამ უთანასწორო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან, რადგანაც, დაკვირვებითა და გამოცდილებით ვიცით, ისტორიას გამარჯვებულები წერენ.

ჯოჯოხეთური ცხრა აპრილის შემდეგ, ჯერ კიდევ კარგად გონზე ვერ მოსული ქართული აზრის წარმომადგენელნი კიდევ და კიდევ აყენებენ კითხვას: რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? ეს, მართლაც, საჭირობოროტო და დროული კითხვაა. მე, ვინც ამდენი ხანია შორს ვცხოვრობ ჩემი ქვეყნიდან და ჩემი ხალხის ყოველდღიურ ჭირსა და ლხინს ვერ ვიზიარებ, როგორ გავკადნიერდები, ჭკუა ვასწავლო ან სამოქმედო გეგმა ვუკარნახო ვინმეს სამშობლოში. მე მხოლოდ ჩემს ზოგიერთ ფიქრს გავუზიარებ მკითხველს, ნასაზრდოებს ცხრა აპრილის ეროვნული ტრაგედიით.

თავდაპირველად, მე ვერ დავეთანხმები ჩვენს შესანიშნავ მამულიშვილსა და მწერალ ნოდარ წულეისკირს იმაში, რომ ერისათვის ასეთ საბედისწერო მომენტებში ქართველი ხალხი გულსა და ემოციებს აპყვეს. დიახაც მართებულა, რომ ცივი გონება ხშირად შემზარავიც კია, მაგრამ ერის ბედი არაფრით არ შეიძლება მიტოვებული იქნეს წუთიერ აფეთქებებზე. ერის წინამძღოლად საჭიროა ნათელი გონების, რა თქმა უნდა, მაგრამ აგრეთვე მაგარი ნერვებისა და ნებისყოფის ადამიანები. ხალხი იმარჯვებს თუ მან წინასწარ იცის როგორ მოიქცეს, რა გააკეთოს უახლოეს დროში და შორეულ მომავალში. ეს სხვათა შორის.



– საქართველოს იზოლაციისა და დეზინფორმაციის მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაემალა სიმართლე ცხრა აპრილს თბილისში ჩადენილ მხეცობაზე. დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები მთელი კვირის განმავლობაში ფართოდ აშუქებდნენ მას და ფართე საზოგადოებამ გულითადი თანაგრძნობა გამოამყვანა დაჩაგრულ და დაზარალებულ ქართველ ხალხის მიმართ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიული სამყაროს ხელისუფლებმა საერთოდ და კერძოდ ამერიკის შ. შტატების მთავრობამ „დაკვირვებულ“ ღუმილი არჩიეს. მართალი არ იქნება იმის თქმა, ვითომც მათ დაღვრილი ქართული სისხლი არ დაენადვლათ. ჩემი აზრით, ეს ჩვენთვის სამწუხარო და გაუგებარი ღუმილი გამოწვეულია მათი დღევანდელი პოლიტიკით საბჭოთა კავშირის მიმართ. ეს პოლიტიკა მდგომარეობს ხელი შეუწყონ საბჭოთა რეჟიმის მოთვინიერებას, დემოკრატიზაციას და, მართებულად თუ მოტყუებით, მათ მიაჩნიათ, რომ მ. გორბაჩოვს ამის სურვილიც აქვს და ყველა სხვაზე მეტი შესაძლებლობაც გააჩნია. ამიტომაც მათ არ სურთ კიდევ მეტი სიძნელები შეუქმნან ამ უკანასკნელს და უნებურად ხელი შეუწყონ ეგრედ წოდებული კონსერვატორული ბანაკის გამარჯვებას და მასთან ერთად ცივი ომის (თუ ცხელის არა) დაბრუნებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მსოფლიო პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობს ისრაელის სახელმწიფო და მსოფლიო სიონიზმი, რომლებიც ამჟამად კმაყოფილი არიან და იმედებით შეცქერიან გორბაჩოვისეული ისრაელთან დაახლოების პოლიტიკით. ისინი ელოდიან და, მაშასადამე, ხელს უწყობენ იმ პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც შესაძლებელს გახდის პალესტინის მიწაზე ისრაელებისა და არაბების მშვიდობიან თანაცხოვრებას, და ამისათვის სასურველია, რომ საბჭოთა მთავრობამ თუნდაც მიუმხრობელი პოზიცია დაიჭიროს. გორბაჩოვ-შეგარდნაძის პოლიტიკა მათ ამ სანუკვარი პროექტის განხორციელების იმედს აძლევს.

საერთაშორისო ფაქტორის უგულვებლყოფა, განსაკუთრებით დღევანდელ მსოფლიოში, დამღუბველია. მართალია, რომ ჩვენი სახელოვანი კინორეჟისორები სერგანტისის დიდებული ნაწარმოებით არიან

გატაცებულნი. ეს რომ მისასაღმებელია, ამაზე ორი აზრი არაა. მათგან ბოზს. მაგრამ ეროვნული განთავისუფლების დიდ საქმეში, დონკიხოტობა ყოველად დაუშვებელია. საერთაშორისო ძალთა განწყობილებას დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს ყველა მნიშვნელოვან ეროვნულ აქციის დროს. არ უნდა არსებობდეს ილუზია, რომ ჩვენს სამართლიან ეროვნულ განთავისუფლების ბრძოლას ავტომატიურად მხარს მისცემენ მსოფლიო დემოკრატიული ძალები.

მე ხაზი გავუსვი საერთაშორისო ფაქტორის მნიშვნელობას, მაგრამ ჩვენი ეროვნული ხსნის მთავარი და გარდამწყვეტი ფაქტორი თვით ქართველი ხალხია. ცხრა აპრილს დაღვრილი ქართული სისხლით ნაშობი ეროვნული სოლიდარობა უნდა გადვიდეს და გაძლიერდეს. ყოველ ქართველს სისხლსა და ძარღვში უნდა გაუჯდეს ის.

მე არაერთჯერ მითქვამს და ვიმეორებ, რომ პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები საჭიროა თანამედროვე საზოგადოებაში და რომ მხოლოდ მრავალპარტიულ წყობილებაშია შესაძლებელი, რომ ხალხმა, საზოგადოებამ თავი დაიზღვიოს პიროვნულ თუ კოლექტიურ ტირანიისაგან. ზოგ ეროვნულ მოღვაწესა და პოლიტიკურ მოაზროვნეს აშინებს სწორედ ეს მრავალპარტიულობა, რადგანაც, ფიქრობენ ისინი, რომ ეს ხელს შეუწყობს ეროვნული ძალების დანაწევრებას ურთიერთ მოჭიშპე ელემენტებად. ამ შიშს აქვს სერიოზული ხასიათი. პარტიები მართლაც შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ურთიერთ ბრძოლას შეალიონ ძალა და ენერგია. დიახ, არსებობს ამის საშიშროება, მაგრამ ცეცხლი ვის დაუწუნია იმისთვის, რომ მან შეიძლება ხელი დაგვას.

ამ უკანასკნელ ორ წელიწადში სპონტანურად იშვენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, დაჯგუფებები, კლუბები, რომელთა მოღვაწეობა, თუ ხელისუფლებამ ხელი არ შეუშალა, სულ უფრო დაიხვეწება, გაძლიერდება, ანდა უდღეური გამოდგება და თვითონვე გაქრება არენიდან. ის, ვინც ეროვნულ ერთობას ქადაგებს, ამ ეროვნულად საღ ორგანიზაციების არსებობას კი არ უნდა ებრძოდეს, არამედ ცდილობდეს მათ შეკავშირებასა და ერთად დარაზმვას იმ პრინციპის ირგვლივ, რაც მათ საერთო აქვთ და რაც გადამწყვეტია ჩვენი ეროვნული განთავისუფლებისათვის. ჩვენი ქვე-

ყნის მპყრობელნი ყველა საშუალებებით შეეცდებიან ხელი შეუწყონ ამ ეროვნულ ძალთა ერთად დარაზმვა-განმტყიცებას. ჩვენმა მართლაც ამის აღსაკვეთად მოაწყო ხელისუფლებამ ცხრა აპრილის ქართული სისხლის ღვრა. ყოველგვარი დაბრკოლება ამ მხით უნდა გადაილახოს. ეროვნული ერთობა აუცილებელი პირობაა ეროვნული ხსნისა. ცხრა აპრილის ტრადედიის შემდეგ, ჩვენი ერის მაჯისცემა იძლევა იმედს, რომ მას კარგად აქვს შეგნებული და გათავისებული ეს კატეგორიული იმპერატივი.

არა მარტო მებრძოლმა ათეზმმა, არამედ მასთან ერთად მუდმივმა სახელმწიფო ტერორმა და ცხოვრების სიდუხჭირემ დასცა საერთოდ საბჭოთა ადამიანის მორალი, მათ შორის ქართველი კაცისაც. საჭიროა ქართველი კაცის განწმენდა, განსპეტაკება. საბოლოოდ უნდა დაიგმოს ის ხანა, როცა ჩვენს შორის გაბატონებული იყო მლიქვნელობა, პირმოთნეობა, მონური სულისკვეთება. ქართველობა სინონიმი უნდა გახდეს პირდაპირობის, სიტყვის და საქმის ერთგულობის, ძმობა-გამტანობა-რაინდობისა. საქმით ვიყოთ ერთგული დიდი შოთას შეგონებისა:

მე სიტყვასა ერთსა გკადრებ: პლატონისგან სწავლა—თქმულსა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

განა სიცრუე და ორპირობა არ იყო, როცა საქართველოს კომპარტიის მაშინდელი პირველი მდივანი, ახლა სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი ედ. შევარდნაძე კრემლის დიდ ფორუმზე, სადაც მსოფლიოს კომუნისტური მთავრობების თუ პარტიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რიხით აცხადებდა: **საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო**, ანდა მისი თავმერცხვენილი პოლიტიკური მემკვიდრის, ჯუმბერ პატიაშვილის განცხადება სსრკ XIX პარტიულ კონფერენციაზე: დამოუკიდებლობა საქართველომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის წყალობით მიიღო. ასეთი უსინდისობა ქართველ კაცს უნდა აღეკვეთოს, არა კანონით, არამედ მორალით.

1924 წლის ეროვნული აჯანყების შემდეგ, საოკუპაციო ხელისუფლებამ არა მარტო გაყლიტა ათასობით ჩვენი დიდებული ახალგაზრდობა, არამედ მორალურადაც გასტეხა ნელნელა ჩვენი შესანიშნავი ეროვნული ინტელიგენცია; ქართველი ერის ფიზიკური არსებობის საკითხი კითხვის ქვეშ დააყენა უკანასკნელ მსოფლიო ომში

ეროვნული
მედიის ცენტრი

ჩვენი სამშობლოს მპყრობელი რუსეთის დასაცავად, საბჭოთა კავშირის თველი სისხლიანი ტირანების დაცვისათვის გაწირულ ქართველთა არაჩვეულებრივად დიდმა რაოდენობამ. ამის შემდეგ საუკუნე მაინც იყო საჭირო იმისათვის, რომ ქართველ ხალხს შეძლებოდა სისხლი გაეღო ეროვნული ვინაობის დასაცავად. მოხდა სასწაული და 1956 წლის გაზაფხულზე ქართველ ახალგაზრდებში მაინც აბორგდა ეროვნული სული და დამოუკიდებლობის მოთხოვნით დედაქალაქსა და საქართველოს ყველა მნიშვნელოვან ქალაქებში მასიურად გამოვიდნენ. ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით ცხრა მარტს თბილისის უიარალო მანიფესტანტები, ჯერ კიდევ დედის რძემეუმშრალი გოგონები და ქაბუკები, მხეცურად გაელიტეს ტანკებითა და ტყვიის-მფრქვევლებით. დღესაც არ ვიცით მათი ზუსტი რაოდენობა და ვინაობა. მაშინდელი ჩვენი ეროვნული ინტელიგენცია წელგატეხილი აღმოჩნდა, ვერ შეძლო დაღვრილი ქართული სისხლი ცილისწამებისაგან დაეცვა მსოფლიო საზოგადოების წინაშე.

სამშობლოს ცა თანდათან იჭუფრებოდა. ოფიციალურ მყვირალა წარმატებების განცხადებების ფონზე ჩვენთვისაც კი, რკინის ფარდის აქეთ მყოფთათვის, ცხადი იყო, ჩვენი სამშობლო ნელ-ნელად, მაგრამ უცილოდ, უფსკრულისაკენ მიიბიჯებდა.

თუმცა ათი წლის წინად, მწყობრად მასიურად მოწყობილ ეროვნულ მანიფესტაციის წინაშე კრემლმა უკან დაიხია სიტყვიერად, კონსტიტუციით ქართულ ენას ისევ სახელმწიფოებრივი სტატუსი შეუნარჩუნდა, მაგრამ პრაქტიკაში იგი არ აისახა. ხოლო სხვა მრავალი ეროვნული პრობლემა სულ უფრო მწვავედებოდა.

იყო მომენტები, როცა უიმედობის მწვავე სევდა გვეუფლებოდა. გვეჩვენებოდა, რომ მცირედის გამოკლებით ქართველობა უდარდულად მიჰყვებოდა დამლუპველ სირინოზებს. საბედნიეროდ, ვცდებოდით. თურმე ზედაპირზე არ ჩანდა, მაგრამ ერის ქვედაფენებში დულდა მდულარება, და აი, მან მოულოდნელად ამოხეთქა ზედაპირზე ჯერ გასულ წლის ნოემბრის უკანასკნელ დღეებში, შემდგომ კი — ახლა აპრილის პირველ დღეებში.

როგორც 1956 წლის ცხრა მარტს, ახლა ცხრა აპრილსაც ოკუპანტები მხეცურად გაუსწორდენ ქართველ ხალხს, — მაგრამ ამ ჯერად მათ მიერ ჩაფიქრებულ შავ მიზნებს ვერ მიაღწიეს. ცხრა აპრილ-



ის შავ-ბნელ ღამეს თბილისში დანთხეული ქართული სისხლი ვეთი-
ლად მიიღო და შეიწირა განგებამ, მასში განიზანა, ცოდვეთსაც
ან განიწმინდა, განსეტაკდა ქართველი ერი და აღსდგა იგი, ვი-
თარცა იესო ქრისტე, ჩვენი მაცხოვარი აღსდგა სიკვდილითა, სიკ-
ვდილის დამთრგუნველი. იუდა ისკარიოტელმაც კი შეინანა მისი
ცოდვანი და სრულიად ქართველობამ ხელი ჩასჭიდა ერთუროს.
გულს იმედი ჩაისახა...

ასე ერთი ნებით შეკრულ ხალხისათვის აღარ არის სათუო მისი
მომავალი. მას ველარადერს დააკლებს ეროვნული აღრევის, ეროვნუ-
ლი გადაგვარების კარზე მომდგარი და მოძალადე საშიშროება.

ეს სტატიაც შეიძლება დამთავრდეს იმ სიტყვებით, რომლებითაც
მთავრდება ცნობილი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის, აწ
განსვენებულ ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი: „ნეწავისიმოსტ გრუ-
ზი“ (პარიზი 1924 წელი) :

„აღსდგა ძველი საქართველო უკვდავების წყლით განმტკიცებული,
და კვლავ მისი მოკვლა შეუძლია მხოლოდ მისი საკუთარი შვილ-
ების სულმოკლეობას“.

როცა ეს სტრიქონები იწერებოდა მამული ჩვენი კიდევ ერთხელ
მძიმედ იყო დაჭრილი მისი ზოგიერთი შვილების სულმოკლეობის
წყალობით. ცხრა აპრილის აღაღმა თავშეწირვამ გამოისყიდა მათი
ნებისთი თუ უნებლიე შეცოდებანი და კვლავ აღსდგა სანატრელი
ქართული ეროვნული ერთობა. დაუღალავად ვილოცოთ და ვიზრუ-
ნოთ, რათა იგი არ დაირღვეს, რათა იგი გახდეს შეუქცევადი.

გიორგი წერეთელი

ე რ ო ვ ნ უ ლ ი გ ლ ო ვ ი თ ა დ ძ რ უ ლ ი
პ ო ე ზ ი ა

წ ი თ ე ლ ი ღ ა მ ე

ღამეა, სანთლების შუქზე
უსინათლო გუნდი მღერის მზის საგალობელს,
ქვაფენილებზე მწოლიარე მოშიშშილენი ხედავენ სიზმრებს,



მათ მზრუნველობით გარს შემორტყმია დიდი, პატარა რედაქცია
 და ყველას სამშობლო ეზმანება თავისუფალი.
 უძველესმა ერმა, რომლისთვისაც სამშობლოს ხატი
 და ქრისტეს სჯული არის უპირველესი სალოცავი,
 თავისი მრწამსის გადასარჩენად,
 შენ მოგიხმო, მაღალო ღმერთო,
 რომელსაც ძაღვის შეისმინო მისი ვედრება!
 აღზევდა სული, სული გმირული,
 პოეტური გახდა სამყარო,
 მაგრამ სიკვდილის ლანდი ჩამოწვა,
 საბედისწერო გამეფდა ღუმელი,
 პატრიარქმა დალოცა ხალხი და პირჯვარი გადაიწერა.
 ჩანს, უნდა მოხდეს გარდაუვალი.
 მაგრამ უღმერთობის კანონმდებელმა
 ვერ შეაკრთო ვერც ერთი სული!
 შეხეთ, რამდენია აქ ქეთევანი,
 რამდენი ცოტნე დადიანი, ხერხეულიძე და სხვა მრავალი!
 „ბრძოლის ველს“ კვლავაც მოეფინა ჰანგი ძლიერი,
 სიკვდილს პირისპირ შეეგება სული ქართველთა ...
 და როს გათენდა, სისხლით შეღებილი ნაჩეხი მთვარე
 ყვება დაუჯერებელ ამბავს ღამისას.

გურამ გიორგობიანი

გრძნეულო სიტყვავე

გრძნეულო სიტყვავე, მწუხარების წუთებში გეძებ,
 გიხმობ მახვილად, ჭირისუფლად გიხმობ მუდარად,
 შემოახვიე განწირულებს გაყინულ ძვლებზე
 შენი ბგერების გამკვირვალე, ნაზი სუდარა.
 მშობელო ენავ, გამობრწყინდი ძველი დიდებით,
 არ დართო ნება შენს უჩინარს სპას მიტევების,
 ქართლის მოგებო, უძველესი წყევლის სიტყვები
 სამარხებიდან ამოუშვით ასპიტებივით.



ახლა, როდესაც ცრემლად ჟონავს ჩვენი მთა-ბარი, ეროვნული
 როცა თვალეზში სიკვდილი ჩანს და მზეა მრუმე, ბიბლიოთეკა
 როცა ამოგვდევს ჩვენი სისხლის ცხელი ლაგამი
 და ლალი ვარდი ეკლის სახლში კვლავ შეაბრუნეს,
 ქართლის მოგვებო, გამოიხმეთ მამულის სული,
 ჩამოიცილეთ ასწლეულთა ნისლი და ბინდი,
 იქ, სადაც მტკვარი შმაგ არაგვთან შეერთებული,
 ვით ქართლის ჯარი, თბილისისკენ სიმღერით მიდის.
 გრძნეულო სიტყვავე, პირში გაჩრილ ლაგამს და ვარდებს,
 გამოაღწიე განწირულის სიმწრით და ელდით,
 მე ხომ ჯერ კიდევ ძალზე ადრე, ფარნავაზამდე,
 იბერიამში ცრემლიანი თვალეზით გწერდი.
 მოდი ერთგულო, ამ სიმწრის ჟამს მიგონებ თუკი,
 ჩემს სისხლს გამოჰყევ, მტარვალთ მიერ მათრახად ნაქსოვს,
 ვით სიკვდილიდან დაბრუნებულს ახსოვს სხვა შუქი.
 მეც, შენთან რომ ვარ, სხვანაირი სამშობლო მახსოვს.

ლალი თოთაძე

ა ს ი ნ ე თ !

ქინვალის გათხრებისას აღმოჩნდა საფლავის ქვა წარწერით:
 „ჩემს მშობლებს თვრამეტი ქალ-ვაჟი ვყავდით, მე ცხრამ-
 ეტს ვტოვებ, თქვენ?“...

ა ს ი ნ ე თ შ ა ვ ე რ ზ ა შ ვ ი ლ ი

ცის ვარსკვლავები არის შენი საგალობელი,
 ცხრამეტი აკვნის რწვევის ხმა რომ ქართველთ ასმინე.
 შენს ფიქრებს ვხედავ ჟამით მობელილს,
 დედა ასინეთ!

შენ გაიხარე! რა სიმაღლეა,
 „ვყავდით თვრამეტი, მე დავტოვე შვილი ცხრამეტი“.
 მზით მოჩახჩახე საქართველო ჩვენი სახლია,

გადახურული ვარსკვლავების წითელ კრამიტით.

შენს ქართველობას, შენს დედობას ლოდი დაღადებს
 და კვლავ გვიღვიძებს გულში იმედებს...
 არ გავნადგურდით! და რომ ავმალდით!
 შენი ღვაწლია, შენ სულს მივინდეთ!

თავს დაგვკიოდა მტერი მსახვრალი,
 დღე რომ ექცია ჩვენთვის ღამეთი,
 მაგრამ გულეზში ჩასცეს ლახვარი,
 ერთი კი არა, ცხრაჯერ ცხრამეტი.

„კაფეთესეო“ – უხმობს გუგული
 საქართველოს მთებს ლურჯს და ბანიანს...
 და აი, ახლა, მძლედ რომ გუგუნებს,
 არავგი არა, შვილთა შენთა მძლავრი ბანია.

აღსდევ! ზარს დაჰკარ! შენ ხარ მეზარე,
 შუქი დაგვფინე ქალღმერთ ნიკესი.
 სანამ დაგვამოხობს, სანამ შეგვზარავს
 დრო – კოჰლ თემურზე უსასტიკესი.

აღსდევ! მოუხმე დედებს ქართლისა,
 რომ დღეს ქართლია ველი მარტყოფის.
 ერის ზარს დაჰკარ ხმა – სიმართლისა
 ემას მთა და ბარს დგება უამი ყოფნა-არყოფნის.

სანამ დღეები ჩვენს სიმაღლეს დაბლა დახნავენ,
 სანამ თამარის და დავითის მზე ჩაგვიჭრება,
 აღსდევ! ზარს დაჰკარ! დღესვე, ახლავე,
 თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება.

ღმანისს და ბოლნისს... არხოტს, ასპინძას,



სანამ დახედავს ცა უფერული,
სანამ ჩაგვთვლიდნენ სტუმრად მასპინძელს
ჩვენი მიწა-წყლის ასჯერ დაცულს „დავითფერულით“.

აღსდგე! ზარს დაჰკარ! გამოადვიდე
მიძინებული ქართვის დედები.
ქართველ ვაჟკაცში გული არა, მზე და ნაღმი ძევს –
მიდიელების, შუმერების, ძველი ხეთების.

ვართ უღრეკელნი, თან მიამიტი,
ზოგჯერ თვით ღმერთთან ვიცით შებმა და შეჭიდება...
როგორც არასდროს, შვილი ცხრამეტი,
დღეს საქართველოს უფრო სჭირდება.

ვაჟა ვერისელი

(სამივე ლექსი გადმობეჭდილია ა. წ. 28 აპრილის „ლიტერატურული საქართველო“-დან.)

ყ ვ ე დ რ ე ბ ა დ ა ვ ე დ რ ე ბ ა

ღმერთო, როცა ძლიერ გვიჭირს,
აღარა გვაქვს სხვა რამ ღონე,
აღარვინ გვყავს დამხმარე და
ჭირ-ვარამის მოზიარე;
როცა სასოწარკვეთილნი
ვეღარ ვხედავთ შემწე ძალას,
როცა მტერი პეშვით გვასმევს
ძირმწარესა და სამსალას,
როცა უკან დასახევი
არის ხიდი ჩატეხილი,
მაშინ შენსკენ ვაპყრობთ თვალებს,
შენგან ველით, ღმერთო, შველას;
თუმცა ვიცით, ყველგანა ხარ
და თვით აპყრობ მზერას ყველას,



მაგრამ მაინც რატომ ღმერთო,
 შენც ხანდახან გვადებ ხელსა:
 როცა ხედავ, ვით ქართველებს
 გვთხრიან თვალებს, გვჭირიან ყელსა,
 როცა ნიჩბით ორღესულით
 გვიჩეხავენ გოგონებსა,
 რაც არავის არ უქნია,
 თვით ჩინგიზის მონგოლებსაც,
 ბოროტება შეუგვანი,
 სასტიკი და უღმობელი,—
 რატომ ღმერთო, მაშინ, იმ დროს
 არ აღგვიპყარ შემწედ ხელი...
 როცა თამარ ჭოგელიძეს
 ჩაუღეწეს ხერხემალი,
 როცა ბევრ სხვა თამუნიას
 ჩაუჩეჩქვეს ყვრიმალეზი,
 ამ დროს, ღმერთო, დიდებულო,
 შენ რად, რისთვის იმალეზი.
 როცა ორსულს, ორ ლამაზ სულს
 მოახვიეს მკვდრისა რიდე,
 მაშინ რატომ ბოროტ ავსულს
 შენი მეხი აარიდე?!
 შინ მომხდური მოძალადე
 რად ამარჯვე, არ ამიწე?!
 თუკი რამე დავაშავეთ
 და უნებურად შეგცოდეთ,
 მოკრძალებით შეგახსენებთ,
 რაც ჩვენ შენთვის სისხლი ვღვარეთ:
 ჩვენ ხომ შენთვის და შენსავეთ
 გოლგოთის მთა ავიარეთ,
 კაცთა ხსნითვის, შენ ჯვარცმული
 ჩვენს მეუფედ გალიარეთ,
 შეგეწირეთ და ვიყავით
 მუდამ შენი მოიმედე.



ახლა თითქოს განგვერიდე,
 შველა ვერ გამოიმეტე.
 ნუ გასწირავ ივერიას!
 ნუ გააჭრობ მის კერიას!
 მას აკმარე მწარე ხვედრი,
 ქრისტე ღმერთო, ამას გვედრი.

გივი კობახიძე – შაორელი
 ვაშინგტონი, 1989 წლის თამარობა.

ხ ა ლ ხ უ რ ი მ ო თ ქ მ ი ს ა ხ ა ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი

მოსთქვამენ ქართველთ დედები:
 „თბილისს დაესხენ რუსები,—
 გაზით, კეტებით, ნიჩბებით
 გაუღიტეს ჩვენი შვილები.

*

უნიფხო დედის შვილები,
 მხეცურად გამოზრდილები!
 ტანკით გვისრისეს ბიჭები,
 როგორც მატლები, ქიები.

*

ღმერთო, მათ თავზარი დაეც!
 შენს მეტი არ გვყავს მშველელი,
 შენ დაიფარე, ძლევა — ეც,
 ალალი ერი ქართველი.

*

დედა-ქალაქო, თბილისო!
 მომსწრევე სხვა მრავალ რბევისო,
 ნურც აწ გეშინვის მტრებისო,
 ყველას ღვთის რისხვა ელისო.“

პერევისელი

პარიზი, ეროვნული გლოვის აპრილი



ჩვენნი ემიგრაციის რეაქცია

ირაკლი ოთხმეზურის ინტერვიუ*)

მარინე ელის („ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ევროპაში):

ბ—ნო ირაკლი, თქვენ თუ აქცევდით ყურადღებას ევროპის პრესა-სა და ტელევიზიას საქართველოში აპრილის გამოსვლების და იქ მომხდარ უბედურების შესახებ? — **ი. ოთხმეზური:** რასაკვირველია — დიდი ყურადღებით და მღელვარებით. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტრადიციულ ამბებს დიდი ადგილი დაუთმო ევროპის ყურადღებამ. იყო გადმოცემები ყველა ევროპულ ტელეხედვაში ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან და სხვა. ზოგი ქართველიც ალაპარაკეს, მაგალითად, ვნახეთ აკაკი რამიშვილი ინგლისურ ტელეხედვაში და ქართველები საფრანგეთის ტელეხედვაში. ჟურნალებიც და გაზეთებიც იძლევიან ბევრ ცნობებს ამ საშინელ მხეცობის შესახებ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაიდინა, იხმარა რა საწამლავი გაზეთი უიარაღოდ გამოსულ ქართველების წინააღმდეგ და რომ იყო დიდი მსხვერპლი. განსაკუთრებით ვრცელი წერილები იყო ბელგიის გაზეთ „ლო სუარში“ და 24 აპრილის ამერიკულ „ტაიმში“, სადაც სურათებიც იყო — ჯარი ტანკებით, სავსე პოლიციელები, ქართველები ეროვნული სამფერი დროშებით და აგრეთვე პატრიოტული განცხადებები ინგლისურად და ქართულად. ეტყობა, ევროპაში ბევრმა კარგად გაიგო აზრი, რომ ქართველობა თავისუფლებისაკენ მიისწრაფის.

—**მ. ელ.:** ბ—ნო ირაკლი, ყველამ მართლაც კარგად გაიგო ქართველთა სულისკვეთება? — **ირ. ო.:** არასავსებით. მაგალითად, 12 აპრილის გაზ. „ტაიმში“ ჯერ ერთი, წერილის წინ იყო ერთი ჭკუა მხიარული კარიკატურა: ერთი კაცი ცეკვავს და ბუქნავს, ეს ქართველია, მეორე მხრით რუსის ჯარისკაცები მიწაზე ეცემიან. სინამდვილე კი იყო ის, რომ რუსის ჯარისკაცებმა საწამლავი გაზეთი გაუშვეს შეკრებილ ხალხში და გამოიწვიეს დიდი მსხვერპლი. მერმე, თვით შინაარსიც, ეს გამოსვლები არ იყო სავსებით გაგებულნი. მოჰყავს აფხაზების, ოსების და სხვადასხვა უმცირესობების საკითხი, რაც სინამდვილეში რუსებისაგან არის გამოწვეული. ეს



ხალხები თვით გამონახავდნენ საერთო ენას ერთად საცხოვრებლად, მოსკოვის ჩაურევლად ...

- მ. ელ.: ბ-ნო ირაკლი, ბოლოს, რა გენბავთ უთხრათ იქაურ ქართველობას? პასუხი: ამ ამბებმა ყველა ჩვენგანი მეტად აღაშფოთა და დაამწუხრა. ვიზიარებთ ჩვენი ხალხის უბედურებას და გუსურვებთ, რომ ეს მათი მისწრაფება თავისუფლებისადმი ყოფილიყოს წარმატებით დაგვირგვინებული.

*) იბეჭდება შემოკლებით, რადგანაც საფრანგეთის ქართველების შესახებ აქვე ქვეყნდება კორესპონდენცია უფრო დაწვრილებით.
რედ.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა და
ც ხ რ ა ა პ რ ი ლ ი

კვირას, ცხრა აპრილს, დილიდანვე აწრიალდა პარიზის ქართველობა, ტელეფონებით ერთმანეთს ატყობინებდნენ, რომ რაღაც საშინელი ამბები მოხდა ღამით თბილისში, რომლის კონტურები ჯერ კიდევ უცნობი იყო, შემდეგ, შუადღისას ეკლესიაში შეკრებილებმა უფრო მეტი ვიცოდით, თუმცა ჯერ კიდევ წარმოდგენაც არ გვქონდა ჩვენს ხალხზე განხორციელებული ბოროტმოქმედების განზომილებებზე და მიზეზ-შედეგებზე. ეს მხოლოდ დღის მიწურულში შევიტყვეთ თბილისთან პირდაპირი კავშირით, რომელმაც ჩვენს ყოველგვარ წარმოდგენებს გადააყარბა, თავისი არაადამიანური საშინელებებით. ჩვენს უძირო მწუხარებას ემატებოდა შიში: რა გზას დაადგებოდა ქართველი ხალხი და რა პოლიტიკას გააგრძელებდა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლობა.

- ჩვენდა სამწუხაროდ, საფრანგეთის ჩვენი ეროვნული ემიგრაცია ცხრა აპრილს ვერ შეხვდა პოლიტიკურად მტკიცედ დარაზმული. თვით ჩვენს სათვისტომოს გამგეობაში კრიზისი იყო და ჯერ კიდევ არჩეული არ იყო ახალი გამგეობა და თავმჯდომარე.

ამის გამო პირველი რეაქციები იდივიდუალური ინიციატივის და სპონტანური ხასიათისანი იყვენ.

როგორც საბჭოთა კავშირის საკითხების ავტორიტეტული სპეცია-



ლისტი, ქ.-ნი ელენ კარერ დანკოსი პირველ დღესავე ეროვნული საფრანგეთის რადიო-ტელევიზიაში მისი ავტორიტეტული აზრის გადასაცემად, და მანაც მისთვის ჩვეული ერუდიციითა და დამაჯერებლობით განმარტა ქართველი ხალხის დღევანდელი ტრადედია, რომელიც პირველი არ არის და რომელსაც დასაბამი მიეცა, საბჭოთა ჯარების თავდასხმით **1921** წელს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაზე, ძალით გასაბჭოებით და სსრკ-ს შემადგენლობაში შეყვანით.

ათ აპრილს საფრანგეთის ეროვნული ტელევიზიითა და რადიოთი ფრანგ ხალხს მიმართეს ჩვენი ემიგრაციის აქტიურმა წარმომადგენლებმა ექიმმა ოთარ ზურაბიშვილმა და თამაზ ნასყიდაშვილმა. მათ სხარტად და ზუსტად წარმოაჩინეს აპრილის საპროტესტო მანიფესტაციების ღრმა ეროვნული ხასიათი და აბსოლუტურად მშვიდობიანი დემოკრატიული ფორმა, რომელთან, დიალოგის გამართვის მაგიერ, ხელისუფლებამ მიმართა ყოვლად შეუწყნარებელ დამსჯელ სამხედრო ოპერაციას, უიარალო ხალხის, განსაკუთრებით ქალიშვილების და მანდილოსნების ხოცვა-ჟლეტას. გადაცემები რამდენჯერმე იყო განმეორებული და განსაკუთრებით მასიური სმენადობის, სადილობისა და ვახშობის, მომენტებში ორი დღის განმავლობაში.

პარალელურად განხორციელდა მასიური საპროტესტო მანიფესტაციები. პარიზის პრეფექტურისათვის არაჩვეულებრივამ მოკლე დროში მივიღეთ ნებართვა სსრკ-ს საელჩოს წინ **11** აპრილის **18** საათიდან საპროტესტო მანიფესტაციისა. ტელეფონით შევატყობინეთ პარიზსა და პარიზის რეგიონში მცხოვრებ თანამემამულეებს, რომლებიც, თბილისიდან მომდინარე ამბებით შემფოთებულნი, მასიურად გამოგვეხმაურენ.

თერთმეტ აპრილს, პარიზში, დღიდანვე წვიმიან-ქარიანი ტაროსი იღვა, **17** საათიდან კი კოკისპირული წვიმა დაიწყო და თან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მონაბერი ქარიშხალი უბერავდა, თითქოს ბუნებას სურდა პარიზიდან გადაერეცხა და წაეღვკა ცხრა აპრილს თბილისში ჩადენილი დანაშაული და უღვთოდ დაღვრილი ქართული სისხლი. დანიშნულ დროს, **18** საათზე „დოფინის“ მეტროსთან და მის მიმდებარე მოედანზე დიდძალმა საზოგადოებამ შეიყარა თავი. აქ ქართველებთან ერთად მოვიდნენ სსრკ კავშირისა და აღმოსავლეთ



ევროპის სატელიტ ქვეყნების ეროვნული ემიგრაციების წარმომადგენლები.



18 საათსა და 30 წუთზე ადგილიდან დაიძრა, დინჯი ნაბიჯით, გლოვის მღუმარებით, სპროტესტო მანიფესტაცია, მარშალ ლანის ბულვარით საელჩოსაკენ. მსვლელობას წინ მიუძღოდა ძაძვებით მოსილი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის სამფეოვანი აღამი.

11 აპრილის მანიფესტაციის წინა რიგი საელჩოს პირდაპირ. ელოდებიან დელეგაციის დაბრუნებას საელჩოდან.

მრავალ პლაკატზე, რომლებიც აღემატათ მანიფესტანტებს იკითხებოდა: „შეწყდეს ქართველი ხალხის რბევა“, „თავისუფლება საქართველოს“, „გორბაჩევო, ამხილე და სამაგალითოდ დაისაჯონ თბილისის მშვიდობიანი ხალხის მკვლელები და მათი მბრძანებლები“ და სხვა.



20 აპრილი. ისევ სსრკ საელჩოსთან პარიზის ახალგაზრდა ქართველების საპროტესტო მანიფესტაცია.

ზუსტად საელჩოს პირდაპირ, დიუფრენუას ქუჩის კუთხეში, პოლიციამ გზა გადაგვიღობა და საელჩოსთან უფრო მეტად მიახლოების ნება არ დაგვართო.



აქ მანიფესტანტებს სიტყვით მიმართა გიორგი წერეთელმა, რომელმაც მკაცრად დაგმო საბჭოთა იმპერიალიზმის მიერ ცხრა აპრილს თბილისში ქართველი პატროტების მიმართ ჩადენილი ველური დარბევა და,

26 აპრილი. კონგ. თეატრის კულისებში მანიფესტანტებს მოუტანიათ „სისხლიანი“ ნიჩბები.

მხუვალე პატივი მიაგო დაღუპულთა მარადიულ ხსოვნას. მემდგომ-
ბ-ნ ვიქტორ ხომერიკმა წაიკითხა საბჭოთა წარმომადგენლობის
გადასაცემი განცხადების ფრანგული ტექსტის პროექტი, შედგენილი
საპროტესტო დემონსტრაციის საინიციატივო კომიტეტის მიერ (ნი-
კოლა ანთაძის, ვიქტორ ხომერიკის, ტარიელ ზურაბიშვილის, ეთე-
რი და გიორგი წერეთლების შემადგენლობით), რომელშიც სიტყვა-
სიტყვით ნათქვამი იყო:

„ჩვენ, ამ საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილენი, შეძრწუნე-
ბულნი ცხრა აპრილს თბილისში მომხდარი ტრადიკული ამბებით,
მოვედით აქ, სსრკ -ს წარმომადგენლობის წინ, რათა ჩვენი უსაზ-
ღვრო აღშფოთება საჯაროდ გამოვხატოთ იმ მხეცური და სისხლი-
ანი რებრესიებით გამოწვეული, რომელიც თავს დაატყდა მშვიდო-
ბიან ქართველ პატრიოტ მანიფესტანტებს. თქვენი შუამავლობით,
ბ-ნო ელჩო, მტკიცედ, დაბეჯითებით მოვითხოვთ სსრკ მთავრობისგან:

ა) სრული სინათლე მოეფინოს ამ უაღრესად უღირს ინციდენტს
და რომ მკაცრად იყვენ დასჯილნი ამ მასიური მკვლელობის პასუ-
ხისმგებლები.

ბ) დაუყოვნებლივ გაუქმდეს საქართველოში შემოღებული კომენ-
დანტის საათი, თბილისიდან და საქართველოს ყველა ქალაქებიდან
გაყვანილი იქნას საჯავშნო და ყველა სხვა სახის სამხედრო ნაწი-
ლები.

გ) საბჭოთა მთავრობამ საჯაროდ ბოდიში მოიხადოს მგლოვიარე
ქართველი ერის წინაშე.

დ) ამ მკვლელობის მსხვერპლთა ოჯახებს სახელმწიფოსაგან მიე-
ცეთ მატერიალური ანაზღაურება.

ე) დაუყოვნებლივ პატიმრობიდან იქნენ განთავისუფლებულნი
ქართველი ხალხის პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული მოძრაობების
ლიდერები, კერძოდ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი
წერეთელი, გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი, ვანო ხუბუნაშვილი.“

პარიზი, 11 აპრილი 1989 წელი.

დემონსტრანტებმა ერთხმად მიიღეს განცხადების ტექსტი. მის
საელჩოსთვის გადასაცემად ხელდახელ შედგა დელეგაცია: ეთერი
წერეთლის, ტარიელ ზურაბიშვილის და ალექსი კობახიძის შემად-



გენლობით. დღეგაცა თავაზიანად მიიღეს საელჩოში. მესამე მღივანმა (სომეხი) პირადი სამძიმარი გამოუცხადა და მისცა სიტყვა, რომ განცხადება გადაეცემოდა საბჭოთა ხელისუფლებას. დემონსტრაციას თავიდან ბოლომდე იღებდა საფრანგეთის ტელევიზიის ოპერატორი.

– 15 აპრილს 19 საათზე, პარიზის წმიდა ნინოს სალოცავში გადახდილი იქმნა ცხრა აპრილს უღვთოდ დახოცილთა საეკლესიო პანაშვიდი. თვით ეკლესიაში ხალხის ტევა არ იყო, დამსწრეთა ნახევარი მაინც კიბებებზე და შესასვლელ კარების წინ მოედანზე იდგა. სანამ მღვდელი წირვას შეუდგებოდა, მნათე თამაზ ნასყიდაშვილმა მოკლედ, მაგრამ დიდი განცდებით ახსენა მშვიდობიანი მანიფესტანტების, მოშიშმიღე, ანთებული სანთლებით ხელში მლოცველი ხალხის უმაგალითო ზოცვა-ჟღერა და წაიკითხა დაღუპულთა სია. იგი შეცვალა ჯანრი კაშიამ, რომელმაც წაიკითხა არქიმანდრიტ იოაკიმ ასათიანის ქეშმარიტად შესანიშნავი მიმართვა მორწმუნე-პატრიოტ ახალგაზრდებისადმი და, მერე, — ღია გოგითქემ ფრანგულად. ღვდელმსახურება შესრულდა დამსწრე-მლოცველ საზოგადოების მხურვალე ზიარების ატმოსფეროში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 19 მაისს ასევე მრავლრიცხოვან დამსწრეთა სრულ ზიარებაში შეასრულა დაღუპულთა ორმოცის პანაშვიდი მამა მეთოდოსმა.

ახალგაზრდების სოლიდარობა. გაზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდობამ გადაწყვიტა თბილისის სტუდენტ-ახალგაზრდობასთან სოლიდარობის გამოცხადება და თბილისის სისხლიანი ცხრა აპრილის საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო ოცი აპრილის საღამოს საბჭოთა საელჩოს წინ და საპროტესტო პეტიცია გადასცა საელჩოში.

სპექტაკლებზე განხორციელებული აქციები. ქართველ განაწამებ ხალხთან სოლიდარობის და ფრანგული ფართო საზოგადოების მის სასარგებლოდ განწყობის მიზნით განხორციელებული იქნა სხვადასხვაგვარი მოქმედება საბჭოთა საგასტროლო სპექტაკლებზე.

ა) 18 აპრილს ქალაქ ბოზინის (პარიზის მახლობლად) კულტურის ცენტრში დაიწყო თბილისის კინომსახიობთა და თოჯინების



თეატრების წარმოდგენები. გუშაგის რედაქციამ გადაწყვიტა იგი გამოეყენებია, თბილისის ცხრა აპრილის ბარბაროსული აქციის სამხილებელ და ქართული ეროვნული ღირსების დასაცავ ტრიბუნად. თეატრის შესავალში მსაყურებლებს დაურიგდა ფურცლები, რომლის თავში მოთავსებული იყო მოქვეითინე ახალგაზრდა ქალთა ჯგუფის ფოტოსურათი. მას მოსდევდა დიდი ასოებით: „საქართველო სტირის მის მკვდრებს“, და შემდეგ განცხადების ტექსტი:

„ამ დღეებში მგლოვიარე ქართველი ხალხი მიწას აბარებს, ცხრა აპრილს, თბილისში, საბჭოთა ჯარის მიერ ჩადენილი უსასტიკესი რეპრესიის მსხვერპლთ. ბ-ნი გორბაჩოვის რუსმა სალდათობამ, რომელიც, ათი წლის განმავლობაში წარმოებული მხეცური დაპყრობიომის შემდეგ, ავლანთა გმირულმა წინააღმდეგობამ გამოაძევა, - შური იძია უიარაღო ქართველ ხალხზე.

დღევანდელ მდგომარეობაში ჩვენს მეგობარ ფრანგებს შეიძლება უადგილოდ და ქართული ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად ეჩვენოთ თბილისის თეატრების მიერ აქ გასართობი სანახაობის ჩვენება; მაგრამ ქართველ მსახიობთა გასამართლებლად უნდა ითქვას: ჯერ ერთი, ისინი ვალდებული არიან დაიცვან საგასტროლო სპექტაკლების საერთაშორისო კანონები (ხელშეკრულება ალბათ ცხრა აპრილზე დიდი ხნით ადრე იქნებოდა ხელმოწერილი), და მერე, ისინი იძულებული არიან დაემორჩილონ საბჭოთა ხელისუფლების ბრძანებას, მათ ხომ სამშობლოში მძევლებად დარჩათ საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასი ოჯახები.

ბ-ნი გორბაჩოვის მთელი კაცობრიობა შეცდომაში შეყავს, როცა ის დაუღალავად აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისი მეთაურობით პატივსა სცემს პიროვნებისა და ერის საყოველთაოდ აღიარებულ თავისუფლებას; სინამდვილეში კი საბჭოთა კავშირი რჩება დღემდე „ხალხთა დიდ საპყრობილედ“ და მისი მეთაურები, ლენინიდან დაწყებული გორბაჩოვამდე, - სისხლიან ტირანებად“.

აქ უადგილოდ მიგვაჩნია, ვილაპარაკოთ სპექტაკლების მხატვრულ ავტარებანობაზე. მხოლოდ კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ორივე თეატრის კოლექტივმა ღირსეულად მოიხადა როგორც პროფესიული, ისე ეროვნული ვალი. სპექტაკლის



დაწყების წინ, სინათლე რომ ჩაქრა და გონგის ხმა გაიჟღერა, სინათლე წინ გამოვიდა ფრანგულის მცოდნე ერთ-ერთი სპექტაკლში მონაწილე მსახიობი, რომელმაც მოკლედ, ჭირისუფლის უბრალოებით და დამაჯერებლობით, დამსწრე მაყურებელ საზოგადოებას მოახსენა ცხრა დღის წინად მის მშობლიურ ქალაქში დატრიალეზულ ბოროტ-მოქმედებაზე და მის უმანკო მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად გეთხოვა ფეხზე ადგომა და წუთიერი მდუმარება. ეს იყო ერთსულ-ოვნად გაზიარებული და ღრმა დრამატიზმის შემცველი წუთი...

და ბოლოს, გვინდა ჩვენს მკითხველს, რომელიც ამ დღეს იქ არ იყო, ისიც ვუთხრათ, რომ თბილისის თეატრების წარმოდგენებს ყოველდღე მრავლად ესწრებოდნენ პარიზის რეგიონის ქართველები, მათი დასწრება განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო პირველ, გახსნის დღეს, რაც სრულიად ბუნებრივია. მათ შორის იყვენ ქართველი საქმის ობივატელებიც და შეგნებული ჭირისუფლებიც. გუშაგს მათ შორის გამოკითხვა არ უწარმოებია, თუ ვინ როგორ შეაფასა მის მიერ განხორციელებული აქცია, მაგრამ გაგვაკვირვა რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტის დაუინტერესებლობამ.

წითელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტებზე.

ეს ანსამბლი, რომელიც ფრანგებში დიდი პოპულიარობით სარგებლობს და ყოველწლიური სტუმარია პარიზის, წელს თავის პირველ კონცერტს აძლევდა 19 აპრილის საღამოს, საქველმოქმედო გალის სახით „უბედური შემთხვევების შედეგად მძიმედ დასახიჩრებულთა“ საზოგადოების სასარგებლოდ, რომელსაც, როგორც საპატრიო თავმჯდომარეები, უნდა დასწრებოდნენ პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი დანიელ მიტერანი და შრომის ინვალიდთა მინისტრი, საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატორი, ბ-ნი მიშელ ჟილბერი.

„სოლიდარობა საქართველოს“ კომიტეტმა წერილებით მიმართა ამ უკანასკნელთა სამდივნოებს და მოკრძალებით შეახსენა თუ რა გროტესკული იყო დღევანდელი გალა მაშინ, როცა ცხრა დღის წინად წითელი არმიის ნაწილების მხეცობის შედეგად დაღუპული და სამუდამოდ დასახიჩრებულია ასობით მშვიდობიანი მოსახლეობა, მხოლოდ იმისთვის რომ თავისუფლებას ითხოვდა. ჩვენი აზრი გაზიარებული იქნა ქ-ნი მიტერანის და ბ-ნი

ჟილბერის მიერ, რისი დასტურიც გახლდათ ის, რომ ისინი, პირადად გალას აღარ დაესწრენ, დაკმაყოფილდნენ მათი წარმომადგენლების იქ გაგზავნით. „სოლიდარობა საქართველოს“ ხელმოწერით, აღნიშნულ გალაზე, დარბაზის შესასვლელში სპექტატორებს დაურიგდათ პროკლამაცია წითელი არმიის მიერ ჩადენილი ბარბაროსობის შესახებ რვა-ცხრა აპრილის ღამით თბილისში.

26 აპრილის სიმბოლური დემონსტრაცია.

ჩვენმა საჯარო მანიფესტაციებმა, ოცდაექვს აპრილს, ერთხელ კიდევ არევ-დარევა შეიტანეს, პარიზის კონგრესების სასახლის თეატრში მიმდინარე წითელი არმიის ანსამბლის კონცერტების მწყობრ მსვლელობაში და ჩვენი ეროვნული ტკივილისადმი სოლიდარობის გრძნობები გააღვივეს მათ მსმენელ-მაყურებლებში. თეატრის პარტერში გადაყრილი იქნა ასობით პროკლამაცია, ხოლო კულისებში, ზუსტად მსახიობთა სცენაზე შესასვლელში, ჩვენმა მანდილოსნებმა, ყვავილების მაგივრად, 43 წითელი მელნით დათხუპნული მესანგრის ბარ-ნიჩაბი დაულაგეს. საფრანგეთის რადიო-ტელევიზია აქაც მოწმე იყო.

შალვა თაყაიშვილის მოწმობა.

ხაზგასმით აღსანიშნავია აგრეთვე შალვა თაყაიშვილის გამოსვლა საფრანგეთის ეროვნული ტელევიზიითა და რადიოთი. ის სწორედ იმ დროს თბილისში იმყოფებოდა და ადგილობრივ ნათესავ-მეგობრებთან ერთად უნებური მოწმე გახდა საბჭოთა მხედრიონის მიერ ჩადენილი დაუჯერებელი დანაშაულობისა, ათასობით უიარაღო და მშვიდობიანი ქართული თავშეყრილობის ბარბაროსული რბევა-ხოცვა-ჟლეტისა. პარიზში დაბრუნებულმა, მან თავი მოვალედ ჩათვალა ფრანგ საზოგადოებისთვის ეთქვა თვითმხილველის მართალი სიტყვა. მისმა ღინჯმა, დამაჯერებელმა და დასაბუთებულმა მოწმობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მილიონობით ტელე-რადიო მსმენელებზე.

საქ. ოპოზიციური ეროვნული ძალების დეკლარაცია.

რეპორტაჟის სისრულისათვის საჭიროა, ისიც აღინიშნოს: მეგობარ თენგიზ გუდავასგან მივიღეთ დეკლარაციის ქართული ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდენ: საქ. პელსინკის ჯგუფი, წმიდა ილია



მართლის (კავკავადის) საზოგადოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ეროვნული სამართლიანობის კავშირი. თ. გულუგუნიანის თანახმად, „გულუგუნიან“ ფრანგულად თარგმნა (დოკუმენტი საკმაოდ გრძელია, ის დეკლარაციასთან ერთად წარმოადგენს დასაბუთებებსაც და მოქმედების გეგმასაც) და დაზღვეული ფოსტით გაუგზავნა პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს, თანაც შესავალ წერილში იმედს გამოთქვამდა, რომ ბ-ნი პრეზიდენტი გულგრილი არ დარჩებოდა თბილისში ცხრა აპრილს მომხდარ ეროვნულ ტრადედიის მიმართ. ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდე პრეზიდენტის არც რეაქცია და არც პასუხი არ ჩანს.

ეთერი წერეთელი

ამერიკის ქართველობა და 9 აპრილი

ამერიკის შეერთებული შტატების ქართული ემიგრაცია სულხორციანად შესძრა და აამღელვარა, თბილისის 8-9 აპრილის სისხლიანი ღამის შესახებ, პირდაპირ ტელეფონით იქიდან მიღებულმა და ამერიკის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულმა დრამატიულმა ცნობებმა..

მეორე დღესვე გამოქვეყნდა ნიუ-იორკის ქართ. სათვისტომოს გამგეობის განცხადება, რომლის პირები გაეგზავნათ: პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, შეერთებული შტატების კონგრესს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოსა და უშიშროების საბჭოს, რომელშიც სიტყვა-სიტყვით ნათქვამი იყო:

„ჩვენ თავზარდაცემულნი ვართ თბილისიდან მოსული ტრაგიკული ამბის გამო. კვირას, ცხრა აპრილს დილის ოთხ საათზე, ხელისუფლებმა სისხლიანი სასაკლავო მოუწყვეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეებს, რის შედეგადაც მრავალი ადამიანი იქნა მოკლული და რამდენიმე ასეული – მძიმედ დაჭრილი. მოკლულთა შორის ძირითადად ქალები და აგრეთვე ბავშვები არიან.

მოსკოვიდან და გორკიდან ჩასული „სპეცდანიშნულები“ რაზმები, აგრეთვე შინაგანი დაცვის ჯარები მოულოდნელად თავს დაეს-

ხნენ უიარალო დემონსტრანტებს, გამოიყენეს რა მათ წინააღმდეგ მომწამლავი გაზები, სიკვდილამდე დაუწყეს ცემა ხელკეტებითა და სასანგრე ნიჩბებით.

საბჭ. ხელისუფალთა მიერ ჩადენილი ამ ბოროტმოქმედებების არც გამართლება და არც პატიება არ შეიძლება. ამ საშინელი დანაშაულის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ს. კ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, და პირადად გორბაჩოვს, შევარდნაძესა და საქ. კ. პ. ც. კომიტეტის პირველ მდივანს, პატიაშვილს.

მიმდინარე წლის ოთხ აპრილს, თბილისსა და სხვა საქ. ქალაქებში მიმდინარეობდა დემონსტრაციები და გაფიცვები, საქ.-ს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, რომელიც გათელილი იქნა რუსეთის წითელი არმიის ჯარების მიერ 1921 წელში. ჩვენი ხალხი არასოდეს შერიგებია კოლონიურ სტატუსს. ამ ბოლო დღეებში მან განსაკვიფრებელი ერთობა გამოავლინა ეროვნულ მისწრაფების გამოხატვაში, საქართველოში თავისუფლებისა და დემოკრატიული წესწყობილების დამყარების მოპოვებისათვის.

პარასკევს, 7 აპრილს, გაფიცვები მოედო პრაქტიკულად თბილისის ყველა წარმოება-დაწესებულება-სასწავლებელს და აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქალაქებისას. მთავრობის სახლის წინ თბილისში შიმშილობა ჰქონდა გამოცხადებული 230-მდე კაცს, რომელსაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში მხარს უჭერდა ათობით ათასი დემონსტრანტი. დემონსტრანტთა მოქმედებანი არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა ძალისმიერი. ხელისუფალთ არცერთხელ არ უცდიათ პირდაპირი დიალოგის გამართვა დემონსტრანტების წარმომადგენლებთან. ამის მაგიერ, მათ ჩაიდინეს ჩვენი ხალხის საუკეთესო ქალ-ვაჟთა წინასწარ განზრახული მკვლელობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები დაპატიმრებული არიან, თბილისში, გაგრასა და სოხუმში გამოცხადებული საკომენდანტო საათი.

ჩვენ, ქართველი ემიგრანტები ამერიკის შ. შტ. -ში, უზომოდ ვგლოვობთ ჩვენი თანამემამულეების ტანჯული სიკვდილის გამო, ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს გმირ-ტანჯულთა სახელებს, რომლებმაც



თავისი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს სამშობლოს განთავსების ღიად საქმეს.

სირცხვილი კომუნისტ მკვლელებს!

სირცხვილი მოსკოველ იმპერიალისტებსა და მათ დამქაშ ქართველ მარიონეტ ხელისუფალთ!

თავის აღურიცხავ მსხვერპლთ, საბჭ. რეჟიმმა დღეს ახალი სახელები დაუმატა, მას ვერ უშველა ვერც „გარდაქმნამ“ და ვერც „საჯაროობამ“, და იგი კვლავაც დანაშაულებრივ, ადამიანთა მოძულე მოვლენად რჩება.

ჩვენ მოუწოდებთ შ. შტ. —ის პრეზიდენტ ბუშს, კონგრესსა და სახელმწიფო დეპარტამენტს, მიიღონ გადამჭრელი ზომები ქართველ დემოკრატების მიმართ სისხლიან ანგარიშსწორებებთან დაკავშირებით. ჩვენ მოუწოდებთ მთავრობებს, პარლამენტებსა და მთელ მსოფლიოს საზოგადოებრიობას, დაგმონ საბჭოთა ხელისუფალთა ბოროტ მოქმედებანი და მხარდაჭერა აღმოუჩინონ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

ამერიკის შ. შტ. —ს ქართული

სათვისტომო

ნიუ-იორკი, 10 აპრილი 1989.

*

11 აპრილს, ნიუ-იორკში დაარსდა, ქართ. სათვისტომოს თავმჯდომარე ექიმ ავთანდილ პაპიაშვილისა და თენგიზ და ელუარდ გუდაგების ინიციატივით, საქართველოს ხსნის საერთაშორისო კომიტეტი, რომელშიაც უნდა შევიდნენ ქართულ სათვისტომოთა წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან. კომიტეტის მიზანია, საქ — ში არსებული მდგომარეობის შესახებ მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირება, ქართული ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციის ახსნა-განმარტება და აგრეთვე მორალური, პოლიტიკური, ფინანსური და სხვა დახმარების გაწევა ქართველ პატრიოტებისა და დაღუპულ პატრიოტთა ოჯახებისათვის.

ამ დღესვე ჩატარებულ პირველ სხდომაზე, სხვათა შორის, კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ 14 აპრილს დღის 12 საათზე, გ. ე. ო. —ს

შენობის წინ ჩაატაროს დემონსტრაცია, ხოლო ხვალვე (12.04.89) გეოს ხელმძღვანელობას გადაეცეს, საქ. ეროვნული და დემოკრატიული ძალების, ამ წლის 25 თებერვლის, განცხადება, რომელსაც ხელს აწერს 60000-ზე მეტი კაცი და რომელშიც მოთხოვნილია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

მართლაც, 14-ში დანიშნულ დროსა და ადგილზე თავი მოიყარა ნიუ-იორკელმა ქართველებმა, სომხებმა, უკრაინელებმა, ლიტვა-ლათვია-ესტონელმა ემიგრანტებმა და სხ. დემონსტრანტები აფრიალებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს დროშებს, გლოვის ლენტეხით. ტრანსპარანტებზე სხვათა შორის წაიკითხავდით: „გორბაჩოვო, ტანკები და ქიმიური იარაღია თქვენი საჯაროობა?“, „პრეზიდენტო ბუშო, დაგმეთ საქართველოში განხორციელებული მკვლელობები“, „გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!“ და სხვა.

დემონსტრაციაზე გამოსულმა ორატორებმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოში დაღვრილი სისხლის საპროტესტოდ დემონსტრანტებმა დასწვეს სსრკ სახელმწიფო დროშა.

დემონსტრანტები გაემართნენ სსრკ საელჩოსაკენ, სადაც მეორე მდივანმა მიიღო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იყვნენ ეჭ. ა. პაპიაშვილი და თ. გუდავა. მდივნისადმი გადაცემულ განცხადებაში გამოთქმული იყო სასტიკი პროტესტი საბჭ. ხელისუფლების მიერ თბილისში განხორციელებული ბოროტმოქმედების გამო და მოთხოვნილი – საქართველოდან დამსჯელი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა, სამხედრო მდგომარეობის გაუქმება, ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლება და ბოროტმოქმედთა პასუხისგებაში მიცემა. საბჭოთა მისიის წარმომადგენელი დაპირდა, რომ განცხადებას გადასცემდა დანიშნულების მიხედვით. საპროტესტო განცხადების მიღება და ისიც თავაზიანად, უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენს საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობის მთელ ისტორიაში.

თენგიზ გუდავა

*



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა კ ი თ ხ ი ა მ ე რ ი კ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი
კ ო ნ გ რ ე ს შ ი გ ი ზ ო ლ ი უ ტ ი ა ა

სისხლიანი ცხრა აპრილის შთაბეჭდილებების ატმოსფეროში, 12 აპრილიდან დაწყებული, შეერთებული შტატების კონგრესი იხილავდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი მის განწყობილებას. კერძოდ, სენატორთა მსჯელობის საგანი იყო, სენატორების: ჯეკ ჰელმისის (კაროლინის შტ.) და პიტ ვილსონის (კალიფორნიის შტ.) მიერ, წელს 17 მარტს, განსახილველად წარდგენილი რეზოლუციის პროექტი: „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ ძალებისადმი მხარდაჭერისა“. თვით ამ რეზოლუციის პროექტს საფუძვლად დაედვა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერების: ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გიორგი ჭანტუიას, თენგიზ გუდავას გასული წლის 26 მაისის მიმართვა ამერიკის კონგრესისადმი. რეზოლუციის პროექტი:

„ვინაიდან საქართველოს ეროვნულ-თვითმყოფადობას ქრისტიანობის წარმოშობამდე მიეცა დასაბამი;

– ვინაიდან მე-19 საუკუნემდე, სანამ მეფის რუსეთი მოახდენდა რუსეთის იმპერიაში საქართველოს მოქცევას, იგი დამოუკიდებელი იყო;

– ვინაიდან საქ. დამოუკიდებლობა აღდგენილი იქნა 1918 წლის 26 მაისს, საქ. რესპუბლიკის გამოცხადებით, რომელსაც ჰყავდა დემოკრატიული გზით არჩეული პარლამენტარული მთავრობა;

– ვინაიდან საქ. დამოუკიდებლობა იცნო 22-მა ქვეყანამ, მათ შორის საბჭ. კავშირმა 1920 წლის შვიდ მაისს;

– ვინაიდან რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა ჯარი შეიჭრა საქართველოში, 1921 წლის 16 თებერვალს მოახდინა მისი დედაქალაქ თბილისის ოკუპაცია (შეცდომაა. უნდა იყოს: 25 თებერვალს... რედ.) და 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა საქ – ში;

– ვინაიდან საქ. მართლმადიდებლურ ეკლესიის პატრიარქმა, მამა ამბროსიმ დახმარებისათვის მიმართა საერთაშორისო საზოგადოებრიობას გენუის კონფერენციაზე 1922 წელს, რომ საქ. რესპუბლიკიდან გაეყვანათ საოკუპაციო ჯარი, და ვინაიდან მას დახმა-



რება არ გაუწიეს;

– ვინაიდან ქართველმა ხალხმა კვლავ იწყო გამოსვლა თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნით, რისი დამადასტურებელია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსება;

– ვინაიდან უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ მოთხოვნებით ქართველი ხალხის გამოსვლათა გამო იძულებული გახადეს საქ. დაეტოვებინა მის ერთ-ერთ ისეთ პატრიოტს, როგორც არის ბ-ნი თენგიზ გუდავა;

– ვინაიდან ადამიანის უფლებათა დამცველმა ქართველმა აქტივისტებმა, როგორც საკუთრივ საქართველოში, ასევე დასავლეთშიც განაახლეს ამერიკის შ. შტ. – ადმი მიმართვები, რომ მან მოსთხოვოს საბჭ. კავშირს, მისცეს მოღვაწეობის უფლება ქართველი და სომეხი ხალხების თავისუფალ, პლურალისტურ პარტიულ გაერთიანებებს და პატივი სცეს ამ ერთა თვითგამორკვევის უფლებას;

სენატი ვალდებულია კისრულობს:

1. მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის მოთხოვნას, მიეცეს მას და მის ქვეყანას ეროვნული დამოუკიდებლობა.

2. ჰელსინკის შეთანხმების დასკვნითი აქტის სულისკვეთების საფუძველზე, – აქტისა, რომელზეც საბჭ. კავშირსაც აქვს ხელი მოწერილი, მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის მოთხოვნას, მიეცეს მას ეროვნული თვითგამორკვევის უფლება.

3. გამომდინარე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან, რომელზეც საბჭ. კავშირსაც აქვს ხელი მოწერილი, მხარი დაუჭიროს ქართ. ხალხის მოთხოვნას, გარანტირებული იქნას მის ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვა.

4. მოითხოვოს საბჭ. კავშირის მთავრობისაგან, დააკმაყოფილოს ქართველი ხალხის მოთხოვნები, კერძოდ, მოახდინოს ქართველი ხალხის თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტირება.“

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ ნარსიამ



მაკ-ევენის რეზოლუცია

როგორც ახლა ცნობილია, სენატმა არ დაადასტურა ბ-ნ ჰელმსისა და ვილსონის რეზოლუციის პროექტი საქართველოს შესახებ, მაგრამ თვით საკითხის დაყენების ფაქტს, მის ირგვლივ გამართულ ფართო აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ამ პატივსაცემ დაწესებულებაში, ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა. მან ნიადაგი მოამზადა, ქართველი ხალხის სულისკვეთების უკეთ გასაგებად ამერიკის მმართველ წრეებში.

გორბაჩოვისა და შევარდნაძის მიერ ანესთეზირებული ამ წრეების გამოფხიზლებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ვაშინგტონის, ნიუ-იორკის ჩვენმა თანამემამულეებმა. მათ შორის მოსახსენებელნი არიან: პეტრე ხვედელიძე, რომელიც ამომწურავ მასალებს აწვდიდა საქართველოზე პირადად სენატორ ჯესი ჰელმსს, გივი კობახიძე, ავთანდილ პაპიაშვილი, ელუარდ გუდავა, რომლებიც მის ოფისში მიიღო, რესპუბლიკელთა პარტიის დიდად გავლენიანმა სენატორმა, ბ-ნმა რობერტ დოლმა, რომელმაც, გულდასმით მოსმენის შემდეგ, ჩვენი ემიგრაციის წარმომადგენლებს დაჰპირდა: სენატი და წარმომადგენელთა პალატა შეადგენს რეზოლუციის საქართველოს ამბებზე და უფრო მეტად ხაზს გაუსვამენ ჰუმანურ დახმარებას, გაზით მოწამლულთა მკურნალობას და ა. შ. და არ გაამწვავებენ პოლიტიკურ მხარეს. მართლაც, სისხლიანი ცხრა აპრილის თაობაზე წარმომადგენელთა პალატაში შეტანილი იქნა კონგრესმან მაკ-ევენის ახსნა-განმარტებითი მოხსენება საქართველოს შესახებ და შემდეგი რეზოლუცია: „ამერიკის კონგრესის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტი გადაჭრით მოითხოვს, რომ წარმომადგენელთა პალატამ: 1. მტკიცედ დაგმოს საბჭოთა ჯარის სპეციალური ძალების გამოყენება დემონსტრანტების წინააღმდეგ, ცხრა აპრილს 1989 წელს, საქ. -ს საბჭ. სოციალისტურ რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში. 2. მოუწოდოს საბჭოთა კავშირს: ა) გამოიძიოს ქიმიური მომწამვლელი ნივთიერების გამოყენების საკითხი თბილისის დემონსტრანტების წინააღმდეგ, და 2. თუ ის დადასტურდა, მიიღოს ღონისძიებანი, რომ ასეთი რამ შემდეგში აღარ განმეორდეს.

3) მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის მოთხოვნებს ადამიანის უფლებების მიყენებაზე, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და რომლის ხელმომწერიცაა საბჭოთა კავშირი.

4) მოუწოდოს საბჭოთა მთავრობას, ანგარიში გაუწიოს ქართველი ხალხის სამართლიან მოთხოვნებს და უზრუნველყოს მისთვის ადამიანის და სხვა არსებითი უფლებების პატივისცემა“.

სახელმწიფო დეპარტამენტმა დაგმო

კონგრესში ზემოდ ნახსენები ღონისძიებებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 26 აპრილს ამერიკის დიდად გავლენიანმა გაზეთებმა („ნიუ-იორკ ტაიმს“, „ვაშინგტონ პოსტ“, „ბალტიმორ სან“ და ა. შ.) ფართო ადგილი დაუთმეს საქართველოში მომხდარი რეპრესიების მიმოხილვას. სტატიებში, ამავე დროს, დაბეჭდილია შეერთებული შტატების მთავრობის განცხადება, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ ქნ მარგარეტ ტიუტვალერის პირით. განცხადებაში სხვათა შორის ნათქვამია:

„შეერთებული შტატების მთავრობა სასტიკად გმობს ყოველგვარი სახის ქიმიური ნივთიერების გამოყენებას მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ, რამაც ადამიანების დაღუპვა და სერიოზული დაავადება გამოიწვია. ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა მთავრობას, საკირო დახმარება აღმოუჩინოს მომწამლავი გაზისაგან დაზარალებულებს, მათ შორის, მკურნალობისათვის აუცილებელი ინფორმაცია მიაწოდოს მედიცინის მუშაკებს. საბჭ. მთავრობას მართებს, ამომწურავად და საჯაროდ გამოიძიოს ის, რაც მოხდა ცხრა აპრილს.“

ინფორმატორები: ავთანდილ პაპიაშვილი, პეტრე ხვედელიძე, გივი კობახიძე, თენგიზ გუდავა.



ა. წ. 9 და 10 მაისს, პარიზში (*LA MAISON DE LA CHIMIE 28, Rue Saint Dominique, 75007 Paris*) გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით: „დემოკრატიული ალტერნატივი სსრკ-ში“. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში წარმოდგენილი იყვნენ: საერთაშორისო წინააღმდეგობის მოძრაობის თავმჯდომარე ვლადიმერ ბუკოვსკი, სომხეთის დემოკ. მოძრაობის წარმომადგენელი პარტიზ აირიკიანი და ჩვენი თანამემამულე თენგიზ გუდავა. სსრკ ხალხთა დემოკრატიული და ეროვნული მოძრაობები კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ: სომხეთის—პარტიზ აირიკიანი, საქართველოსი—თ. გუდავა, ესტონეთის —ტიიტ მადისონი, ლატვიის—იანის როზკალსი, ლიტვის—ვიტაუტას სკუოდის, უკრაინის—ლენილ პლიუშჩი, ყირიმის—აიშე სეიტმურატოვა, ებრაელთა - სერგეი ბრიუდლი. რუსეთის არარსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობის წარმომადგენლობისათვის დატოვებული იყო ადგილი და ეს იყო სწორედ ამ კონფერენციის აქილევსის ქუსლიც.

აღნიშნულ პირთა გარდა კონფერენციაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს დემოკრატიული დასავლეთის ბევრმა გამოჩენილმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, კომუნისტური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა საყოველთაოდ ცნობილმა პირებმა, როგორც მაგალითად: ე. კირკპატრიკი, ა. ვალადარესი, ადმირალი ლაკოსტი, ე. ფ. რეველი, ა. ვინზბურგი, ე. კუზნეცოვი, ა. კორიაგინი და სხვები და მათ შორისაა, ზემოდ უკვე ნახსენები, პარიზის კონფერენციის ერთ-ერთი და რუსი ორგანიზატორი, ვლადიმერ ბუკოვსკი. მათი პრეს-კონფერენციები, მოხსენებები, სიტყვები მეტად საინტერესონი და ინსტრუქციულნი იყვენ და სამწუხაროა, რომ საერთოდ კონფერენციამ მეტი გამოხმაურება არ ჰპოვა დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებში.

პარიზის კონფერენციის მთავარი შედეგია, მის მიერ გამოქვეყნებული და საჯაროდ გამოცხადებული რეზოლუცია, რომელსაც ჩვენ პირადად „მანიფესტს“ ვუწოდებდით, და რომლის ტექსტსაც ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველთ, უკომენტაროდ. აქ, ამ შესავალში



კი დავძენ:

ყველა სერიოზული პოლიტიკური წამოწყების თაოსნებმა უნდა ეძებონ ფესვები როგორც ახლო, ისე შორეულ წარსულში და თუ ის მონახეს, მასზე დაამყნონ და ახარონ ახალი ყლორტი.

სსრკ -ს ხალხების ეროვნულ-პოლიტიკურ ემიგრაციების მიერ საზღვარგარეთ, კერძოთ დასავლეთში გაერთიანებული ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის, როგორც საბჭოთა ტირანული რეჟიმის ალტერნატივის, დაარსებაზე ზრუნვა, მცდელობა იგივე ხნისაა, რაც თვით სსრკ. დრო მიმდინარეობდა, დეკორაცია იცვლებოდა, ზოგჯერ მთავარი აქტიორებიც, პიესის დედააზრი კი რჩებოდა უცვლელი. ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს იყო (და ეს უნდა იყოს მომავალშიც): რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და ნაკლები მსხვერპლით საქართველოს, დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, სუვერენ სახელმწიფოს აღდგენის საშვილიშვილო საქმისადმი დახმარება, ხელის შეწყობა უცხოეთიდან.

მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებზე, 50-ანი წლების დამდეგს, კორეის ომის გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში, ამერიკის შ. შტ. -ს, ნაწილობრივ ოფიციალური და ნაწილობრივ კერძო მზრუნველობით და შუამავლობით, ისევ განახლდა აქცია, სსრკ -ს ხალხთა, რუსების ჩათვლით, ეროვნული ემიგრაციების ერთად დასარაზმად, რა თქმა უნდა, დემოკრატიული პლატფორმის ირგვლივ.

პარიზსა და გერმანიის ქ. ვისბადენში ეროვნულ ემიგრაციათა დელეგაციების (და არა კერძო პირების) მოსამზადებელ თათბირებში, რომელიც დიდი პოლიტიკური გულახდილობით და ხშირად ცხარე კამათის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, — ცხადი გახდა, რომ თვით მემარცხენე რუსული პოლიტიკური ძალებიც კი, კერენსკისა და ნიკოლაევსკის მეთაურობით, მზად არ იყვენ მოსკოვის იმპერიის დაშლისათვის (თუმცა, არ უნდა დაიკარგოს მოწმობა, ქართველებთან კერძო საუბრებში, ისინი უდავოდ აღიარებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ თქვენ, ქართველებმაო, თავი დანებეთო სხვა ხალხების ქომავობასო, განსაკუთრებით კი უკრაინელებსა და ბელორუსებსო.) და ვისბადენის თათბირი დასტოვეს, თათბირებზე წარმოდგენილმა არარუსულმა პოლიტიკურმა ძალებმა



ურუსებოდ გააგრძელეს, ადვილად მიიღწიეს შეთანხმებას მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებში და სულ უხმაუროდ შეიქმნა მეტად საინტერესო და საჭირო საერთო პოლიტიკური ორგანო, რომელიც „პარიზის ბლოკის“ სახელით იყო ცნობილი.

„პარიზის ბლოკმა“ შესძლო ზოგიერთ საერთოდ სასარგებლო პრაქტიკულ საქმიანობაში რუსული ემიგრაციის პროგრესულ ძალებთან თანამშრომლობა, რის ცოცხალ მაგალითებს წარმოადგენენ: მიუნხენის რადიო „განთავისუფლება“, რომელიც შემდეგ „თავისუფლება“ - თი შეიცვალა, და „სსრკ ხალხთა შემსწავლელი ინსტიტუტი“.

ემიგრაციაში ვინ არ იცის, მაგრამ სამშობლოში შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ ჩვენი ემიგრაცია სული და გული იყო ყველა საერთაშორისო ინიციატივის, კერძოდ, ნახსენებ საქმიანობაში შებმული იყო: „ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში“, რომლის აღმასრულებელი ორგანო და წარგზავნილი დელეგატები საყოველთაო პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ამავე დროს ჩვენს ემიგრაციაში იყო მეორე, ოპოზიციური პოლიტიკური დარაზმულობა „ქართული ეროვნული პოლიტიკის ცენტრი“-ს სახელწოდებით, რომელიც ზოგჯერ ცხარედ ეკამათებოდა პირველს იმ მოტივით, რომ ვითომც ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები რუსებთან მოლაპარაკების დროს დალატობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს მძიმე ბრალდება მართალი არ გამოდგა. მიუხედავად ამისა „ცენტრის“ თავდასხმა კონსტრუქციული იყო და არა ობსტრუქციული. ემიგრაციის მატრიანე ყველას მის-მისას მიუზღავს, ხოლო ქართველი ხალხის პირუთვნელი ისტორია ყველას შეარჩევს, რადგანაც მათ შორის ტაქტიკური ხასიათის პოლიტიკური ცილობა იყო და არა პირადი ინტერესებითა და ამბიციებით გამოწვეული.

სამწუხაროდ, ჩვენს ემიგრაციაში ამ საქმეთა მთავარი აქტიორები დღეს ჩვენს შორის ფიზიკურად აღარ არიან, მაგრამ მოწმენი და რიგითი აქტიორები ჯერ კიდევ ბლომად გვყავს, ისე ბლომად, რომ ვინმეს დასახელება საზიფათოდ მიმარჩნია, ღმერთმა ყველა დიდხანს აცოცხლოს და ვისაც ცოცხალი მოწმობა აინტერესებს, ის მათ ასავალ-დასავალსაც მიაგნებს და იმ ფესვებსაც აღმოაჩენს, რომელზედაც ზემოდ მოგახსენეთ, და საქმეს იქიდან გააგრ-

ძელებს, სადაც მისი წინამორბედი „გაჩერდენ“ თუ შეკრებულნი ჩვენ კი ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს ამ მანიატრისტის ორგანიზატორ-მომხსენებლები, იორდანის წმიდა წყალში ნათელ-ლებულნი ღვთის სიტყვას გვიქადაგებდნენ ჩვენ, რომლებიც ამ თავყრილობის თუ მასპინძლები არა, თანაზიარნი მაინც უნდა ვყოფილიყავით.

თავის ადგილზე, ჩვენდა უნებურად, გამოგვრჩა გვეხსენებია ედუარდ გუდავას აქტიური მონაწილეობა, როგორც რეზოლუციის გამო-მუშავებაში, ისე კონფერენციის მსვლელობაში. თუ თენგიზმა საქართველოს ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობა გააცნო დამსწრეთ, ედუარდმა, თავის მოხსენებაში „დასავლეთის განწყობილება სსრკ ხალხთა ეროვნული მოძრაობების მიმართ“, სამართლიანად გააკრიტიკა დასავლეთის პოლიტიკური ლიდერების მცდარი წარმოდგენები და მათ ბაზაზე გამომუშავებული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული მოძრაობების მიმართ. მე დავუმატებდი, რომ ასეთი ლექციები ყველაზე მეტად ამერიკის საზოგადოებრიობას და პოლიტხელმძღვანელებს, მთავრობაში თუ ოპოზიციაში მყოფთ, ყველაზე მეტად ესაჭიროებათ, რომლებიც ამერიკის შ. შტ. – ს არშინით ზომავენ ს.ს.რ.კ.

გუშაგი

*

საკოორდინაციო ცენტრი: „დემოკრატია და დამოუკიდებლობა“
დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

„კომუნისტური სისტემის კრიზისმა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგობამ, როგორც საბჭოთა ბლოკის შიგნით, ისე მის გარეთ, საბჭოთა კავშირის კ.პ. ცენტრალური კომიტეტის ბიურო აიძულა ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო დემოკრატიული მოძრაობების მიერ წაყენებული მოთხოვნების მიმართ და შეეთავაზებინა რეფორმების პროგრამა. მაგრამ, კომუნისტური ერთპიროვნული ძალა-უფლების სისტემის პირობებში, არც გორბაჩოვსა და არც პარტიული ხელმძღვანელების მიერ დაწინაურებულ რომელიმე პირს არ შესწევს იმის უნარი, რომ განახორციელოს კარგისაკენ მიმართული ცვლილებები.

გარდაქმნის ოთხწლიანი პოლიტიკის შემდეგ, კვლავაც უარესდება



მოსახლეობის უზრუნველყოფა საქონლით, იზრდება ინფლაციის მაჩვენებლის დეფიციტი, ვერა და ვერ მოხერხდა სოციალისტური მხარდებულური მეთოდებიდან მეურნეობის ეკონომიკურ გაძლიერება გადასვლა. არავითარი შედეგი არ გამოუღია რეფორმებს ეკოლოგიის დარგში და ათობით ახალი ჩერნობილი ტრაგედიის მუქარას უქმნის საბჭო. კავშირის ხალხებს. მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი მხარის იძულებითი ლიბერალიზაციისა, რეალურ დემოკრატიას ადგილი კვლავაც არა აქვს. ამაზე კერძოდ მოწმობს, საარჩევნო სისტემის პრინციპიალური არადემოკრატიულობა და პარტიული სტრუქტურების შერწყმა საბჭოთა სტრუქტურებთან.

საბჭოთა საზოგადოება არ მიახლოებულა სამართლებრივთან. საბჭო. კავშირში მიღებული და მისაღებად გათვალისწინებული კანონები კვლავაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს, პოლიტიკური მოტივებით ადამიანთა დევნა შევიწროების კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს ხელისუფალთ. არ გაუთავისუფლებიათ ძველი პოლიტპატიმრები, ბანაკები და ფსიქიატრიული ციხეები ივსება ახალი ხალხით. კვლავაც უდიდესი ძალა აქვს შენარჩუნებული სხვაგვარად აზროვნების ჩახშობის აპარატ-სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს. მას არავითარი პასუხი არ უვია თავისი დანაშაულებებისათვის.

ახალი პარტიული პოლიტიკის ჩაგარდნა ყველაზე სრულად გამოვლინდა ეროვნულ საკითხში. საბჭო. ხალხების კანონიერი მოთხოვნები, თავისი ეროვნული უფლებების დაცვის შესახებ, იწვევენ ტრადიციულ რებრესიულ რეაქციას. ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა მოღვაწეებს კვლავაც სდევნიან და აპატიმრებენ; არ ცხრება ცილისმწამებლური კამპანია დამოუკიდებელი ასოციაციებისა და მოძრაობების მიმართ. განუსაზღვრელი უფლებები აქვთ მიღებული ჯარებს დემონსტრაციათა ჩასახშობად, რომლებმაც წარმოუდგენელი სიმხეცე ჩაიდინეს საქართველოში, გამოიყენეს რა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი და დახოცეს მრავალი მშვიდობიანი დემონსტრანტი. შენარჩუნებულია სამხედრო მდგომარეობა სომხეთში, რომელიც შემოღებული იქნა სომეხი ხალხის მიერ გამოვლენილი თვითმმართველობის მცდელობის საპასუხოდ.

გადაწყვეტილი არ არის ძალით დებორტირებული ხალხების დაბრუნ-

ნების საკითხი. საბჭოთა კავშირი იყო და კვლავაც რჩება ცილინიურ იმპერიად, სადაც ახალი მიწების დაპყრობა ხორციელდება და სამხედრო ოკუპაციისა და სუვერენული სახელმწიფოების ანექსიის გზით, კანონიერი მთავრობების დამხობით, ძალისმიერი გასაბჭოებით და ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა სისხლიანი ჩახშობით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს გარიგება ნაცისტურ გერმანიასთან, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირთან ძალით იქნა მიერთებული დასავლეთი უკრაინა, დასავლეთი ბელორუსია და დაპყრობილი – ბალტიისპირა ქვეყნები და ბესარაბია.

საბჭ. კავშირში ეროვნული საკითხის ერთადერთი გადაწყვეტა მდგომარეობს ხალხების თვითგამორკვევის უფლებებში, თანახმად გ.ე. ო. – ს წესდებისა, კერძოდ კი, ძალით გაკოლონიზებული ხალხებისათვის დამოუკიდებლობის დაბრუნებაში.

საბჭ. იმპერიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ძალაუფლების სისტემა დაფუძნებულია პარტოკრატიულ პრინციპზე და მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე. ამ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, ბოლშევიკებმა არა მარტო აღადგინეს იმპერია ძველი, არამედ იგი ტოტალურიც გახადეს.

საბჭოთა ტიპის სოციალიზმმა დაამტკიცა თავისი სრული უუნარობა ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში. მითუმეტეს დამაჯერებლად გამოიყურება ხალისუფაღთა მცდელობები მიმართული იმისაკენ, რომ საბჭ. საზოგადოება დაკავებული ჰყავდეს „სოციალიზმის ჩარჩოებში“, რომელიც ძალით იქნა მოხვეული თავს საბჭოთა ბლოკის ყველა ხალხებზე.

არსებული კრიზისიდან გამოსვლა მდგომარეობს არა ტოტალიტარული სისტემის ლიბერალიზაციასა და მოდერნიზაციაში, არამედ მასზე საერთოდ უარის თქმაში. საბჭოთა ბლოკის ხალხების გადარჩენის გზა არა ერთპარტიულ მთავრობასთან თანამშრომლობაში მდგომარეობს, არამედ ალტერნატიული პოლიტიკური სტრუქტურების შექმნაში.

დემოკრატიული ოპოზიციის როლსა და მნიშვნელობაში ჩაუწოდობა მუხრუქს წარმოადგენს ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზაზე. ამ ჩაუწოდომ-



ლობას ხელს უწყობენ საბჭო. ინტელიგენციის ოპორტუნისტული და ნაწილობრივი წრეები და საბჭო. კავშირში და ემიგრაციაში მყოფი ნაწილი დისიდენტთა ნაწილი. თავისი პოზიციით ისინი ფაქტიურად ხელს უწყობენ საბჭოთა რეჟიმის სტაბილიზაციას, დემოკრატიისაგან შორს მდგომ დონეზე. საბჭო. კავშირში დემოკრატიული ოპოზიციისა და მისი ბირთვისადმი ჩაუწოდომლობა სუფევს დასავლეთშიც. ჩვენი ხალხების მოძრაობას სრულიად დაუმსახურებლად აიგივებენ ნაციონალისტურ ექსტრემიზმთან და ვიწრო ეთნიკურ პრობლემებთან, მას პოლიტიკაში არსებულ ბევრ პროგნატიზმის, მოძველებული სოვეტოლოგიური კონცეფციების გამოსასყიდად ხდიან, მათ უპირისპირებენ „გორბაჩოვისეულ რეფორმებს“.

დასავლეთს ძალზე დიდათ სჯერა გორბაჩოვის ძალის რეალობისა და საკმარისად არ აფასებს ეროვნული დემოკრატიების ძალთა რეალობას, მიუხედავად სხვადასხვა რესპუბლიკებში მომხდარი მოვლენებისა. საჭიროა სიმართლით გაშუქდეს ყველა მოვლენა, რომლებიც დაკავშირებულია საბჭო. ხალხების ბრძოლასთან თავისი უფლებებისათვის.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით დასავლეთის ინტერესებშია ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობებისადმი მხარდაჭერა. არ უნდა მოხდეს საბჭო. კავშირის მთავრობისათვის ფინანსური დახმარებისა და ნდობის აღმოჩენა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოთხოვნათა გათვალისწინების გარეშე. ჩვენ მოუწოდებთ დასავლეთს მოსპოს ორმაგი სტანდარტის გამოვლენები, და არ ჩათვალოს ნორმალურად და დადებითად ის მოვლენები საბჭოთა კავშირში, რომლებსაც დასავლეთი მიუღებლად თვლის თავისთვის და მესამე მსოფლიოს ქვეყნებისთვისაც კი.

დემოკრატიული ოპოზიცია საბჭო. კავშირში – ეს მომხდარი ფაქტია. იგი თავის გამოხატვას პოულობს დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა საკოორდინაციო კომიტეტის შექმნაში, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მოძრაობის შექმნაში და სხვა. ჩვენ ამ ოპოზიციის საზღვარგარეთელი წარმომადგენლები ვართ და გამოვდივართ კონსტრუქციული პროგრამით, რომელიც მოწოდებულია იმისათვის,

რომ ჩვენი ხალხები გამოყვანილი იქნას სოციალისტური ქვეყნების
ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ აქედან გამოსვლა გასულიყო
ძირითადი პრინციპის განხორციელების საშუალებას მისცემს, რო-
გორებიცაა: ნებადართული დემოკრატია, ეროვნული თვითგამორკვე-
ვა და თავისუფალი მეწარმობა.

ჩვენი ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ დემოკრატია-
ის შესწავლა შეიძლება მხოლოდ მისი განხორციელების პროცესში.
დემოკრატია – ეს ხალხის ხელისუფლებაა, როდესაც თითოეული მო-
ქალაქე ხელისუფლების სრულუფლებიანი წევრია. არავითარი მიზეზი
არ არსებობს იმისა, რომ ეს უფლება მომავლისათვის გადაიდოს.

საბჭ. კავშირში დემოკრატიული ოპოზიციის არსს წარმოადგე-
ნს პოლიტიკური ბრძოლა ხალხის ნება-სურვილის დასამყარებლად.
ამაში ნაგულისხმევია ტოტალიტარული ხელისუფლებისადმი ალტერ-
ნატიული ეროვნული თვითმმართველობის სისტემის შექმნა.

ჩვენ მხარს უჭერთ, სხვადასხვა ერების მიერ დემოკრატიული ინ-
სტიტუტებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნას, თავისი პოლი-
ტიკური მართვის, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო
ხელისუფლების შექმნას. ეროვნული თვითმმართველობა უნდა იქცეს
ოპოზიციურ ეროვნულ პარლამენტად, ხალხის ნება-სურვილის გამოვ-
ლენისა და პოლიტიკური ჩამოყალიბების ინსტრუმენტად. სწორედ
ეროვნულ თვითმმართველობაში ვხედავთ ჩვენ იმ ძალას, რომელსაც
შეუძლია მატერიალიზაცია მოუხდინოს საბჭოთა კავშირის ხალხე-
ბის სახელმწიფო დამოუკიდებლობის იდეას.

ეროვნულმა თვითმმართველობებმა ნებადართული წესით უნდა გა-
დაწყვიტონ მათი რესპუბლიკების მოქალაქეობის, დიპლომატიური
წარმომადგენლობისა და სხვა საკითხები.

თითოეული ხალხის თვითმმართველობას უნდა გააჩნდეს სრული სუ-
ვერენიტეტი. ამასთან საჭიროა მკიდრო თანამშრომლობა, ურთიერთ-
დახმარება და გამოცდილების გაზიარება, ეროვნული თვითმმართვე-
ლობის კონკრეტული სისტემის დასაცავად. თითოეული ხალხის საჭ-
მეს, ყველა ჩვენთაგანის საქმედ ვთვლით.

ჩვენი მოძრაობების დამაკავშირებელ საფუძვლებს ფუნქციონალუ-
რი და პრინციპიალური პირობები წარმოადგენენ. მთავარ ფუნქცი-



ონალურ პირობას წარმოადგენს, იმპერიული ტოტალიტარული სისტემის, —საერთო და ერთიანი მტრის არსებობა. პრინციპიალურ პირობებს წარმოადგენს: უპირატესობის მინიჭება ადამიანის უფლებებისათვის, სხვა ეროვნებების უფლებებისათვის, აგრეთვე საკუთარი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობების უფლებებისათვის; უპირატესობის მინიჭება პოლიტიკური ბრძოლის არაძალიანსმიერი მეთოდებისადმი; წინააღმდეგობის გაწევა შოვინიზმის, რასიზმის, რასიული დისკრიმინაციის ყველა ფორმისადმი: ენის, რელიგიის, კულტურისა და სხვა დარგებში.

საბჭ. კავშირის ეკონომიკური არათავისუფლება, ეკონომიკის იმპერიულ-კოლონიური ხასიათი გასაბჭოებულ ხალხისათვის ერთ-ერთ მთავარ ბოროტებას წარმოადგენს. ცენტრალიზებულმა და ტოტალიტარულ-სოციალისტურმა ეკონომიკამ სრული დამარცხება განიცადა. სოციალიზმის მთავარი პრინციპია პროდუქტის ამოღება უფრო ნაყოფიერ რგოლისაგან და მისი გადაცემა ნაკლებად ნაყოფიერისათვის. საბჭოთა იმპერიის პირობებში, ასეთი გადანაწილება ხორციელდება ტოტალიტარული მთავრობის მიერ, რის შედეგადაც საბჭ. კავშირის ყველა ხალხები, ყოველნაირი გამონაკლისის გარეშე, თავის თავს გაძარცვულად თვლის. ეს უცილობლად გამოიწვევს ეროვნებათშორის ურთიერთობის გამწვავებას, ეროვნული ეკონომიკების შემდგომ კოლონიზაციას და წარმოების უეფექტობას.

ჩვენი ხალხების ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზას წარმოადგენს თავისუფალი ბაზრისა და ფართო კერძო მეწარმეობის შემოღება, რის დროსაც გაუქმდება ეროვნულ-კოლონიური დაბრკოლებები.

ყველა გადასახადი აშკარა, ნათელი და გაყოფილი უნდა გახდეს, ანუ თითოეულმა ადამიანმა თუ საწარმომ ცალ-ცალკე უნდა გადაიხადოს ადგილობრივი და რესპუბლიკური გადასახადი. ფედერალური გადასახადები მიზანშეწონილია მხოლოდ იმ რესპუბლიკებისათვის, რომლებიც მოისურვებენ ფედერაციაში შესვლას. საჭიროა, თავისუფალი გახდეს საშინაო და საგარეო ვაჭრობა, განთავისუფლდეს ფასწარმოქმნა, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სავაჭრო და საბაჟო გადასახადები.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ საბჭ. კავშირის ეკონომიკიდან ჩამოშორებული იქნას სახელმწიფო სოციალიზმის აბდაუბდები, საბჭოთა კავშირის ხალხებს მიეცეთ: კერძო, კოოპერატიული და სახელმწიფო წარმოების თავისუფალი კონკურენციის საშუალება.

ჩვენ მივესალმებით, დამოუკიდებელ ასოციაციათა, პროფკავშირებისა და სოციალ-ეკონომიკურ უფლებათა და სხვა გარანტიათა შექმნას.

ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს ურყევ მხარდაჭერას საბჭ. კავშირში არასოციალისტური დემოკრატიული ალტერნატივის არსებობის უფლებსადმი. ჩვენ მოვითხოვთ ყველა წინააღმდეგობის მოშორებას ჩვენი ხალხების ნება-სურვილის გამოხატვის გზაზე, ყველა ეროვნული რესპუბლიკიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას, რესპუბლიკის შინაურ საქმეებში სრულ ჩაურევლობას.

ჩვენ მოვითხოვთ ყველა პოლიტატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, რეპრესიების შეწყვეტას ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა წინააღმდეგ.

საბჭ. ტოტალიტარული იმპერია, არის რა ბოროტება და ანაქრონიზმი, უნდა ჩამოვიდეს საისტორიო არენიდან. მან ადგილი უნდა დაუთმოს თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომლებიც თანასწორუფლებიანნი იქნებიან მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან. ჩვენ მხარს უჭერთ საბჭოთა ბლოკის ხალხთა ისტორიაში ახალი ეპოქის დაწყებას, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული გარდაქმნის დაწყების ეპოქას.

ამ მოთხოვნათა შესასრულებლად, ჩვენ ვაცხადებთ: საბჭოთა იმპერიაში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობებისადმი ხელშემწყობი საკოორდინაციო ცენტრის შექმნას, რომლის სახელწოდებაცაა: „**დემოკრატია და დამოუკიდებლობა**“. ეს ცენტრი ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენს საბჭ. კავშირში ეროვნულ-განმათავისუფლებელ და დემოკრატიულ მოძრაობებს. ჩვენი ცენტრი გახსნილია მასში საბჭ. კავშირის ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობების წარმომადგენელთათვის, თანამშრომლობისათვის დასავლეთის ყველა უფლებათა დამცველ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც მხარს უჭერენ ამ დეკლარაციის პრ-



ინციპებს“.

ლოკუმენტს ხელს აწერს „საკოორდინაციო ცენტრი „დემოკრატია და დამოუკიდებლობა“ -ის სსრკ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. მათ შორის საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით ხელი მოაწერა თენგიზ გუდაგამი, ხოლო საქ. ჰელსინკის ჯგუფის სახელით – ედუარდ გუდაგამი.

რუსულიდან თარგმნა: ნოდარ ერისთავმა

„მ ა ი ს ი! ჩ ე მ ი მ ა ი ს ი!“

მაისი ხომ ვარდშლილობის, სილამაზე-სიმშვენიერის ზეიმია, ბუნების ქორწინებაა?!

მაისის თვეში საფრანგეთში იმდენი უქმე-დღესასწაულებია, რომ წარმოება-დაწესებულებები მხოლოდ 15 - 16 დღეს თუ მუშაობენ. უქმობაში ჩვენი ხალხი ფრანგებთან ვერ მივა. სამაგიეროდ, ჩვენ ორი დიდებული დღესასწაული გვაქვს: თ ა მ ა რ ო ბ ა (ახალი სტილით 14 მაისი) და ეროვნული დღესასწაული (26 მაისი). ჩვენ არც 1 მაისი, შრომის დღესასწაული, გვაგიწყდება, რომელსაც სათავე დაუდევს კლასთა ბრძოლის მოციქულებმა, და რომელიც დღეს მსოფლიოში საყოველთაოდაა გაზიარებული; მაგრამ რატომ მაისში? როცა სოფლის მშრომელი გაგანია შრომაშია! განა ნაშემოდგომებს, როცა გლენის სარჩო-საბადებელი დაბინავებულია, არ სჯობდა უქმობა-ზეიმობა-ქორწინება, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს?! მაგრამ ამას ჩვენ ვინ გვეკითხება? უბედურება იმაშია, რომ არც ჩვენს ხალხს ეკითხებიან...

მაშ, დავიწყეთ თამარობით.

თუ დაკვირვებხართ, მკითხველნო, თითქმის ყველა თამარი (და რამდენი გვყავს ემიგრაციაშიც და სამშობლოშიც!) ლამაზი, ჰაეროვანი, ნიჭიერი, ენერგიული და სათნოა. ყველას ვულოცავთ ანგელოზობას და ვუნატრით ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს, უხვ და ბედნიერ დედობას. ამ ჯერად კი, მკითხველნო, თქვენს ყურადღებას განსაკუთრებით შევაჩერებ ქ-ნ თამარ დრაგაძეზე, ინგლისში მცხოვრებ და ქართულ ცივილიზაციაში მოღვაწეზე, რომელსაც,

თბილისის ცხრა აპროლის ხოცვა-ელექტის საცდაობამ შემდეგში შემდეგში
ათქმევიანა, ინგლისურ ენაზე:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი გ ა დ მ ო ფ რ ე ნ ა

გადმოვფრინე შენს მომრგვალებულ ციხე-კოშკებს
და საგალობლებს,

ძველ ასომთავრულ წარწერებში შეფერხებულებს,
იმათ შორეულ, შორეულ ექოს,
იმათ ფენის ხმას.

სხარტი არ იყო ჩემი ტრანსპორტი, მაგრამ მაინც
მოვუახლოვდი მოწიფულ ხეთა მიჯრილ რიგებს
საპარადო გზის გაყოლებით.

კარგად ვიცოდი ყველა ჩვენებურ მისალმების წესი
და რიგი

და ისიც, როგორ უნდა შემეწნო დარბაისლური
თმის ვარცხნილობა.

სადღაც, ჩემს ფარულ სარკეში ჩანდა

ნაცნობ ფორმების ანარეკლები.

და მე სულ ახლოს, ახლოს მივედი მუხლმოყრილ
ხალხთან.

თითოეული სახის კონტურს ხარბად ვსწავლობდი
და სხვას

ვერაფერს ვერ ვხედავდი, ისე როგორც შენ,
ვიმედოვნებდი,

რომ ჩემს ნათელ თვალსაწიერზე

უფრო ნარნარად დაირხეოდნენ

გააფთრებული შენი დროშები.

და რატომ, რატომ სწორედ მაშინ, თეთრი ფრთები
როცა გავშალე,

რომლის ბუმბულსაც კიდებებზე საქართველოს

ვარაყი ევლო,-

უცხომ, დანომრილ-ჩაფხუტიანმა, ამომიღო ნიშანში
ზუსტად



და ახლა ზურგზე დაცემული სისხლის დენით უნდა უნდა
გვკვებოდეს!

თ ა მ ა რ დ რ ა გ ა ძ ე

ინგლისურიდან თარგმნა თ ა მ ა რ ე რ ი ს თ ა ვ მ ა
ავტორსაც და მთარმნელსაც, ორივე თ ა მ ა რ ს:—

გამორჩეული სალამი,
ღმერთმა გიკურთხოთ კალამი.

*

მაგრამ, ამ დღესთან დაკავშირებით, ჩვენი ფიქრი და ოცნება
გულთ და თვალთ წარმტაც დიდებულ გვირგვინოსან თ ა მ ა რ ს
ეგვლება გარს, რომლის ერთხელ კიდევ შესამკობად კალამს გადა-
ვცემთ ჩვენს ცნობილ პოეტს ნ ო შ რ ე ვ ა ნ გა ლ ა შ ვ ი ლ ს.

თ ა მ ა რ დ ე დ ო ფ ა ლ ს!

გულით გლოცავ, სანთლებს გინთებ, მადლებს როგორც კვარცხანა,
წმინდა აზრთა ნაკადული მელნად მომიღვარებია;
ოდას ვბედავ ხუთ ტაეპად, როგორც შენა გყვარებია,
შენს საქებრად ძალას ვნატრობ, ჩემი არა მკმარებია,
შენზე ლექსს ვწერ, შენზე ვფიქრობ, გული გამიხარებია!

ფიქრებით, ტკბილი ოცნებით, ფრთხილი ნაბიჯით, წყნარითა,
„ოქროს ხანაში“ შევდივარ თამართან ოქროს კართა,
დედოფალს ვხედავ მომხიბვლელს, სახითა მომღიმართა,
შოთას წიგნს ფურცლავს, შუქს აკმევს ფერებით მონარნართა,
ვარდს ნეტარების ცრემლები უბრწყინავს დილის ცვართა.

მზეთამარი, სხივმფინარი, წყნარი, წყნარი მოუბარი,
მადლით ღმერთთან წილნაყარი, ქვეყნის დარი, ამადდარი,
დარი, ნისლებ განაყარი, ცისარტყელით განადარი,
კეთილთათვის ვით საყდარი—კეთილ ფიქრთა შესაყარი,
როგორც ჯვარი, ოცნებათა გამართლების საწინდარი.




მაშინ დიდების მდინარე მოსჩქეფდა ოქროს ღარითა,
 ქრისტიანული სამყაროს იმედის დასამყარითა,
 ხანას ვიხსენებ შუქფენილს თამარის სინარნართა,
 მტერნიც რომ ხობით ამკობდნენ, თაყვანით შენაპყართა,
 მისი ბაღნარი კვლავ ყვავის, შრიალებს წყნარი ქართა.

დედოფალთა დედოფალო, ანგელოზთა წინამძღვარო,
 პატარა მზევე შუქმცინარო, დიდო ვარდო დაუმკნარო,
 დიდი შოთას მუზის წყაროვ, უშრეტელო, დაუმწყდარო;
 ოცნებათა სათავე ხარ, ტკბილო ფიქრო, სანუკვარო,
 ქართველთ გულში ვარდად ჰყვავი, სილამაზის ჯაღოქარო!

(ნოშრევან გალაშვილი: ლექსები-პოემები. არასრული კრებული. 1989. " - დან.)

წ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ი 26 მ ა ი ს ო ბ ა



ახალნაპრილობევი თბილისი ზეიმობს ეროვნულ დღე-სასწაულს

მაისი, რაც მთავარია, ჩვენი ეროვნული დღე—სასწაულოა. 1921 წლის შემდეგ,—როცა ქართველი ხალხის მიერ „მულავერი მთავრობად“ წოდებულმა ჩვენი ქვეყნის საოკუპაციო ხელისუფლებამ ამაოდ სცადა ამ ეროვნული დღესასწაულის მითვისება და მით მისთვის სახელის გატეხა,—26 მაისობას, ამ ჩვენი ეროვნული აღდგომის წლისთავეებს, მხოლოდ ჩვენი ეროვნული ემიგრაცია ზვიმობდა საჯაროდ, გაშლილი ეროვნული დროშებითა და ჰიმნით, და, ამდენი წლების შემდეგ, წელს პირველად, საბჭოთა ხელისუფალთა ნებართვით, სრულიად საქართველომაც იზეიმა და მერე როგორ!

„ცხრა აპრილის შემდეგ საოცრება მოხდა, გვატყობინებს მერაბ კოსტავა, ხელისუფლების ბარბაროსობამ, დაშინების ნაცვლად, ასგზის გააგულადა ხალხი, ერთ მუშტად შეკრა ქართველობა. ასე რომ, თუკი შარშან 26 მაისს მარტოოდენ 3-4 ათასი კაცი მონაწილეობდა დემონსტრაციაში, წელს, ამ დღეს, ნახევარი მილიონი კაცი მოეფინა შემადრწუნებლად ქალაქის ქუჩებს. არ დარჩენილა ქალაქი, დაბა, და სოფელი საქართველოში მასობრივი მსვლელობისა და მიტინგის გარეშე. ეროვნული დროშების ქვეშ შეიკრიბა მთელი საქართველო. ერმა გაიღვიძა. 26 მაისს დაიწყო წვევანდულების აქციაც...“

ზვიად გამსახურდიამ კი, რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციას, ტელეფონით, ამ დღესასწაულის ჩატარების შესახებ აუწყა: „მიტინგებში მონაწილეობდა მრავალი ათეული ათასი კაცი. მთელი საქართველო თბილისში მოზღვავედა. ყველაზე ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ვაკის პარკში. მიტინგები მიმდინარეობდა აგრეთვე რიყეზე, რუსთაველის გამზირზე, რესპუბლიკის მოედანზე, ერთი სიტყვით, ქალაქის ყველა ნაწილში. უდიდესი მიტინგი დაიწყო უნივერსიტეტთან, შემდეგ გადაინაცვლა ვაკის პარკში. მთელი ქალაქი დამოუკიდებლობის დროინდელი დროშებითა და ლოზუნგებით იყო სავესე. ამავე დროს, მიტინგები მოეწყო მთელ საქართველოში, ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში. ყველაზე მრავალრიცხოვანი მიტინგები ჩატარდა: სოხუმში, ქუთაისში, გორსა და ბორჯომში. ეს მიტინგები, როგორც ცნობილია, მთავრობის მიერ იყო სანქციონირებული, მას მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა დაერთო ნება მიტი-

ნგების ჩატარებისა, მაგრამ თვითონ მთავრობა არ მონაწილეობდა ამ მიტინგებში. მართალია, ვაკის პარკში ცენტრალური კომიტეტის ხალხი იდგა, მაგრამ ფაქტიურად ჩვენ, არაფორმალურ ორგანიზაციებს მიგვყავდა ყველაფერი. ყველაფერი ჩატარდა არა ისე, როგორც მთავრობას სურდა, არამედ როგორც ჩვენ მოვინდომეთ. მთავრობის მხრიდან გამოვიდა მხოლოდ კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანიო...“ (გულნარა ურატაძის რადიო ტალღებზე საუბრიდან.)

27 მაისის „ახალგაზრდა კომუნისტის“ გულნარა ბაშარულის რეპორტაჟიდან:

„დიდხანს ელოდა ამ დღეს საქართველო. ელოდა ხან მემამბოხე, ხან მეოცნებე, ზოგჯერ—მთვლემარეც. ექვსი ათეული წელი იქნებ წამიც კი არის სამოც საუკუნოვანი ისტორიის მქონე ერის ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებსათვის ეს წამი როგორღაც ძალზე გაიწვლა და იმ მრავლისმთქმელ პაუზად იქცა, რაღაც დიადისა და ამალღებულის მოახლოებას რომ გაგრძნობინებს. გამოღვიძებულ, გამოფხიზლებულ, თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად წამომდგარ ერზე ამალღებული და მშვენიერი რამ იშვიათი სახილველია. გუშინ, 26 მაისს საქართველომ ათეული წლების შემდეგ პირველად აღნიშნა ეროვნული დამოუკიდებლობის დღე, აღნიშნა ისე, როგორც ასეთ თარიღს შეშვენის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჰიმნის მელოდიითა და ეროვნული დროშების ფრიალით გულაღტკინებულმა და ... თვალცრემლიანმა... უნივერსიტეტის ეზოში გამართული მიტინგი გახსნა, უნივერსიტეტის უხუცესმა პროფესორმა, სოლომონ ხუციშვილმა, წმინდა ტაძრის გუმბათზე სამფერა დროშა აფრიალდა, მერე კი შეკრებილთ მიმართეს პროფესორებმა ნოდარ ასათიანმა და ზურაბ ჭუმბურიძემ, აგრეთვე ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, ირაკლი წერეთელმა, ირაკლი შენგელაიამ“. როგორც რეპორტაჟიდან გამოსჰვივის, ეს მიტინგი უფრო ოფიციალურ-აკადემიური ხასიათის ყოფილა. მთავარი კი ვაკის პარკში ყოფილა, საითკენაც გაემართა უნივერსიტეტის წინ გამართული მიტინგი, იქ კი „თავდაპირველად შეკრებილთ ჯანსუღ ჩარკვიანმა მიმართა, აგრძელებს ჭ-ნი გ. ბაშარული, მერე ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, ნოდარ ნათაძემ, ზურაბ ჭაფიანიძემ,—კულტურის

მინისტრმა ვალერი ასათიანმა, უმთავრესი, რაც გამოიკვეთა მის მიტინგებზე იყო ის, რომ ამიერიდან გონივრულად ვიბრუნდება ენი კონსტიტუციური უფლებების გაფართოების, ქართული ენის სტატუსის დაცვისათვის, სრული სუვერენიტეტის, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ითქვა ისიც, რომ დადგა დრო კომპეტენტურობისა, ჭეშმარიტი პროფესიონალიზმისა, სიტყვიდან საქმეზე გადასვლისა და სამშობლოს წინაშე ვალის იმგვარად მოხდისა, როცა ეს ვალის მოხდა სხვის თვალში ნაცრის შეყრას არ ემსგავსება“... „სალამოს 5 საათზე ქალაქს სიონის ტაძრის ზარების ხმა მისწვდა – პარაკლის იხდიდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი ილია II.“

დასკვნის სახით. ამრიგად, სხვადასხვა სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობები ერთხმად გვიდასტურებენ, რომ წლევანდელი 26 მაისობა, საქართველოს აბსოლუტურად სუვერენული სახელმწიფოს აღდგენის აღმნიშვნელი დღესასწაული, ერთსულოვნად, ყოველგვარი ურთიერთი შეხლა-შემოხლის გარეშე, არაჩვეულებრივი აღტკინებითა და მგზნებარებით იზეიმა ქართველმა ხალხმა. როგორ შეიძლება, რომ ჩვენ, ვინც სწორედ ამ იდეალის გამო იძულებული ვართ შორს ვიყოთ ჩვენი მამულ-დედულიდან და აქიდან ველოლიავებით მისი განხორციელების სასწაულს, – ამ ამბებმა არ აღგვაფრთოვანოს და სიამაყით არ აღგვაესოს იმის შეგნებამ, რომ ჩვენც დვიძლი შევიღნი ვართ ამ დიდებული და მარად უბერებელი ძველთაძველი ერისა.

გასული წლის 28 - 29 ნოემბერი, წლევანდელი 8 - 9 აპრილი და ეს 26 მაისი, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ გააზრებული და შეფასებული არაა ქართული პოლიტიკური აზროვნების მიერ, ძალიან დიდმნიშვნელოვან ეტაპებს წარმოადგენენ ჩვენი ეროვნული განთავისუფლების ეკლიან გზაზე. და სწორედ ახლა, ვიდრე როდისმე, ქართველ ხალხსა და მის წინმძღოლთ მართებთ, გრძნობები დაიოკონ, მირაჟი და რეალობა არ გააიგივეონ. მირაჟს კარგად იცნობენ საპარის თაკარებაში მოგზაურები. (ერთმა ღმერთმა უწყის, ჩვენს ქვეყანაშიაც ამეამად თაკარებაა!). მთად აზიღულ სილის გორების მიღმიდან ახლოს ხედავენ საგნებს, რომელთაც, ასე ჰგონიათ, აგერაგერ ხელმისაწვდენად მიუახლოვდებიან.

საოკუპაციო ხელისუფლებამ ნება დართო და ქართველმა ხალხმა სპონტანურად გამოამყვანა მისი გულისნადები. თუ დღეს შეიძლება, რომ ვინმეს ეჭვი შესვლოდა, დღეს ეს შეუძლებელია ვინმე ჰკუთმყოფელისათვის. მტერიც და მოყვარეც გაფრთხილებულია. მტრები ოსტატურად ფლობენ „სტაფილოსა და ხელკეტის“ პოლიტიკას. მათ საუცხოოდ იციან ქართველი კაცის ბუნება, იციან: ქართველი უშიშარი და ძლიერია უეცარ კვებებაში, მაგრამ მოისუსტებს გრძელ გულის გამაწყვალებელ პოზიციურ ომში. მათ გუშინ ხელკეტი დაატრიალეს, მაგრამ მან საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო იმისა, რასაც ელოდნენ. ახლა სტაფილოს პოლიტიკას მიმართავენ იმ იმედით, რომ ნელნეაობით და მელაობით, დაყვავებითა და დაწრუპუნებით, დაიოკებენ თავაწყვეტილ ბედაურებს და ხელახლა გააბავენ მათ უღელში. აი, როდისაა საჭირო დინჯი, მტკიცე და ნათელგონებიანი წინამძღოლი.

1921 წლის თებერვალ-მარტის ტრადიკულ დღეებში ნოე ჟორდანიას, კიდევ ილუზიების გავლენაში მყოფი, დაეინებით ცდილობდა, სატელეგრაფო დიალოგი გამართა ვლადიმერ ლენინთან, მაგრამ ამაოდ. ქართველი ხალხი, მის მიერ არჩეული ხელმძღვანელობა მუდამ მზად იყო, მომავალშიაც მზად იქნება, დიალოგი გამართოს, მოლაპარაკება აწარმოოს რუსი ხალხის ნებისმიერ წარმომადგენლებთან, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიანობის პირობებში. შეიძლება, ვინმემ დასვას კითხვა: განა შეიძლება სუსტისა და ძლიერის თანასწორუფლებიანობა? ამ კითხვას შეიძლება დადებითი პასუხი გაეცეს, თუ ფიზიკურად სუსტი ძლიერია მორალურად. გადამწყვეტია: შევინარჩუნოთ და კიდევაც ვზარდოთ ჩვენი ხალხის დღევანდელი მორალური სიძლიერე.

ღმერთი იყოს ჩვენი ერის შემწე და ხელის შემწყობი!

26 მაისობა საფრანგეთში

სამშობლოში ასეთი ამბით დღესასწაულობის შემდეგ, ჩვენს ემიგრანტულ ახალშენებში მოწყობილმა საოცდაეჭვმაისო მანიფესტაციებმა თავისი მნიშვნელობით იკლეს, მაგრამ არა მგზნებარებით.

პირველი მახარობელი ამ მხრით ქალაქ სოშოს სათვისტომო იყო,

რომლის ახალი გამგეობის დავალებით, ბ-ნი ვ. ე. გვერდსაძე
 „ოც მაისს 1989 წელს გაიმართა სოშოს ქართული საზოგადოების
 საზეიმო კრება 26 მაისის აღსანიშნავად, სოშოს ქართული საზე-
 იმო დარბაზი მორთული იყო ქართულ-ფრანგული ეროვნული დროშე-
 ბით. სხდომას ქართველებთან ერთად ბევრი ფრანგი მეგობარიც ეს-
 წრებოდა. მიტინგი გახსნა ბ-ნმა გრ. კვარაცხაევამ, რომელმაც და-
 ახასიათა დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა, ხაზგასმით აღ-
 ნიშნა თუ როგორ იბრძვის ქართველი ახალგაზრდობა საქართველოს
 დამოუკიდებლობისათვის და პატივი მიაგო ამ უთანასწორო ბრძო-
 ლის მსხვერპლ პატრიოტებს. შემდეგ გამოსულმა რეიმონ ბენარმა
 აღფრთოვანებით ილაპარაკა, თუ როგორ მასიურად გამოდიან ქარ-
 თველი ახალგაზრდები, ეროვნული დროშებით და დამოუკიდებლო-
 ბის მოთხოვნებით და რომ მალე ელირსება საქართველოს დამოუკი-
 დებლობა და თავისუფლებაო. ბ-ნმა შალვა ზედგინიძემ კი ილაპა-
 რაკა საქართველოს დიდ წარსულზე, ქართველი ხალხის გმირულ ბრ-
 ძოლებზე სამშობლოს დასაცავად, რუსეთმა დაგვიპყრო, მაგრამ ვერ
 დაგვიმორჩილა, წინად დაწყებული ბრძოლა გრძელდება და მალე
 გველირსება თავისუფლება და დამოუკიდებლობაო.

მიტინგის შემდეგ გაიშალა ქართული სუფრა, უხვი ქართული კე-
 რძებით, რის დამსახურებაც ჭ-ნ ელიკო წერეთელ-ბენარს ეკუთვნის.
 ნადიმი გახსნა სათვისტომოს ახალმა თავმჯდომარემ ბ-ნმა ქრისტი-
 ან ჭირაქაძემ და ნადიმის თამაღობა მიულოცა ბ-ნ გრიგოლ კვარც-
 ხაევას, დიდიხნის განმავლობაში დამსახურებულ ყოფილ თავმჯდომა-
 რეს. ნადიმმა გვიანობამდე გასტანა, წარმოითქვა უთვალავი საღ-
 ღეგრძელო და როცა დაიშალნენ, ყველა-სტუმარი და მასპინძელი-
 კმაყოფილი და იმედიანი იყო“.

3. ე.

პარიზშიც ტრადიციულად ჩატარდა წლევეანდელი 26 მაისობა.
 22 მაისს, ყოფილმა მხედრებმა და სხვა თანამემამულეებმა ძვირ-
 ფასი ყვავილების გვირგვინით შეამკეს, გამარჯვების თაღებ ქვეშ
 დაკრძალული, პირველი მსოფლიო ომის უცნობი ჯარისკაცის საფლ-
 ავი და შეასრულეს ყველა დაწესებული რიტუალი.

იმავე საღამოს პარიზის წმ ნინოს ქართულ ეკლესიაში, მრავალ-
 რიცხოვან საზოგადოების თანდასწრებით, მამა მეთოდოსმა ილოცა



ყველა იმ ქართველის სულის ცხონებისათვის, ვინც 26 მაისს ქართველოს, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ისევ აღდგენის ხანგრძლივ კეთილშობილ ბრძოლაში დაიღუპა, და შემდეგ საზეიმო პარაკლისი გადაიხადა. ლიტურღია დასრულდა დიდების ჰიმნით.

საზეიმო მიტინგი და ბანკეტი გაიმართა შაბათს, 27 მაისს, ქ. ბუღონის კულტურის ცენტრში. ბ.ნ თამაზ ნასყიდაშვილის მგზნებარე შინაარსიანი სიტყვის, ჩვენი ერის ბედქვეშ მყოფ ერთა ემიგრაციების წარმომადგენელთა გამოსვლების შემდეგ, დამსწრეთ გვიჩვენეს, თბილისში, მთავრობის სახლის წინ, ცხრა აპრილს უშფოთველი, მოშიშშილე და სანთლებით ხელში ღვთის შეწვევას მავედრებელი თავყრილობა, მისი უღვთო ხოცვა-ყლეტა და ბოლოს არაჩვეულებრივი დაღუპულთა დაკრძალვის ამსახველი ვიდეო ფილმი. მონუსხულივით ვუყურებდით, ერთსა და იმავე დროს — შეძრწუნება, უძღურების შეგნებით გამოწვეული ბრაზი, რაღაც უჩვეულო თბილი დედაშვილური გრძნობები და თვალებიდან დაპაღუპით მომდინარე ცრემლები.

„მერანის“ უკვე კარგად ცნობილმა ქართ ხალხური სიმღერების გუნდის დახვეწილმა შესრულებამ და ყმაწვილთა მიერ წარმოდგენილმა ეროვნულმა ცეკვებმა ნელ-ნელა გადაჰყარა მაყურებელთ ფილმით აღძრული სევდა, ისევ იმედითა და ხალისით აღაგზნო ქართული გულები. ასევე იმედიანად გაგრძელდა ბანკეტიც, რომელსაც სამასამდე კაცი ესწრებოდა, გვიან ნაშუალამევამდე. რედ.

*** **

მოკლედ საჭირობო როტო საკითხებზე

ა) სტიქიური უბედურება აჭარის მთიანეთში

ქვეშარიტად თქმულა: უბედურება კენტად არ დაიარებაო. ცხრა აპრილის შემდეგ საქართველო ეროვნულ გლოვაში იყო, როცა 19-ში მის ერთ უმშვევეიერეს კუთხეს, აჭარის მთიანეთს, კერძოდ ხულოსა და შუახევის რაიონებს, კოკისპირული წვიმების შედეგად, თავს დაატყდათ არაჩვეულებრივად დიდი და მომსაობი მეწყერები. ხულოს რაიონის სოფელ წაბლნარში, სოლგომის მთას უზარმაზარი



ნაწილი მოგჯა და მოპირდაპირე მთას შეასკდა. მან, ~~თანამდებარე~~ და, თავის გზაზე ყველაფერი წალეკა, ქვეშ მოიყოლა ~~მტნოვრებითა~~ სახლ-კარნი, გზატკეცილი და მასზე მავალი ხალხით სავსე ტრანსპორტი, გადაკეტა მდინარე ჩარუხის კალაპოტი. დაგუბებულ მდინარის სიმაღლემ 35 მეტრამდე მიადწია და სამი კილომეტრის მანძილზე დატბორა არე-მარე. წარმოქმნილმა მეწყერებმა 19-დან 21 აპრილამდე უსაშველოდ დააზარალეს ორი ათეული სოფელი ორივე აღნიშნული რაიონების. კორესპონდენტთა პირველი ცნობებით: დაღუპულია სულ ცოტა 50 ადამიანი, სრულიად დანგრეულია 44 სახლი, 1152 სახლი ისეა დაზიანებული, რომ შიდ ცხოვრება აღარ შეიძლება, დაიკარგა 3,250 ჰექტარი მიწა-მთიანი აჭარის სავარგულების მესამედი“. ხელისუფლებას განზრახული აქვს 1300 დამეწყურილი ოჯახი ჩაასახლოს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. შექმნილია ამ სტიქიურ უბედურებით დაზარალებულთა დამხმარე ფონდი.

უნდა აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი დეტალიც: ამ ჩვენს მიმოსვლის სიჩქარით ცნობილ ხანაში, თბილისის პრესის რეპორტიორებმა მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ მიადწიეს ბათუმს, ხულოს რაიონში სპეციალური მანქანებით აპირებდენ გამგზავრებას, რომ ადგილიდან აცნობეს, გზაზე მეწყერი ჩამოწვა და ავტომობილით ნულარ წამოხვალთო. მათაც „სხვა გზა არ ჰქონდათ, ვერტმფრენით გადაფრინდენ“, არა დამეწყურილი სოფლების სანახავად, მკითხველნო, როგორ გეკადრებათ!, არამედ ხულოს რაიონის ცენტრში ხელისუფლების მიერ გამართულ მიტინგზე დასასწრებლად, სადაც პრეზიდიუმში ბრძანდებიან, ალბათ იგივე ვერტმფრენით ჩაბრძანებული, რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ბოსები. სხვათა შორის, მათთან ერთად მოხსენებელია, ჩვენთვისაც კარგად ცნობილი ბ-ნი რევაზ თაბუკაშვილიც. ვის ვკითხოთ, ვინ გვიპასუხებს, თუ რა ემიტინგებოდათ ამ ყველაფრის, თვით მამა-პაპათაგან შემკვიდრეობით ბოძებულ მიწა-მამულის, დამკარგველ საცოდავ ხალხს?! ღრმად განვიცდით და ვწუხვართ ჩვენი ხალხის, ჩვენი აჭარლების თავზე დატეხილ სტიქიურ უბედურებას.



ბ) მესხების ტრადედია გრძელდება

იენისის დამდეგიდანვე ყოველდღიურად ქვეყნდება დასავლეთში, საბჭოთა ოფიციალურ წყაროებიდან მიღებული შემავსოთებელი ცნობები, საბჭოთა უზბეკისტანში საერთოდ და განსაკუთრებით ფერგანას რაიონში უზბეკ უმრავლესობის მიერ „თურქ“ მესხ უმცირესობათა რბევისა და ხოცვა-ჟლეტის შესახებ. 7-8 აპრილისათვის, მუდამ ოფიციალური ცნობებით (სხვა არ არსებობს. რესპუბლიკაში სამხედრო წესებია, უცხოელებს იქ არ უშვებენ.), 80 მოკლული და 500 დაჭრილი, მრავალი გაუბატოურების შემთხვევები, გადაბუგულ-გატიალებული საცხოვრებელი შენობები, დატაცებული ქონება-სარჩო-საბადებელი. ბოლოს და ბოლოს გადარჩენილ 11 ათასამდე „თურქ“ მესხს ჯერ ბანაკებში მოუყარეს თავი და შემდეგ, ხელისუფალთა განცხადებით, სადღაც რუსეთის რესპუბლიკაში იყვენ ევაკუირებულნი. აღსანიშნავია, რომ მეტად სერიოზულ უწესრიგობას ადგილი აქვს მეზობელ ტაჯიკეთსა და თურქმენეთში არა მხოლოდ მესხების წინააღმდეგ, არამედ რუსების წინააღმდეგაც.

ვუტკეპრით გაზეთებში გამოქვეყნებულ ამ „თურქ“ მესხთა სურათებს, საიდანაც, მიუხედავად ასეთი საშინელებათა გადახდომისა, ამაყად, ღირსებით შემოგვცეპერიან ყმაწვილთა თუ ხანდაზმულთა ტიპური ქართული სახეები. რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყვენ ისინი, თავიდათავი ისაა, რომ ისინი ქართული სისხლისა და გენების მატარებლები არიან. განა შეიძლება ეწოდოს ქართველი, ვისაც ამ უბედურ ძმების 45 წლის ტრადედია არ შესძრავს, არ აღაშფოთებს?! საბჭოთა სახელმწიფომ მატერიალურად და მორალურად უნდა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს, მამა-პაპურ ადგილ-მამულებს, მიწა-წყალს დაუბრუნოს, მისგან აყრილი და შორს გადასახლებული ეს ხალხი.

რედ.

თ ბ ი ლ ი ს ი ს უ ე მ დ ე გ პ ე კ ი ნ ი

ჩვენ მოწმენი ვართ დიდმნიშვნელოვან საკაცობრიო ამბების ქართველი ხალხი მართო, იზოლირებული არ არის საერთაშორისო ბოლშევიზმ-კომუნიზმთან ბრძოლაში, პიროვნული და ეროვნული

თავისუფლების ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის წარმოებულ ლაშქრობაში. რუსეთში ხელისუფლება თვით თხრის ადრინდელი ბოლშევიზმ-კომუნისმის საფლავს. ბოლშევიზმ-კომუნისმის დასამარების ავანგარდში ვხედავთ პოლონელ და უნგრელ ხალხებს, მაგრამ ამჟამად ამ საკაცობრიო ლაშქრობის მოწინავე პოზიციები დაიკავა მილიარდიანმა ჩინელმა ხალხმა. სანამ ამ ბრძოლის ტრალიკულ მომენტს შევხვებოდე, წინ მცირე განმარტება უნდა გავაკეთო:

ჩინეთის ბოლშევიზმ-კომუნისმის დიდი მოციქული მათ ძედლენი ღრმა მოხუცებულობის სენით შეპყრობილი სიცოცხლეშივე ჰკარგავს პრაქტიკულად სახელმწიფო სადავეებს, ხელისუფლების სათავეებში მყოფი დაჯგუფებები ურთიერთ შორის სამკვდრო სასიცოცხლო ფარულ ბრძოლას აწარმოებენ ხელისუფლების მიშვებული სადავეების ხელში მტკიცედ საგდებლად. კომუნისტური ჩინეთი თანდათან ეშვება პოლიტიკურ ქაოსსა და ეკონომიკურ-ტექნიკურ პირველყოფილ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ჩამორჩენილობაში. მათს ფიზიკური სიკვდილის (1976) შემდეგაც ერთხანს გრძელდება ეს შინაპარტიული ჩუმი ომი, 80-ან წლების დასაწყისში მკვეთრად იცვლება ჩინეთის კომუნისტური რეჟიმის პოლიტიკური მეთაურობა და კურსიც. იგმოზა ე. წ. „კულტურული რევოლუციის“ დამღუპველი პოლიტიკა, ხდება ეკონომიკის საერთოდ და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ლიბერალიზაცია— კომუნებიდან კერძო საკუთრებასა და მეურნეობაზე გადასვლა. ჩინეთის კედელმა გზა მისცა დემოკრატიული დასავლეთის კაპიტალსა და ტექნიკას, რამაც მეტად შესამჩნევი ეკონომიკური პროგრესი და მატერიალური სიკეთე გამოიწვია, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში. ყველა ამ გარდაქმნებსა და მიღწევებს მიაწერდნენ დენ ჰსიაოპინს, კომუნისტური ჩინეთის პოლიტიკის ბებერ მელას, თავიდან მათს თანამებრძოლს, შემდეგ კი მისგან შერისხულს. მიუხედავად ამ დამსახურებისა, ის ტყვე დარჩა ლენინური მმართველობისა, ჩინელ ხალხს ვერ თუ არ მისცა პოლიტიკური თავისუფლება და ეს იყო მიზეზი ჩინეთის სტუდენტ ახალგაზრდობის აჯანყებისა, რომლის პირველი გამოსვლა 17 აპრილს დაიწყო და მხოლოდ ივნისის დამდევს დამთავრდა საშინელი რეპრესიებით, როგორც ეს ყველასთვის ცნობილია.



ბატონი „შუამავალი“

16 მაისს, როცა პეკინის მთავარი—ტიენ ან მენის—მოედანი და ცენტრის ქუჩები ზღვა დემონსტრანტებით იყვენ ავსილნი, ბნი გორბაჩოვი ამალით ჩინეთის ხელისუფალთ ეწვია, 30 წლის განმავლობაში შეწყვეტილი ურთიერთობის, ნორმალიზაციის ოფიციალურად გასაფორმებლად. სახალხო მოძრაობის არაჩვეულებრივმა სიძლიერემ ჩინელი მასპინძლები აიძულეს, არაერთხელ შეეცვალათ საბჭოთა სტუმრების მიღებების განზრახული გეგმები. უხერხულობაში ჩაგარდნილ ჩინელ მასპინძლებს ბნმა გორბაჩოვმა უთხრა, სტუდენტ მომიტინგეთა მისამართით: „ჩვენც გვყავან ასეთი „თავგახურებულები“, რომელთაც ერთ ღამეში სურთ სოციალიზმის განახლებათ“ და თურმე დაუმატა: „მე შემიძლია, მათ დასაწყენარებლად, როგორც შუამავალი, ელუარდ შევარდნაძე გამოგიგზავნოთ...“ შემდეგ, საბჭოთა მთავრობის პორტპაროლმა, ბმა გენადი გერასიმოვმა საჭიროდ ჩათვალა, დასავლეთის ჟურნალისტებისათვის განემარტა, რომ ბნ გორბაჩოვის სიტყვები ყველა ჩინელ სტუდენტზე არ ვრცელდებოდა, ისინი უბრალოდ ჩვენი ქვეყნის შინაურ მოვლენებს ახასიათებდნო. მან იმის განმარტებაც საჭიროდ დაინახა, რომ: „ეს იყო ხუმრობით ნათქვამი, როცა ბნმა გორბაჩოვმა მასპინძლებს მომიტინგე სტუდენტებთან „შუამავლად“ მისი საგარეო ურთიერთობის მინისტრი შესთავაზო“. ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ ასეთი პარადოქსები და ძალიანაც არ მოიწონეს ბნ გორბაჩოვის ცინიკური „ხუმრობა“.

თუ ისევ ჩინელთა გამოსვლებს დაეუბრუნდებით, აღსანიშნავია, რომ სტუდენტ-ახალგაზრდობის მიერ დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებს ფართოდ დაუჭირა მხარი ჩინელმა ხალხმა საერთოდ და მისი კომუნისტი ხელისუფალნი იზოლირებულნი აღმოჩნდნენ, მათ „აკრძალულ ქალაქში“ ჩაკეტდნენ. მთელი მსოფლიო მონუსხულივით ადევნებდა თვალ-ყურს შორიდან უიარაღო ხალხის მშვიდობიან და მასიურ გამოსვლებს რეჟიმის კორუპციის წინააღმდეგ და დემოკრატის მოთხოვნით და ხელისუფლების უძლურებას, რომ დიპლომატიკა გამართა ამ ხალხთან, მის წარმომადგენლებთან. ბოლოს და ბოლოს კი, ვერ ვიტყვით, მ. გორბაჩოვის შეგონებით თუ საკუთარი ჭკუით,

ით მოწამლვამ, დროებით, რეალობას გამოთიშა, ტკივილისა და ენა-
ხსოვრობის ელემენტები დაუმდაბლა. „ბატონო, მე არცერთ პარტი-
ას არ ვეკუთვნი, მეც იქ ვიყავი იმ დროს, რადგან საჭიროდ და
მოვალეობად მიმაჩნდა“, მიყვება დინჯად აულელვებლად. — „დილის
ოთხ საათზე სასეირნოდ ან სეირის საყურებლად არ გამოდიან რუ-
სთაველის პროსპექტზე“ ...საავადმყოფოში მოსულა გონზე, მაგრამ
შინაურები უმალავენ, რომ სამუდამოდ დაბრმავებულია. ერთი მხრ-
ის საფეთქელში მოხვედრილი ტყვია, მეორე მხრის საფეთქლის ძვა-
ლში გაჩერებულა და ორივე თვალის ჩინი გადაუკვეთია. თავის ტვი-
ნის ინფექციაა მოსალოდნელი, უმთავრესად ამის თავიდან ასაშო-
რებლად ჩამოიყვანეს და მას თან ახლავს მისი ახალგაზრდა, სათნო
მეუღლე.

ისედაც, შეხედვით ეტყობოდა, მაგრამ პირველმა ოპერაციამ უდა-
ვოდ დაადასტურა, რომ მას პირისახის არეში მიღებული აქვს ძლი-
ერი ბლაგვი საგნის (ხელკეტი?) დარტყმები, რის გამოც ჩამსხვრე-
ული აქვს ძვლები. საფიქრებელია, რომ გამხეცებულმა ჯარისკაცმა
ჯერ ხელკეტით სცემა დაუზოგავად, მერე კი ერთი ტყვიაც დაახა-
ლა საფეთქელში, ბოლოს მოსაღებად. მაგრამ, მოხდა სასწაული,
კაცი ცოცხალი გადარჩა! თუმცა, ვაი ამ გადარჩენას, ასეთ გადა-
რჩენას!!!

პ. ლ.

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ს დ ლ ე ი ნ გ ლ ი ს შ ი

ცხრა აპრილის ეროვნული ტრადიციის მომდევნო დღეებში ერთ
ჩვენთვის საყურადღებო მანიფესტაციას ჰქონდა ადგილი, 5 მაისს
ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკის მცოდნეო-
ბის ინსტიტუტში გაიმართა „ქართველოლოგიის დღე“, რომლის პრო-
გრამაში გათვალისწინებული იყო: ა) დრ თამარ დრაგაძის „შესა-
ვალი სიტყვა“, ბ) დრ რ. პარსონის „არაფორმალური ჯგუფები დღ-
ევანდელ საქართველოში“, გ) დრ რ. კლიმიანოვილის „თანამედროვე
ქართული პრესა“, დრ სტ. ჯოუნსის „ქართული ნაციონალიზმი 80-
ან წლებში“, დრ თ. დრაგაძის „ისტორია და ეთნიურობა საქ-ში“,

ით მოწამლევამ, დროებით, რეალობას გამოთიშა, ტკივილისა და მახსოვრობის ელემენტები დაუმდაბლა. „ბატონო, მე არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მეც იქ ვიყავი იმ დროს, რადგან საჭიროდ და მოვალეობად მიმაჩნდა“, მიყვება ღინჯად აულელვებლად. — „დღის ოთხ საათზე სასეირნოდ ან სეირის საყურებლად არ გამოდიან რუსთაველის პროსპექტზე“ ...საავადმყოფოში მოსულა გონზე, მაგრამ შინაურები უმაღავენ, რომ სამუდამოდ დაბრმავებულია. ერთი მხრის საფეთქელში მოხვედრილი ტყვია, მეორე მხრის საფეთქლის ძვალში გაჩერებულა და ორივე თვალის ჩინი გადაუკვეთია. თავის ტვინის ინფექციაა მოსალოდნელი, უმთავრესად ამის თავიდან ასაშორებლად ჩამოიყვანეს და მას თან ახლავს მისი ახალგაზრდა, სათნო მეუღლე.

ისედაც, შეხედვით ეტყობოდა, მაგრამ პირველმა ოპერაციამ უღავოდ დაადასტურა, რომ მას პირისახის არეში მიღებული აქვს ძლიერი ბლავგი საგნის (ხელკეტი?) დარტყმები, რის გამოც ჩამსხვრეული აქვს ძვლები. საფიქრებელია, რომ გამხეცებულმა ჯარისკაცმა ჯერ ხელკეტით სცემა დაუზოგავად, მერე კი ერთი ტყვიაც დაახალა საფეთქელში, ბოლოს მოსაღებად. მაგრამ, მოხდა სასწაული, კაცი ცოცხალი გადარჩა! თუმცა, ვაი ამ გადარჩენას, ასეთ გადარჩენას!!!

პ. ლ.

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ს დ ლ ე ი ნ გ ლ ი ს შ ი

ცხრა აპრილის ეროვნული ტრადიციის მომდევნო დღეებში ერთ ჩვენთვის საყურადღებო მანიფესტაციას ჰქონდა ადგილი, 5 მაისს ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკის მცოდნეობის ინსტიტუტში გაიმართა „ქართველოლოგის დღე“, რომლის პროგრამაში გათვალისწინებული იყო: ა) დრ თამარ დრაგაძის „შესავალი სიტყვა“, ბ) დრ რ. პარსონის „არაფორმალური ჯგუფები დღევანდელ საქართველოში“, გ) დრ რ. კლიმიანოვილის „თანამედროვე ქართული პრესა“, დრ სტ. ჯოუნსის „ქართული ნაციონალიზმი 80-ან წლებში“, დრ თ. დრაგაძის „ისტორია და ეთნიურობა საქ-ში“,



ვ) პროფ. დ. ლანგის „ბალაგერიანი მის საერთაშორისო ხალხში“, ზ) დრ დ. რაიფილდის „XX საუკუნის ქართველი პოეტები“, თ) პროფ. ელ. ხინთიბიძე (თბილისი): „შუასაუკუნეების ქართ. ლიტერატურა და დანტესთან შედარება“, ი) ქ-ნ ვივიენ-აშტონის „ვეფხვისტყაოსანში მეტრული სისტემა“, კ) დრ ჯ. ჰიუიტის „რისთვის გეპირდება მეგრულის ახალი გრამატიკა?“, ლ) ბ-ნ ჯ. ურაიტის საბოლოო შემაჯამებელი სიტყვა და ბოლოს, საღამოს ექვსი საათიდან – ბანკეტი.

იქიდან მოსული ცნობების მიხედვით, როგორც გათვალისწინებულ იყო, პროგრამამ მცირედენი ცვლილება განიცადა. საერთოდ, მოხსენებები ცხოველი ინტერესით იქნენ მოსმენილნი და გამოიწვიეს ჯანსაღი სჯაბაასი. სამწუხაროდ მასში დისონანსი შეიტანა ბ-ნ ჯორჯ ჰიუიტის მოულოდნელმა მოხსენებამ: „შენიშვნები აფხაზ-ქართველთა კონფლიქტზე“. მისი შინაარსი ჩვენთვის ცნობილია, რადგანაც ავტორმა კეთილი ინება, მისი „ღია წერილის“ ცალი გადმოგვიგზავნა. მის ირგვლივ, განზრახული გვაქვს, მომავალ ნომერში ვისაუბროთ. ლონდონში გამართულ ამ სასარგებლო საქართველოს შესახებ დღეს პარიზიდან ესწრებოდა და მონაწილეობა მიიღო, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორმა, რადიო „თავისუფლების“ ქართული სექციის წარმომადგენელმა, ბ-ნმა ჯანრი კაშიამ.

რედ.

ცნობისათვის

დრ სტივენ ჯოუნსმა გამოაქვეყნა ფრანგულ გავლენიან ყოველთვიურ „Le Monde diplomatique“-ის 1989 წლის ივნისის ნომერში გამოაქვეყნა სხარტი სტატია, სათაურით: „ოქროს საწმისის ქვეყანა—გადარჩენის დიდი უნარი“, სადაც კალმის ერთი მოსმით ცნაურდება ქართ. ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ეროვნული თავისთავადობის შესანარჩუნებლად.

*

პროფ. გიორგი შარაშიძემ საკირო და სამართლიანი განმარტება გამოაქვეყნა, 8 ივნისი 1989 წლის, გაზეთ „ლე მონდ“-ში, სათაურით: „მესხები: მუსულმანი ქართველები“, საბჭოთა წყაროების



გავლენით საფრანგეთსა და მთელ დასავლეთში გავრცელებული „თურქი მესხების“ ვინაობის შესახებ.

*

ა. წ. 22 აპრილის, ფრანგულენოვან სამყაროში ფართოდ გავრცელებულ „ფიგარო მაგაზინ“-ში გამოქვეყნდა ბ-ნ პ. იბერის საყურადღებო ინტერვიუ „გორბაჩოვი ნეო-სტალინელია“-ს სახელწოდებით.

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

წლევეანდელი 10 მარტის „ლიტერატურული საქართველოს“ ცნობით, -სირიის დედაქალაქ დამასკოში გარდაიცვალა ქართველი ემიგრანტი, მეცენატი ლევან საღარაძე. აწ განსვენებულმა დააფინანსა ვეფხვისტყაოსანისა და ილია ჭავჭავაძის „განდევლის“ არაბულად თარგმნა და გამოცემა. მან აგრეთვე მდიდარი ბიბლიოთეკა აჩუქა საქართველოს მეც. აკადემიას. თანახმად მისი სურვილისა, მისი ნეშტი მიზარდება საქართველოს მიწას.

*

ბ-ნ ნიკო ჯანელიძის ცნობით, - წელს 31 მარტს, ხანგრძლივი ნერვული ავადმყოფობის შემდეგ, ქ. ჰამბურგში გარდაიცვალა ექიმი გიორგი კორძაძე, დაბ. 1917 წ. 22 აგვისტოს თბილისში და 7 აპრილს მიზარდა ჰამბურგ-რაპლშტედტის სასაფლაოს. დარჩა ვაჟები: ტარიელი და ოთარი.

*

ბ-ნი ირ. ოთხმეზური გვატყობინებს: წელს 14 აპრილს, 84 წლის ასაკში, ბრიუსელში გარდაიცვალა ბ-ნი გრიშა ხუჯაძე.

*

წელს 15 აპრილს, 63 წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვალა ბ-ნი ანრი ბატუაშვილი და 18-ში დაიკრძალა ბანიოს სასაფლაოზე.

*

წელს 23 მაისს მიუნხენში გარდაიცვალა ბ-ნი გაიოზ მაღლაკელიძე, დაბ. თბილისში 29.05.1920-ში, და დაიკრძალა სწორედ



დაბადების დღეს **AUF DEM FRIEDHOF UNTERHACHING STATT** საგლოვიარო ასოციაცია

წელს ივნისის მეორე ნახევარში, პარიზში, ღრმა მოხუცებულობის ასაკში გარდაიცვალა და 23-ში ლევილში დასაფლავდა ბ-ნი დიმიტრი (დიტო) კლდიაშვილი.

წელს 23 ივნისს, ხანდაზმულობის ასაკში, პარიზში, მის ბინაში გარდაიცვალა ბ-ნი ალექსი (ალიოშა) აბაშიძე და ხუთშაბათს 29 ივნისს მისი ცხედარი მივაბარეთ ლევილის სასაფლაოს.

საუკუნო სასუფეველი მათ სულს და ჩვენი თანაგრძნობა მათ დამწუხრებულ ქირისუფალთა და ახლო მეგობრებს.

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ნ დ ი

პავლე ვაშაძე	300	ვიქტორ ინაშვილი	150
რუბენ გვეტაძე	150	ფონ სონ	563
ირინა ბაგრატიონ-		მელიტონ ჟღენტი	200
მუხრანელი	100	ჟორჟიკა ფაშალიშვილი	108
ირაკლი ოთხმეზური	160	მირიან მელუა	250
ზეინაბ ზურაბიშვილი	500	მილი ზურაბიშვილი	400
თინათინ ბერიძე	100	ვარლამ ანთელავა	500
მანია ყაველაშვილი	200	პეტრე ხვედელიძე	252
მათიკო სტურუა	100	იროდიონ ბეგიაშვილი	300
ლეო ჩიქოვანი	283	მიხეილ თარაშვილი	300
მარინა ობოლაძე	468	ნიკოლოზ თოფურია	150
ივერელი -თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ			
ქართველთა მოსახსენებლად			359

ჯ ა მ ი

6.033

*

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა ს ფ ო ნ დ ი

კობა მელიქიშვილი	1000	ვიქტორ ინაშვილი	150
------------------	------	-----------------	-----

გულნარა ურატაძე 1500; წინა ნომერში გამოცხადებული 3120



ჯ ა მ ი

5.770

მამულიშვილნო, გარდა გუშაგის პერიოდული გამოცემისა, ჩვენ განზრახული გვაქვს, მერაბ კოსტავას ფონდით გამოვცეთ:

- ა) მერაბ კოსტავას ხანგრძლივი პატიმრობის გონებრივი ნაყოფი: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“ და ლექსები და პოემები.
 - ბ) ზვიად გამსახურდიას „ლექსები“ (1973 წელი); გ) გიორგი ჭანტურიას „ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ი“, ტრილოგია. რომანი (1976 - 80 წლები)
 - დ) პროფ. აბდურახმან ავტორხანოვის, ცნობილი ჩეჩენი ისტორიკოსის, საბჭ. კავშირის იშვიათი მცოდნის, ლექციათა სერია: „უკანასკნელი იმპერია“ (40 ლექცია), თარგმნილი ზურაბ ნარსიას მიერ.
- და სხვა ბევრის მოგონებები, საჯარო მოხსენებები თუ გამოკვლევები. მართალია ცოტანიდა დავრჩით ქართული მწერლობის მკითხველნი ემიგრაციაში, მაგრამ ვიფიქროთ სამშობლოზე. ნუ შეგეშინდებათ, თუ მე გაგრძელება ვეღარ შევძელ, ჩემი მეუღლე ერთ გროშსაც არ დაკარგავს უბრალოდ, მას გადასცემს, ვინც ამ საქმეს გააგრძელებს. წინასწარი მადლობით, გიორგი წერეთელი.

*** *** *** ***

ჩვენი სათვისტომოს ახალი წესდება და გამგეობა

ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ, 5 ივნისის არაჩვეულებრივმა კრებამ მიიღო წარმოდგენილი ახალი წესდების პროექტი და მის მიხედვით „აირჩია“ ახალი გამგეობის წევრები, რომელმაც თვით შეარჩია თავმჯდომარისა და სხვა პოსტების პასუხისმგებლები. აი მისი შემადგენლობა: სერგო (სერჟ) მელიავა (თავმჯდომარე), გია სარჯველაძე (თავ-რის თანაშემწე), ოთარ ზურაბიშვილი (თავ-რის თანაშემწე), რეიმონ ბენარი (მოლარე), ელენე (ლია) ვოდე (მდივანი და მოლარის თანაშემწე), ანიკო დავრიშაშვილი (მეორე მდივანი), ელიკო წერეთელი (წევრი), ელისაბედ კემულარია და ვანო ციციშვილი (წევრობის კანდიდატები); სარევიზიო კომისიაში კი არიან: ოთარ პატარიძე, გიორგი კერესელიძე და შალვა თაყაიშვილი.

ჩვენ განზრახვა გვქონდა, ვრცლად შეგხებოდით ამ ამბავს, რადგანაც პრინციპიალური წინააღმდეგი ვიყავი ახალ წესდებაში ფორ-

მულირებული მიზნის და კანდიდატურების წამოყენების იმ ტენდენციის, რომელიც დაწესდა უკანასკნელ წლებში და რამდენადაც შეეძლო მენით, ახალი გამგეობის არჩევის კრიზისი. გამოიწვია. რაც შეეხება შემადგენლობას, დარწმუნებულნი იყვენ, რომ ისინი ჩემი სრული ნდობით სარგებლობენ, კიდევ მეტი:—დებსავით, ძმებსავით, შვილებსავით მიყვარან. ადგილი აღარ რჩება და სამწუხაროდ აქ ძირფესვიანად ვერ ვმარტავ ჩემს პოზიციას. გიორგი წერეთელი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

- . 2 ვგმობთ საბჭოთა მორიგ ბარბაროსობას გუშაგი
- . 6 მსხვერპლთა სია განმარტებებით
- . 8 განცხადებები და მიმართვები— არქიმანდრიტი იოაკიმ ასათიანი, თბ. სახუნტი, აკ. ბაქრაძე და პარმენ მგალობლიშვილი, ავთანდილ იმნაძე, საქ. მწერალთა კავშირის 272 წევრი, თენგიზ აბულაძე, ელდარ შენგელაია.
- . 26 აფხაზეთის პრობლემა და მარტის დემონსტრაციები—თენგიზ გულდავას და ზაქარია ლაშქარაშვილის კორესპონდენციები.
- . 36 საქართველოს მწერალთა კავშირში
- . 41 თბილისის ჯოჯოხეთური განთიადი:
 - ა) რუსული დამოუკიდებელი პრესა—გალინა კორნილოვა, ა. სკოვოროვა, იური როსტი, ვეგენი ლელი; თარგმნა ზაქარია ლაშქარაშვილმა; ქართული პრესა („ლიტ. საქ.“ №17)—ბაკურ ბახტურიძე; გ) საზოგადოებრივ-სამედიცინო და საქ. უმაღლესი საბჭოს კომისია — გულბათ გულბათიშვილი
- . 68 დამატებითი მოწმობანი: ანდრეი სახაროვის განცხადება მილანში; გაფიცვის კომიტეტი. დაქტები —ნ. ერისთავი ათი ქართველი ექიმის ტელეგრამა. ირინა სარიშვილის ინტერვიუ, რუსულიდან თარგმნა ზურაბ ნარსიამ. „საუკუნის დანაშაული“—ნოდარ წულუღისკირი. „ის, რაც მთავარია“ გიორგი წერეთელი
- . 90 ეროვნული გლოვით აღძრული პოეზია: გურამ გიორგობანი, ლალი თოთაძე, ვაჟა ეგრისელი, გივი შაორელი—კობახიძე...
- . 97 ჩვენი ემიგრაციის რეაქცია: ირაკლი ოთხმეზურის ინტერვიუ, თეერი წერეთლის, თენგიზ გულდავას, ზურაბ ნარსიას და სხვათა და სხვათა ...



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE